თბილისელების მიმართვა A2

ლევან ალექსიძე:
ჩემი არჩევანი A3

საქართველოს უშიშროების საბჭოს
მდივნის თედო ჯაფარიძის
განცხადება A3

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 22 ნოემბერი, 2003 წელი. №304 (516)

ფასი 50 თეთრი

# შევარდნაძე გადადგება!

## გაბრაზებული ქართველების მარში



### ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის განცხადება საქართველოს საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით წარმოქმნილი კრიზისის თაობაზე

მადლენ ოლბრაიტი:
"მე ყოველთვის მწამდა, რომ საქართველოს გააჩნია უზარმაზარი შესაძლებლობები თავისი ხალხის გაბედულებისა და თავდადების წყალობით"

A2

### ერთმანეთის გულებში ნაპოვნი იმედი

მოედანი მხურვალე ოვაციებით ესალმებოდა ახალჩამოსულებს. აქ იყო სველი, დაღლილი ხალხი, მაგრამ აღარ იყვნენ სასოწარკვეთილი ადამიანები. "ჩვენ ერთმანეთის გულებში იმედი ვიპოვეთ," – ყველაზე ზუსტად ერთმა ხანშიშესულმა ქალბატონმა ახსნა შეკრებილი ხალხის საერთო განწყობა.

A2

## სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესის და უნეტარესის ილია მეორის მიმართვა

კიდევ ერთხელ მივმართავ სრულიად საქართველოს.

ჩვენო სულიერო შვილებო, ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა უკიდურესად მძიმე მდგომარეობა. საინფორმაციო საშუალებებით სულ უფრო და უფრო ხშირად ისმის შეშფოთება იმის გამო, რომ მოვლენების განვითარებამ შეიძლება სისხლისღვრამდე მიგვიყვანოს.

მართალია, ორივე მხარე აცხადებს, რომ ეს მისთვის მიუღებელია, მაგრამ არ არის გამორიცხული პროვოკაციული ქმედებანი.

ყველას უნდა ახსოვდეს, რომ სისხლისღვრის მოთავენი პასუხს აგებენ ღვთისა და ერის წინაშე. ეს არის უმძიმესი დანაშაული და ეს ცოდვა გადავა მათ შთამომავლობაზე. უფალი ბრძანებს: "რომელმან აღიღოს მახვილი - მახვილით წარწყმდეს".

ეს განსაცდელი ეკლესიისთვის განსაკუთრებით მძიმეა და მტკივნეული იმიტომ, რომ ერთ მხარესაც და მეორე მხარესაც ჩვენი სულიერი შვილებია. მიუხედავად მათი დაპირისპირებისა, უფლისთვის, უცხოა მიკერძოება, ამიტომაც ეკლესია ყოველთვის ლოცულობს ქვეყნის ერთობისა და მშვიდობისათვის.

გამოვთქვამთ იმედს, რომ არის კიდევ შესაძლებლობა ამ ურთულესი საკითხების მშვიდობიანი გზით დარეგულირებისა. ამიტომაც, კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ საქართველოს პრეზიდენტს, ხელისუფლებას, ოპოზიციის ლიდერებს და მივმართავთ წინადადებით: საქართველოს ეკლესია მზად არის შეასრულოს შუამავლის როლი დაპირისპირებულ მხარეთა შორის, რათა თავიდან იქნას აცილებული მოსალოდნელი მძიმე შედეგები.

მოვუწოდებ ჩვენს მოსახლეობას, შეინარჩუნონ სიმშვიდე და ილოცონ სამშობლოსათვის.

"უფალმან ძალი ერსა თვისსა მოსცეს, უფალმან დალოცოს ერი თვისი მშვიდობით".



## გიორგობის დღე საქართველოსთვის უნდა იყოს გამარჯვების დღესასწაული

**მიხეილ სააკაშვილის განცხადება დასავლეთ საქართველოდან თბილისში დაბრუნების შემდეგ**

გუშინდელი დღიდან, წალენჯიხიდან და ლაგოდეხიდან, მარნეულიდან და რუსთავიდან, ათი-ათასობით ჩვენი თანამემამულე საქართველოს დედაქალაქის თბილისის და, მთლიანად, თავიანთი სამშობლოს გასათავისუფლებლად დაიძრა. მე გამოვყევი ამ ხალხს და მინდა ვთქვა, რომ დღეს ვარ ყველაზე ბედნიერი მთელი ჩემი ცხოვრების განმავლობაში. მე არასოდეს მინახავს ამდენი იმედიანი, ამდენი აღფრთოვანებული, გამბედავი, გაცისკროვნებული სახე. საქართველო დადგა ფეხზე, საქართველო აღდგა საკუთარი ღირსების,

გაგრძელება A2 გვერდზე

## აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის პირველი რეაქცია

გუშინ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა საქართველოში განვითარებული კრიზისის შესახებ პირველი განცხადება გააკეთა. კომენტარი, ჯერჯერობით, მხოლოდ დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის ბიუროს შეფის ბრიფინგზე გაკეთდა და ამას ინტერვიუს სახე ჰქონდა. ასეა თუ ისე, სახელმწიფო დეპარტამენტმა თავისი პოზიცია დააფიქსირა. გთავაზობთ სახელმწიფო დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის ბიუროს შეფის ადამ ერელის ბრიფინგის იმ ნაწყვეტს, სადაც საუბარი საქართველოს შეეხება.

გაგრძელება A5 გვერდზე

A2 ამბები | A3 პოზიცია | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 პოლიტიკა

B1 სტუმარი | B2 პოზიცია | B3 თვალსაზრისი | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 რევიუ | B7 მერიდიანი | B8 სხვადასხვა

## თბილისელების მიმართვა

ძმებო და დებო აჭარლებო! ჩვენო სისხლო და ხორცო! მოგმართავთ, რათა თქვენი გულწრფელობა და თავდადება საქართველოს ავანტურისტ ხელისუფლებას თავისი მზაკვრული მიზნის განხორციელებისთვის არ გამოაყენებინოთ. მათი მიზანია, ხალხის ურთიერთდაპირისპირებით გაიხანგრძლივონ არალეგიტიმური ძალაუფლება და პირადი კეთილდღეობა.

დებო და ძმებო! ხელისუფლების მხრიდან საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობასა და ჩვენს თავისუფლებას საფრთხე დაემუქრა.

რუსთაველის გამზირზე დღევანდელი თავყრილობა აბსურდის თეატრს ემსგავსება. ურთიერთგამომრიცხავი მოწოდებები მიტინგზე: დილით - "ძირს პრეზიდენტი!" საღამოს - "გაუმარჯოს პრეზიდენტს!" სცდება ნორმალური აზროვნების ფარგლებს.

დაფიქრდით!

ერთად დავიცვათ ჩვენი დედასამშობლო. ხელისუფლების მცდელობა, რომ საქართველო საბჭოთა სივრცეში დაბრუნდეს - განწირულია.

ქართველი ხალხი საქართველოს ისტორიაში სათანადო ადგილს მიუჩენს ყველას, ვინც ხელს აღმართავს ქვეყნის დამოუკიდებლობას, თავისუფლებასა და ერთიანობაზე.

ხელისუფლება, რომელიც ცდილობს, ხალხის დაპირისპირებით შეინარჩუნოს ძალაუფლება, არ იმსახურებს ჩვენს მხარდაჭერას.

დავდგეთ ერთად და არ არსებობს ერთად მდგომი მართალი ხალხის მომრევი ძალა!

## "გადავაყენო უნდა ის კაცი..." - ქუთაისელი მძღოლის მიზანი

სოფო ბუკია

მხარზე თოხგადაკიდებული ზუგდიდელი გლეხი, ბოსტანში მოფუსფუსე სამტრედიელი დიასახლისი, ქალაქის ცენტრში თავმოყრილი ქუთათურები, რიკოთის უღელტეხილზე მიმავალი "ჟიგულის" მძღოლი, ზურგზე ჩანთაგადაკიდებული ხაშურელი ბავშვები, ვაშლის გამყიდველი გორელი ქალი, შავშველი ტრაქტორისტი, სოფლის თავში გამაგრებული "ბირჟავიკი" ბიჭები, რესტორნის წინსაფრიანი მზარეული, სიგარეტების ჯიხურში მჯდარი ქალი, მაგნიტიანი ჯოხით შეიარაღებული იგოეთელი გლეხი, რომელიც მგზავრების მიერ გადმოყრილ ხურდას აგროვებს, ნატახტარელი "გაიშნიკი", მცხეთელი მწყემსი, დიღმელი "ავტოზაპრავშიკი", საბურთალოზე "მარშრუტკის" მომლოდინე წყვილი, ვაკელი "ზმანი" გოგოები... ყველა კორპუსის აივნებიდან და ფანჯრებიდან მომზირალი თბილისელები...

ყველა ამ ადამიანს გუშინ დროშებაფრიალებული მანქანების სამკილომეტრიანი კოლონა აერთიანებდა. ხალხი დედაქალაქისკენ მიმავალთ გზაზე ეგებებოდა, ხელებს უქნევდა, გზას ულოცავდა და გამარჯვებას უსურვებდა, "გაგიმარჯოთ!" - ისმოდა საქართველოს თითქმის ყველა ქალაქსა თუ სოფელში: თქვენ შემოგევლეთ, ქართველებო, კაი გზაზე გატაროთ ღმერთმა... თქვენთან ვართ, ბიძიკო, თქვენი ჭირიმე, იქნებ გვიშველოთ რამე... გენაცვალეთ, ქართველებო... დაგველოდეთ, ხალხო, ჩვენც მოვდივართ... საქარ-თვე-ლო... გადადგება, შვილო, ეგა? - გადადგება, გადადგება ბიძაჩემო!!! შემოგვიერთდით, ქართველებო, გელოდებით!!!

**"მანამ არ წავალ ქუთაისში, სანამ იმ საქმეს არ მოვაყომარებ, რისთვისაც თბილისში მივდივარ. გადავაყენო უნდა ის კაცი..."** – სამარშრუტო ავტობუსი, წარწერით "ქუთაისი", სამკილომეტრიან კოლონაში არა ერთი და ორი იყო.

**"ვანელი კაცი ვარ. მივდივარ იმიტომ, რომ ყელში ბურთად მებჯინება უკვე ეს ცხოვრება... ვერ ატყობთ, როგორ დავგლახაკდით რაიონის ხალხი? ერთ კაცს არ ვიცნობ, ვისაც შევარდნაძე და მისი პოლიტიკა მოსწონს, მაშინ რატომ გვყავს ის პრეზიდენტად? ბრეჟნევი ხომ არ არის, მაინცდამაინც ხელში უნდა ჩაგვაკვდეს?"** – ამბობს გოჩა თადუმაძე.

**"შევარდნაძის გადადგომა გვინდა, მეტი არაფერი. მე მგონი, ედუარდ ბაბუ შვილიშვილებს უარს არ გვეტყვის და გადადგება,"** – ხუმრობენ ზუგდიდელი სტუდენტები.

საგუშაგო-გამშვებ პოსტებთან კოლონას დაბრკოლება არ შექმნია. პოლიციელები განზე გადგნენ და გზა ხალხს დაუთმეს, რისთვისაც ხალხი მათ ხელებს უქნევდა, ჯიგრები ხართო, - ეუბნებოდა.

**"არ ვიცი, რატომ გგონიათ, რომ ხალხის წინააღმდეგი ვართ? იქნება, მეც არ მილხინს ამ ცხოვრებაში, მაგრამ არეულობას ყველაფერი მირჩევნია. არ მინდა, ამ მანქანებში მსხდომ რომელიმე ადამიანს რამე დაემართოს. ფრთხილად უნდა ვიყოთ ყველანი, თორემ ისე, მე რა, რაც ხალხს გაუხარდება, მეც ის გამეხარდება... მე რა, ხალხი არა ვარ?"** – მკითხა საგზაო პოლიციის ერთ-ერთმა თანამშრომელმა ნატახტართან.

მანქანების სამკილომეტრიანი კოლონა წვიმიან ტრასას ნელა, მშვიდობიანად, მაგრამ შემართებით მოუყვებოდა. "დასავლეთი საქართველო" თბილისში საღამოს შვიდი საათისთვის შემოვიდა და თავისუფლების მოედანზე საკუთარი ღირსების დაცვას შეუდგა.

## "ხვალიდან პარლამენტიც თქვენი იქნება!"

გიგა ბურასაშვილი

წალენჯიხიდან წამოსული, ბაირაღებითა და ალმებით შეიარაღებული ქარავანი, თავისუფლების მოედანზე დაბანაკდა. აქ თითქმის ყველა კუთხის წარმომადგენელს ნახავდით. აჭარლებიც იქვე, შორიახლოს, ორასიოდე მეტრში იყვნენ.

მერიის შენობის აივანზე საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი ადამიანები გამოდიოდნენ - ელდარ შენგელაია, დავით ბერძენიშვილი, ზვიად ძიძიგური, გურამ აბსანძე, ვანო ხუხუნეიშვილი, გია ბარამიძე, ზურაბ ჟვანია, ნინო ბურჯანაძე და, რა თქმა უნდა, მიხეილ სააკაშვილი.

მთავარი მაინც მიხეილ სააკაშვილის გამოსვლა და მოწოდება იყო: **"ყველას, ვისაც თავისუფლება გინდათ, ვისაც გინდათ, რომ შევარდნაძე გადადგეს, რომელიც აგერ უკვე 30 წელიწადია, ძირს გვითხრის, გავერთიანდეთ! დავივიწყოთ ყველა პარტიის ლიდერის მიმართ ბოღმა. ვიბრძოლოთ ჩვენი ქვეყნისთვის. ყველამ კარგად იცოდეს, რომ ჩვენ უკან არ დავიხევთ. უკან დამარცხებულები ვერ დავბრუნდებით!"**

დაახლოებით 11 საათისთვის, როდესაც აქცია მინავლდა, მომიტინგეთა ერთი ნაწილი პარლამენტისკენ მშვიდობიანად გაეშურა. მეც მათ გავყევი და ერთ ასეთ სურათს წავაწყდი. ორი შუახნის ქალი ავტობუსებს შორის ვიწრო ჭრილს მიუახლოვდა, ალბათ, მათაც ცნობისმოყვარეობა კლავდათ. მეორე მხრიდან კი ვიღაც ჩაფხუტიანმა დეიდებს მიმართა: გთხოვთ, შემოსვლას ნუ ეცდებით, აქ რა გინდათო. მერე კი ავტობუსებს მიღმა მდგომმა ძალოვანებმა, ერთგვარი დაშინების მიზნით, ფარებზე ხელკეტების ბრახაბრუხი ატეხეს. საბედნიეროდ, ნინო ბურჯანაძის დიდი ძალისხმევით, ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა.

მალე ხალხიც მიმოიფანტა და დღევანდელი აქციისთვის ძალების მოსაკრებად შინ გაემართა. რაც შეეხება სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულთ, მათ სააკაშვილმა საკრებულოს შენობა ღამის გასათევად დაუთმო: **"დღეიდან მერია თქვენია, ხვალიდან კი პარლამენტიც თქვენი იქნება!"**

გაზეთი ბათუმელები
NEWSPAPER BATUMELEBI
www.internews.ge/batumelebi
batumelebi@batumi.net
დამოუკიდებელი პრესის არსებობის პრეცედენტი აჭარაში

## გიორგობის დღე საქართველოსთვის უნდა იყოს გამარჯვების დღესასწაული

პირველი გვერდიდან

საკუთარი მომავლის დასაცავად. დღეს ჩვენ საქართველოში საქმე გვაქვს ევროპული ტიპის, ხავერდოვან, უსისხლო, დემოკრატიულ, საერთო-სახალხო რევოლუციასთან. ამ რევოლუციის მიზანი არის პრეზიდენტ შევარდნაძის უსისხლო გადაყენება, პრეზიდენტ შევარდნაძის მთავრობის დემოკრატიული გზით ხელისუფლებიდან ჩამოშორება, ჩვენი ღირსების აღდგენა, საქართველოსთვის მომავლის დაბრუნება. მე მინდა მივმართო ჩვენს დებს, ძმებს, დედებს, მამებს, შვილებს - დღეს გადამწყვეტი დღეა ჩვენი ერისთვის. დღეს მთელი მსოფლიო შემოჰყურებს საქართველოს. შევარდნაძის კორუმპირებული, ძირგამომპალი რეჟიმი ყოველმხრივ იზოლირებულია და დაგმობილია საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ. ქართველ ერს შეჰყურებს მსოფლიოს ყველა დედაქალაქი, საერთაშორისო ტელეკომპანიები მოვლენილია თბილისში და გადასცემენ ჩვენი აღტკინების, ჩვენი ერთიანობის ზეიმს.

მინდა მივმართო ჩვენს ძმებს აჭარიდან, თქვენ გმართავთ დესპოტური ტირანული ასლან აბაშიძის რეჟიმი. მჯერა, რომ აბაშიძე ვერ გამოგიყენებთ თქვენ დანარჩენი თქვენი ძმების წინააღმდეგ და ვერ გაგაკეთებინებთ იმას, რაც მას და შევარდნაძეს სურთ – ჩამოაგდონ შუღლი აჭარლებს და დანარჩენ საქართველოს შორის. აჭარაც, ქართლიც, იმერეთიც, სამეგრელოც, კახეთიც და საქართველოს ყველა სხვა კუთხე დღეს აბსოლუტურად ერთიანია.

მინდა მივმართო პოლიციას და შეიარაღებულ ძალებს, დღეს ქვეყანაში მიდის უსისხლო, დემოკრატიული, მშვიდობიანი, ხავერდოვანი რევოლუცია. გადმოდით თქვენი ხალხის მხარეს. მე ვხედავდი, როგორ გვეგებებოდნენ პოლიციელები. მათ, მიუხედავად მათი უფროსების, ნარჩემაშვილის და შევარდნაძის ბრძანებისა, მოხსნეს ბარიკადები, გვიქნევდნენ ხელს, გვიღიმოდნენ, გვესალმებოდნენ. ქართული პოლიცია დადგა ხალხის მხარეს. არ მეგულება საქართველოში ადამიანი, რომელიც გაბედავს ხელი აღმართოს საკუთარ ხალხზე და, მით უმეტეს, ესროლოს. და თუკი ამას ვინმე გეგმავს და თუკი ამას ვინმე გაბედავს, არ ვურჩევ მას მერე დედამიწის ზურგზე სიარულს. რისხვა, რომელიც მას დაატყდება, გაჰყვება მრავალ მის შთამომავალს. ნამდვილად არ ვურჩევ ამას არავის.

დღეს ჩვენი ერთიანობის დღეა. ჩვენ ვიწყებთ გამოსვლებს თავისუფლების მოედანზე. მთელი თბილისი, მთელი საქართველო უნდა დადგეს აქ. ამ წვიმაში, თოვლში, გაუსაძლის პირობებში, თუკი რაიმე მოძრაობდა და ტრანსპორტი იყო დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში, ყველა დაჯდა და დედაქალაქისკენ წამოვიდა. მაგრამ, მთავარი სიტყვა ქვეყნის გასათავისუფლებლად, იმ პირობებში, როცა რაიონებიდან ყველა ვერ წამოვიდა, უნდა თქვას საქართველოს დედაქალაქის თითოეულმა მკვიდრმა. დავდგებით ყველანი ერთად, ძმებო და მეგობრებო, ვიქნებით ბედნიერები და თავისუფლები. თუ დავუხრით თავს, მრავალი წელი და ათწლეული გვექნება სანანებლად, რომ დღეს დავუთმეთ ამ დესპოტურ, ძირგამომპალ რეჟიმს. დღეს წყდება ყველა ჩვენგანის ბედი, ყოველი ქართული ოჯახის ბედი, საქართველოს თითოეული მოქალაქის ბედი. არაფრის არ უნდა შეგვეშინდეს, ვერავინ ვერ გაბედავს თქვენს წინააღმდეგობას. მინდა მოგიწოდოთ, მოხვიდეთ თავისუფლების მოედანზე, რა ამინდიც არ უნდა იყოს, ცაც რომ ჩამოიქცეს, წვიმაც რომ იყოს, ქარიც რომ იყოს, თოვლიც რომ იყოს, მოდით, იმიტომ, რომ დღეს არის გადამწყვეტი დღე. ერთი დღე გავიჭირვოთ და გარწმუნებთ – თქვენ იცხოვრებთ ბედნიერ საქართველოში.

23 ნოემბერს არის გიორგობა და ეს დღე ჩემთვის სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვების დღეა. დღეს სიკეთე არის ქართველი ხალხის მხარეზე. დღეს ღმერთი არის ჩვენთან. დღეს ბოროტების განსახიერებაა ის კორუმპირებული, თქვენი აბუჩად ამგდები რეჟიმი, რომელიც დგას მეორე მხარეს. ჩვენ პიროვნულად არავის ვუპირისპირდებით, მაგრამ პრეზიდენტი შევარდნაძე უნდა გადადგეს და წავიდეს ყოველგვარი სისხლის და დაძაბულობის გარეშე.


ორდღიანი მარში მიხეილ სააკაშვილმა თავისუფლების მოედანზე დაასრულა.

მინდა იმ ადამიანებს ვუთხრა, ვინც მას გარშემო არტყია: თუ ახლა წინააღმდეგობას არ გაწევენ, თუ არ იქნებიან მისი დანაშაულის თანამონაწილენი, ჩვენ არავის დავუპირისპირდებით. ჩვენ არავის არაფერს დავუშავებთ, მაგრამ იცოდნენ, რომ თუ ისინი აღმართავენ ხელს საკუთარი ხალხის წინააღმდეგ, მათი დანაშაული იქნება მკაცრად დასჯილი. ახლა მათთვისაც გადაწყვეტილების მიღების დღე და მომენტია. ჩვენ ყველანი უნდა შევიკრიბოთ, გიორგობის დღე საქართველოს უნდა გაუთენდეს თავისუფლების პირობებში. გიორგობის დღე საქართველოსთვის უნდა იყოს გამარჯვების დღესასწაული. ჩვენ დღეს და ხვალ მოვიპოვებთ ჩვენს მომავალს, ჩვენს თავისუფლებას. აღვიდგენთ ჩვენს ღირსებას და დავუმტკიცებთ მთელ მსოფლიოს, რომ ჩვენ, ქართველები და, მთლიანად, საქართველოში მცხოვრები თითოეული მოქალაქე ძლიერი და თავისუფალი, წარმატებული და დიდი მომავლის მქონე ხალხი ვართ. ღმერთი ჩვენთან არის. სიმართლე ჩვენს მხარეზეა. გამარჯვება იქნება ჩვენთან!

## ერთმანეთის გულებში ნაპოვნი იმედი

მაია ურუშაძე

**"გა-და-დე-ქი! გა-და-დე-ქი!"** – ერთხმად სკანდირებდა გუშინ თავისუფლების მოედანზე შეკრებილი რამდენიმე ათასი ადამიანი. დასავლეთიდან თბილისისკენ ჯერ კიდევ მოიწევდნენ კოლონები წალენჯიხიდან, ზუგდიდიდან, სამტრედიიდან, ზესტაფონიდან, ქუთაისიდან, ხაშურიდან, გორიდან. დარისა თუ ავდრის მიუხედავად, მათ გზად ყვავილებითა და ლოცვა-კურთხევით ეგებებოდნენ. სამართალდამცველებს მათი შეჩერება არც უცდიათ. **"ხომ მართლა გაიმარჯვებთ, ხალხო?"** – გზადაგზა ჩუმად, თითქოსდა უფროსებისგან შეუმჩნევლად ეკითხებოდნენ მსვლელობის მონაწილეებს გაყინული რიგითი პოლიციელები.

თბილისის ქუჩებში კი მარშის მონაწილეებს მოუთმენლად ელოდნენ ადამიანები, ვისთვისაც ქუჩებში გაჭიმული ოთხკილომეტრიანი კოლონის ხილვაც კი საკმარისი იყო, რათა თავი საკუთარი ხალხის გვერდით ეგრძნოთ.

ასე, ნელ-ნელა ივსებოდა გუშინ თავისუფლების მოედანი. მომიტინგეთა რიგებს დროშების ფრიალით ნელ-ნელა ემატებოდნენ ახალი და ახალი ჯგუფები. მოედანი მხურვალე ოვაციებით ესალმებოდა ახალჩამოსულებს. აქ იყო სველი, დაღლილი ხალხი, მაგრამ აღარ იყვნენ სასოწარკვეთილი ადამიანები. **"ჩვენ ერთმანეთის გულებში იმედი ვიპოვეთ,"** – ყველაზე ზუსტად ერთმა ხანშიშესულმა ქალბატონმა ახსნა შეკრებილი ხალხის საერთო განწყობა.

საღამოს რვა საათისთვის პარლამენტის წინ გამართულ მიტინგსა და თავისუფლების მოედანს შორის აღმართული "იკარუსების"


იური მეჩითოვის ფოტო
ნინო ბურჯანაძის გამოჩენამ რუსთაველზე ვითარება განმუხტა.

ზღუდე აჭარიდან ჩამოყვანილი ხალხისთვის "ეკლის ღობედ" იქცა. არც ერთი შეიარაღებული ადამიანი არ მდგარა გუშინ თავისუფლების მოედანზე. პარლამენტის მიმდებარე ტერიტორია კი სრულ ალყაში იყო მოქცეული.

სხვათა შორის, არც "ბარიკადებს" და არც შეიარაღებულ კორდონს ხელი არ შეუშლია "მეზობელი" მიტინგის მონაწილეთათვის – ცოტნე ბაკურიასგან თავმობეზრებული აჭარლების პატარ-პატარა ჯგუფები რიგ-რიგობით იპარებოდნენ "ტერიტორიიდან", თუმცა უკან დაბრუნებას არც ისე ჩქარობდნენ. **"მაგათი გულისთვის თბილისში ორი ნაბიჯიც აღარ გავიაროთ, კაცო?"** – წუხდნენ გამოპარულები და ყველა შესაძლო მიზეზს იგონებდნენ იმისათვის, რომ ეს "ცუღლუტობა" "იმათ" არ შეემჩნიათ. **"თქვენთან ვართ, ხალხო,"** – ამბობდნენ და აჭარის "სპეცნაზის" ყოვლისმხედველი თვალისგან უჩუმრად ისევ უკან, მისჯილი ტერიტორიისკენ მიიპარებოდნენ.

თუმცა, იქაც, "აღორძინების" მიერ ალყაშემორტყმულ ტერიტორიაზე, აღწევდა თავისუფლების მოედნის გამოძახილი. **"გიორგობის დღესასწაული საქართველოს ბედნიერების, გათავისუფლების დღესასწაულად უნდა იქცეს,"** – სააკაშვილის ამ მოწოდებას თავისუფლების მოედანზე დაუფარავი სიხარული, კანცელარიის დერეფნებში კი შეუნიღბავი აღშფოთება მოჰყვა. ალბათ, ამით შეიძლება აიხსნას ის, რომ გუშინდელ დღეს პროვოკაციის გარეშე არ ჩაუვლია. ღამის 11 საათისთვის მეზობელ მომიტინგეებთან შელაპარაკება მაინც მოხდა, თუმცა ინციდენტის ჩახშობა იქვე შეძლო ნინო ბურჯანაძემ. **"ხელისუფლების სურვილიც ისაა, აქ ინციდენტის პროვოცირება მოახდინოს,"** – ეს სიტყვები საკმარისი აღმოჩნდა ვითარების დასარეგულირებლად.

ისე, როგორიც არ უნდა იყოს მთავრობის რეაქცია გუშინდელ საღამოზე, დღეს, პირველ საათზე, მომიტინგეებს აღმოსავლეთ საქართველოდან კიდევ რამდენიმე ათასი ადამიანი შეუერთდება. ის, რომ მათ პროვოკაციები ვერ შეაჩერებს, გუშინ ნათლად ჩანდა. ერთი რამ ცხადზე უცხადესია: გუშინ თავისუფლების მოედანზე ბედნიერი ხალხი იდგა, მათ ხომ ერთმანეთის გულებში დიდი ხნის დაკარგული რამ იპოვეს – მომავლის იმედი.

## ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის განცხადება საქართველოს საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით წარმოქმნილი კრიზისის თაობაზე

### მადლენ ოლბრაიტი: "მე ყოველთვის მწამდა, რომ საქართველოს გააჩნია უზარმაზარი შესაძლებლობები თავისი ხალხის გაბედულებისა და თავდადების წყალობით"

2003 წლის 2 ნოემბრის საარჩევნო პროცესმა ვერ უზრუნველყო არჩევნების იმ ოფიციალური შედეგის მიღება, რომელიც სწორად ასახავდა ქართველი ამომრჩევლის ნებას. ამის გამო საქართველოში განვითარდა პოლიტიკური კრიზისი.

კენჭისყრის დღეს მიუკერძოებელმა ქართველმა და საერთაშორისო დამკვირვებლებმა დოკუმენტურად ასახეს სამოქალაქო უფლებების მნიშვნელოვანი შეზღუდვები, რაც გამოწვეული იყო ამომრჩეველთა სიებში არსებული უზუსტობებით. გარდა ამისა, ისინი გახდნენ დაშინების, ყუთებში ყალბი ბიულეტენების ჩაყრის, ოქმების გადასწორებისა და სხვა სერიოზული დარღვევების მოწმეები. მსგავსი დარღვევები განსაკუთრებით აშკარა იყო აჭარაში, ქვემო ქართლსა და ზოგიერთ სხვა რეგიონში. არჩევნების ოფიციალური შედეგები არ ასახავს იმ ამომრჩეველთა ნებასაც კი, რომლებმაც მოახერხეს კენჭისყრაში მონაწილეობის მიღება. ამას ნათლად ადასტურებს ოფიციალურ შედეგებსა და სანდო ქართული სამოქალაქო ორგანიზაციის - "სამართლიანი არჩევნების" მიერ განხორციელებული ხმების პარალელური დათვლის (PVT) შედეგებს შორის არსებული განსხვავება.

"სამართლიანი არჩევნების" მიერ გავრცელებული შედეგები ეყრდნობა საარჩევნო უბნების შემაჯამებელი ოქმების მონაცემების პროფესიონალურ სტატისტიკურ ანალიზს. ხმების პარალელური დათვლა განხორციელდა მსოფლიოში აღიარებული მეთოდოლოგიის საფუძველზე და საერთაშორისო ექსპერტთა ტექნიკური დახმარებით, რაც ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა უზრუნველყო. ხმების პარალელური დათვლა NDI-ის დახმარებით მსოფლიოს 25-ზე მეტ ქვეყანაში წარმატებით განხორციელდა. NDI დარწმუნებულია "სამართლიანი არჩევნების" მიერ გამოცხადებული შედეგების სისწორეში და მიიჩნევს, რომ ის ზუსტად ასახავს 2 ნოემბერს კენჭისყრაში მონაწილეთა ნებას.

ხელისუფლებამ და ოპოზიციურმა პარტიებმა რამდენჯერმე სცადეს მდგომარეობის გამოსასწორებლად დიალოგის გამართვა. მსგავსი დიალოგის მიზანი არჩევნების იმ შედეგების ცნობა უნდა იყოს, რომელიც ქართველი ხალხის ნებას გამოხატავს. ნებისმიერ შემთხვევაში, გამოსავლის ძიებაში მშვიდობიანი მეთოდები უნდა იქნეს გამოყენებული.

NDI მოუწოდებს პრეზიდენტ შევარდნაძეს, საქართველოს ხელისუფლებასა და ქართველ სამართალდამცავებს, პატივი სცენ ამომრჩეველთა სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს ამ დაძაბულ არჩევნებისშემდგომ პერიოდში. ამასთანავე, ინსტიტუტი მოუწოდებს ყველა პოლიტიკურ ლიდერს, დაარწმუნონ თავიანთი მხარდამჭერები, პატივი სცენ სხვათა უფლებებს და არ მიმართონ ძალადობრივ ქმედებებს.

**"წარუმატებელმა საარჩევნო პროცესმა საქართველოში შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მშვიდობასა და სტაბილურობას და ქართველი ხალხის უფლებას, აირჩიონ ისინი, ვისაც ანდობენ ხალხის სახელით ქვეყნის მართვასა და მათი ინტერესების დაცვას,"** - განაცხადა NDI-ის გამგეობის თავმჯდომარემ, აშშ-ის ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა მადლენ ოლბრაიტმა. **"მე ყოველთვის მწამდა, რომ საქართველოს გააჩნია უზარმაზარი შესაძლებლობები თავისი ხალხის გაბედულებისა და თავდადების წყალობით. მიმდინარე მოვლენებს გულდაწყვეტითა და შეშფოთებით აღვიქვამ. საქართველოს პოლიტიკურმა ლიდერებმა დაუყოვნებლივ უნდა მოძებნონ ისეთი გამოსავალი, რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქეთა ძირითადი უფლებების, მათ შორის სამართლიან არჩევნებში მონაწილეობის უფლების დაცვას. საერთაშორისო საზოგადოებამაც დაუყოვნებლივ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა და მიმართოს მძლავრ და შეთანხმებულ ქმედებებს ორმხრივი ურთიერთობების, ასევე ეუთო-სა და გაერო-ს შუამდგომლობის გამოყენებით, რათა თავიდან იქნეს აცილებული ძალადობა და კრიზისის გამწვავება,"** - დაამატა მან.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფარუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ეთერ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, [illegible]

# ჩემი არჩევანი

ლევან ალექსიძე
პრეზიდენტის მრჩეველი
საერთაშორისო სამართლის
საკითხებში



გუშინ დასრულდა ფარსი, პირობითი სახელწოდებით "საქართველოს პარლამენტის თავისუფალი და გამჭვირვალე არჩევნები", იმ საკანონმდებლო ორგანოს არჩევნები, რომელიც მოწოდებულია, გამოხატოს ხალხის ნება. ეს უნიჭოდ დადგმული სპექტაკლი სამი აქტისაგან შედგებოდა: არჩევნებისათვის მზადება (ამომრჩეველთა ყალბი სიების შედგენა), არჩევნების ჩატარება (ათიათასობით ამომრჩევლისათვის მათი ძირითადი კონსტიტუციური უფლების - ხმის უფლების წართმევა) და კენჭისყრის შედეგების დათვლა (რომელიც თავდაპირველად ხელსაყრელი მომენტის ლოდინში, ხოლო შემდეგ კი ბიულეტენებისა და ოქმების მასიურ გაყალბებაში გამოიხატა).

კენჭისყრის შედეგების დათვლამ ცხადყო ქართველი ხალხის ნების უგულებელყოფა პრეზიდენტის გარემოცვაში მყოფი ერთი მუჭა პოლიტიკანებისა და საქართველოს ერთი რეგიონის დესპოტური მმართველობის სასარგებლოდ, რომლის ფსევდოოპოზიციურობა ამ ბოლო ხანებში გამოაშკარავდა.

ის ფაქტი, რომ არჩევნები გაყალბდა, არაერთხელ დადასტურებულია ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტებისა და დამკვირვებლების მიერ. პრეზიდენტი, როგორც მთლიანად კონსტიტუციის, უპირველეს ყოვლისა კი საკუთარი ქვეყნის მოქალაქეთა საარჩევნო ხმის უფლების გარანტი, ვალდებული იყო არჩევნების ბათილობის მოთხოვნით მიემართა ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის და საკონსტიტუციო სასამართლოსათვის, რადგან სწორედ პრეზიდენტის პოზიცია მნიშვნელოვან გავლენას მოახდენდა ცესკო-ზე.

მაგრამ პრეზიდენტმა სხვა გზა არჩია. მან დახუჭა თვალი საარჩევნო უბნებსა და მათ ზემდგომ ინსტანციებში დაფიქსირებულ უკანონობაზე, არაფრად ჩააგდო იმ ათიათასობით ამომრჩეველთა გულისწყრომა, რომელთაც უარი ეთქვათ საკუთარი ხმის უფლების განხორციელებაზე და მხარდაჭერისათვის აჭარის სეპარატისტულად განწყობილ ლიდერს მიმართა.

მომხდარ ფაქტს თავისთავად უნდა გამოეწვია დაუყოვნებელი და ადეკვატური რეაქცია პრეზიდენტის მხრიდან. ამის სანაცვლოდ კი ის "რეგიონის შემდგომი გაძლიერების" მოწოდებით გამოვიდა. უფრო მეტიც, საქართველოს პრეზიდენტის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის "პრეზიდენტთან" სტუმრობის შედეგად (სწორედ ასე ჟღერს ახლა ავტონომიის მეთაურის ტიტული ინგლისურ ენაზე), აჭარის "პრეზიდენტმა" ელვისუსწრაფესი ვიზიტებით მოინახულა ერევანი, ბაქო და მოსკოვი, რის შემდეგაც თბილისში გადმოსვეს დესანტი ავტონომიის ხელმძღვანელობის სრული პოლიტიკური სპექტრის შემადგენლობით. მათთან ერთად დედაქალაქში ჩამოიყვანეს მატარებლებსა და ავტობუსებში იძულებით ჩასმული საბიუჯეტო დაწესებულებების თანამშრომლები, რომლებიც "აღორძინების" მიერ სამთავრობო ბლოკის მხარდაჭერით ორგანიზებული თავყრილობის მსხვერპლად იქცნენ.

არ შეიძლება არ შეგვაშფოთოს იმ ფაქტმა, რომ, სრულიად მოულოდნელად, კრიზისიდან გამოსვლის გზების მაძიებელთა და მრჩეველთა რიგებში აღმოჩნდა რუსეთი, რუსეთი, რომლის აქტიური მოღვაწეობის შედეგად დღეს საქართველო არასახარბიელო მდგომარეობაში იმყოფება.

ამავე დროს, აღსანიშნავია ისიც, რომ სრულიად იგნორირებულია იმ დასავლელი მეგობრების შეხედულებები და პოზიციები, ვინც წლების განმავლობაში ყოველგვარ ღონეს ხმარობდა საქართველოს სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის მხარდასაჭერად. სხვათა შორის, ვგულისხმობ არა მხოლოდ მორალურ, არამედ ფინანსურ მხარდაჭერასაც.

პრეზიდენტმა პარლამენტის შენობის წინ მიმდინარე იმ ვაკხანალიაზეც დახუჭა თვალი, სადაც ხშირად ჟღერს მუქარა გაერთიანებული ოპოზიციის, ბიზნესმენების და იმ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიმართ, რომლებიც ობიექტურად აშუქებენ მიმდინარე მოვლენებს.

"ჭეშმარიტი დემოკრატიისკენ" მოწოდებები იმ რეგიონიდან ისმის, სადაც უკვე დიდი ხანია აღარაფრად აგდებენ სიტყვის თავისუფლებას, კომერციული საქმიანობის თავისუფლებას და ადამიანის უფლებებს (მაგალითისათვის ისიც გამოგვადგება, თუ რა ბედი ეწიათ ასანიძესა და მშვენიერაძეს).

არის სურვილი, მიმდინარე მოვლენები წარმოაჩინონ, როგორც ქართული საზოგადოების ორი ნაწილის ურთიერთდაპირისპირება, სინამდვილეში კი, სიტუაციის დესტაბილიზაციის მცდელობის კამუფლაჟთან გვაქვს საქმე. ხდება ერთ მუჭა ერთგულ ქვეშევრდომთა და მათზე მატერიალურად დამოკიდებულ პირთა დაპირისპირება ასიათასობით, ვიმეორებ, საქართველოს ასიათასობით მოქალაქესთან, ვინც შეურაცხყოფისა და დამცირებისგან ხმა აღიმაღლა ერთადერთი მოთხოვნით - გაუქმდეს ე.წ. არჩევნების შედეგები და ჩატარდეს ახალი, ჭეშმარიტად დემოკრატიული არჩევნები.

სამწუხაროდ, პრეზიდენტი ამ შემთხვევაშიც არ უხმობს გონიერებას, თუმცა, სახელმწიფო კანცელარიის კედლებშიც კი არსებობს განსხვავებული აზრი.

პრეზიდენტი არც დალოდებია ცენტრალური საარჩევნო კომისიის სამარცხვინო გადაწყვეტილებასთან უშუალოდ დაკავშირებულ იურიდიულ პროცედურათა დასრულებას, ისე დანიშნა ე.წ. პარლამენტის პირველი სხდომა; არც ის გაუთვალისწინებია, რას იტყვის საქართველოს უზენაესი სასამართლო. გულახდილად გეტყვით, ვთვლი, რომ საქართველოს სასამართლო ხელისუფლება სერიოზული გამოცდის წინაშე დადგა საკუთარი დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის დამტკიცების საკითხში. ამ ქმედებით პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ გადააბიჯა კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებს და კვლავაც დარჩა უკვე ნაცნობი ილუზიის ტყვეობაში - "ყველაფერი მოგვარდება". თუმცა მისი პოზიცია - "არაფერი მესმის, არაფერს ვხედავ და მხოლოდ ვლაპარაკობ", შესაძლოა, გამოუსწორებელი შედეგების მიზეზი გახდეს.

პრეზიდენტი არღვევს არა მარტო კონსტიტუციას, არამედ საერთაშორისო სამართლის ელემენტარულ ნორმებსაც კი, კერძოდ, ევროპის კონვენციას "ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ", ოქმი №1, რომელიც ხელშემკვრელ მხარეთაგან მოითხოვს თავისუფალი არჩევნების ჩატარებას (საქართველომ მოახდინა ამ ოქმის რატიფიცირება).

"ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ" ოქმი №1; მუხლი 3:

"ჩაატარონ თავისუფალი არჩევნები ფარული ხმის მიცემის გზით, იმგვარ პირობებში, რომლებიც უზრუნველყოფს ხალხის თავისუფალი ნების გამოხატვას საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოების წევრთა არჩევის დროს".

სწორედ არჩევნების ჩატარების ამგვარ გზაზე მიუთითებდა ბეიკერი, რომელსაც შიშით გაემიჯნა, როგორც არსებული ხელისუფლება, ასევე ე.წ. ოპოზიცია, იმ მოტივით, თითქოსდა სათანადოდ არ იქნებოდა გათვალისწინებული იმ პოლიტიკურ პარტიათა და ბლოკთა ინტერესები, რომლებიც მოსახლეობის ვითომდა მხარდაჭერით სარგებლობდნენ. იგულისხმებოდა ოთხი წლის წინანდელი არჩევნების შედეგები. ამ პარტიების ოპოზიციურობის ხარისხი დღეს ნათლად გამოჩნდა საქართველოს პარლამენტის კედლებთან, არსებული ხელისუფლების გააფთრებულ მხარდაჭერაში. ნათელი გახდა ისიც, რისთვის იბრძოდა სახელისუფლებო ბლოკი და ე.წ. ოპოზიციური პარტია "აღორძინება", როდესაც ცესკო-ში დღევანდელი შემადგენლობის შეყვანას ცდილობდნენ. ბეიკერის გეგმის ამოქმედების შემთხვევაში, არჩევნების ჩატარება და ხმების დათვლა აბსოლუტურად სხვაგვარად მოხდებოდა, შესაბამისად, არ ექნებოდა ადგილი დაპირისპირებას ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის.

ამგვარად, საქართველოს პრეზიდენტმა დაარღვია დემოკრატიის ძირითადი მცნება - "ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები", იმ დროს, როდესაც საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლი გვაუწყებს:

"სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდულია იმ უფლებებით და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით".

ამგვარად, სრულიად ნათელია, რომ პრეზიდენტმა, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის და საერთაშორისო სამართლის ჭეშმარიტი გარანტი უნდა ყოფილიყო და, რაც ლოგიკურად ე.წ. არჩევნების შედეგების გაუქმებასაც გულისხმობს, სხვა გზა არჩია: დაარღვია როგორც კონსტიტუცია, ასევე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და ნორმები.

# საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივნის თედო ჯაფარიძის განცხადება



ჩემი დღევანდელი განცხადებით მსურს მივმართო მთელს ქართულ საზოგადოებას და, განსაკუთრებით, მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ყველა აქტიურ მონაწილეს, როგორც ხელისუფლების, ასევე ოპოზიციის მხრიდან.

უკანასკნელი თვეების მანძილზე მე შეგნებულად ვარიდებდი თავს ჟურნალისტებთან ურთიერთობას, მაგრამ დღეს შეიქმნა ისეთი ვითარება, როდესაც გაჩუმება, თავის შეფარება და სიტუაციისაგან იზოლირება მორალური დანაშაულია ჩემი ქვეყნისა და თანამოქალაქეების წინაშე.

ალბათ ყველას კარგად მოეხსენება, რომ მე არ ვიყავი ჩართული საპარლამენტო არჩევნების მზადებისა და ჩატარების პროცესში. თუმცა, როგორც ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი და ქვეყნის ძალოვანი უწყებების კოორდინატორი, სრულად ვფლობ ინფორმაციას მიმდინარე მოვლენების შესახებ. ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და სასამართლოების გადაწყვეტილებებმა კიდევ ერთხელ დაგვანახეს, რომ საპარლამენტო არჩევნებმა დიდი ხარვეზებით ჩაიარა, ადგილი ჰქონდა ხმის მიცემისა და დათვლის გაყალბების ფაქტებს. ამასთან, გაყალბებაში, ურთიერთგარიგებების გზით, შეძლების ფარგლებში ყველა პოლიტიკური ძალა მონაწილეობდა.

სამწუხაროდ, ამ არჩევნების მთავარ "მიღწევად" შეიძლება ჩაითვალოს ტრანსპარენტულობის უპრეცედენტო დონე, რაც გამოიხატება სწორედ იმაში, რომ სხვადასხვა პოლიტიკური ძალები დაუფარავად საუბრობენ გარიგებების გზით არჩევნების შედეგების შეცვლის მექანიზმებსა და მოდელებზე. ქვეყნის პრეზიდენტის ზურგს უკან ინტენსიურად წარმოებდა მოლაპარაკებები ვითომდა შექმნილი ვითარების დასარეგულირებლად, სინამდვილეში კი ყველა იღვწოდა საკუთარი ვიწრო, ხშირად უკანონო ინტერესების დაკმაყოფილებისა და დაცვისათვის.

ყოველივე ამით ილახება საქართველოს სახე - უკვე გამოუსწორებელი ზიანი მიადგა ქვეყნის, როგორც მსოფლიოს დემოკრატიული თანამეგობრობის წევრის რეპუტაციას. შეიძლება დაიკარგოს ყველაფერი ის, რასაც ჩვენ ყველამ, და პირველ რიგში საქართველოს პრეზიდენტმა, უმძიმესი შრომისა და წვალების ფასად ნაბიჯ-ნაბიჯ მივაღწიეთ საერთაშორისო არენაზე. უფრო მეტიც - უკვე სერიოზული საფრთხე შეექმნა ისეთი სასიცოცხლოდ აუცილებელი სამომავლო პერსპექტივის რეალიზებას, როგორიცაა საქართველოს ევროპაში ინტეგრაცია და ევრაზიული სატრანსპორტო დერეფნის სრულფასოვნად ამოქმედება. ილახება საქართველოს პრეზიდენტის პირადი იმიჯი და მისი, როგორც ქვეყნის ყველა მოქალაქის, კონსტიტუციური გარანტის როლი.

საპარლამენტო არჩევნები გადაიზარდა დაუფარავ ბრძოლაში თანამდებობების, სკამების შენარჩუნებისა და მოპოვებისათვის. რაც განსაკუთრებით საგანგაშოა, არსებობს როგორც ქართული სპეცსამსახურების, ასევე ჩვენი მეგობარი და მეზობელი ქვეყნების მიერ მოწოდებული უტყუარი ინფორმაციები, რომ ამ ბრძოლაში რეალურად არსებობს სისხლის დაღვრის პერსპექტივა. საგანგაშო სიგნალები უკვე დიდი ხანია არსებობს და გროვდება, მაგრამ იმან, რაც უკანასკნელ დღეებში ხდება, ყველა ზღვარს გადააჭარბა. პრეზიდენტის ზურგს უკან წარმოებული გარიგებების შედეგად ქვეყანაში იქმნება "ყველა ყველას" წინააღმდეგ სიტუაცია და ეს ყველაფერი, რაც საქართველოს წინააღმდეგ შექმნილი დიდი გეგმის ნაწილი შეიძლება იყოს, ხდება ქართველების მონაწილეობით, ქართველების ხელით და ქართველების სისხლის ფასად.

მინდა საჯაროდ მივმართო ყველას, ვის გეგმაშიც შედის სისხლიანი დაპირისპირება - თუ ქვეყანა აირევა, თუ სისხლი დაიღვრება, ნურავინ იფიქრებთ, რომ რომელიმე თქვენგანი მიაღწევს დასახულ მიზანს და ვინმეს შერჩება უდანაშაულო ხალხის სისხლის ფასად მოპოვებული ძალაუფლება. არანაირი თანამდებობა არ ღირს თუნდაც ერთი ადამიანის სიცოცხლედ. მით უმეტეს ნურავის ექნება იმის ილუზია, რომ მოხერხდება დაწყებული სისხლისღვრის სწრაფად შეჩერება - თუ დაპირისპირება დაიწყო, ეს იქნება ყოვლისმომცველი და ბევრად უფრო საშიში, ვიდრე იყო 10 წლის წინ. ჩვენ ყველას გვაქვს სამწუხარო გამოცდილება, როდესაც ანალოგიურ სიტუაციაში კრიმინალურმა ძალებმა ერთხელ უკვე მოახერხეს პოლიტიკური პროცესების თავის სასარგებლოდ გამოყენება და ქვეყნის განუკითხაობაში ჩაძირვა. ასეთი ძალები და ამის ნიშნები უკვე არის - ამჯერადაც აქტიურად მუშაობენ ასპარეზის ხელში ჩასაგდებად.

ძალზე მაშფოთებს უკანასკნელ ხანს სულ უფრო ძლიერად გამოკვეთილი ტენდენციაც, როდესაც ქვეყნის მართვა და უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების მიღება ხდება არა კონსტიტუციურად ლეგიტიმური სახელისუფლებო ორგანოების, არამედ პარტიული ნიშნით შექმნილი ჯგუფების თუ შტატების მიერ და, რაც განსაკუთრებით საშიშია, ეს ხდება პრეზიდენტის ზურგს უკან და მისი დეზინფორმირების გზით. სამწუხაროდ, ჩვენ ხშირად გვავიწყდება, რომ საქართველო არ ეკუთვნის არც ერთ პოლიტიკურ პარტიას ან თანამდებობის პირს, საქართველო ეკუთვნის ხალხს, ჩვენს შვილებს და მათ შვილებს.

ასევე მიუღებელია ჩემთვის ის ანტაგონიზმი, რომელსაც ამ უკანასკნელ ხანს ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი იჩენს პოლიტიკური ოპოზიციის მიმართ. ყველა კონკრეტული თანამდებობის პირის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებისა თუ რიგითი პიროვნების შეფასება უნდა ხდებოდეს მისი ნამოღვაწარის და ქვეყნის საკეთილდღეოდ გაკეთებული საქმეების, და არა პარტიული კუთვნილების ან პირადი სიმპათიების საფუძველზე. პოლიტიკური მტრების ძებნამ და "კუდიანებზე ნადირობამ" შეიძლება დაგვაკარგვინოს ის, რაც დღემდე რჩება ქართული სახელმწიფოს და მისი პრეზიდენტის ძირითად მონაპოვრად - სიტყვის თავისუფლება. ვფიქრობ, ყველამ უნდა ისწავლოს ქვეყნის პრეზიდენტისგან, რომელიც მუდმივად იძლევა კარგ მაგალითს, თუ როგორ უნდა სიტყვის თავისუფლებისა და პოლიტიკური ოპონენტების პატივისცემა.

აგრეთვე უკიდურესად შემაშფოთებელი და მიუღებელია პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ეთნიკური თუ კუთხური ნიშნით მანიპულირება, იმის პროპაგანდა, რომ საქართველოში ქართველები უპირისპირდებიან რომელიმე სხვა ეროვნებას - საქართველო აბსოლუტურად თანაბრად ეკუთვნის მის ყველა მოქალაქეს, ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად, და ყველას უნდა ჰქონდეს საკუთარი პოლიტიკური პოზიციის თავისუფლად გამოხატვის უფლება.

სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხის თავიდან ასაცილებლად საჭიროა მუშაობა შექმნილი ვითარების განსამუხტავად, რეალური პოლიტიკური დიალოგის დაწყება ყველასათვის მისაღები პოლიტიკური კონსენსუსის მისაღწევად, იმ ხალხის დასჯა, ვისმა გააზრებულმა თუ გაუაზრებელმა ქმედებებმაც ამ დღეში ჩააგდო ჩვენი ქვეყანა, მისი პრეზიდენტი და არა ფსევდოპატრიოტული შეძახილები, ვითომდაც წინმჭვრეტი პოლიტიკური პროგნოზები და სამოქალაქო დაპირისპირების გაღვივება.

ქვეყანაში უნდა დამყარდეს სრული კონსტიტუციური წესრიგი. ხალხმა, ჩვენმა მოსახლეობამ უნდა გაითავისოს პასუხისმგებლობის საკუთარი წილი ქვეყანაში წესრიგის დამყარებისათვის. ამისათვის კი აუცილებელი წინაპირობაა, რომ ხელისუფლებამ, მისმა სამივე შტომ, მთელმა პოლიტიკურმა ოპოზიციამ ბოლომდე გააცნობიეროს საკუთარი პასუხისმგებლობა ქვეყნის წინაშე და ყველამ გადადგას ადეკვატური ნაბიჯები.

ცხადია, ეს პირველ რიგში შეეხება ხელისუფლებას და ოპოზიციის რადიკალურ ნაწილს, მაგრამ მე ასევე მივმართავ იმ ხალხს, იმ პოლიტიკოსებს, საზოგადოების ძირითად ნაწილს, რომელიც დღეს, უბრალოდ, დაბნეულია და არ იცის, რა გზას დაადგეს - ქვეყნის უსაფრთხოების მდგრადობა შერყეულია და დღეს, როგორც არასდროს, საჭიროა, რომ პოლიტიკოსები, სახელმწიფო მოღვაწეები, იურისტები ერთად დასხდნენ და მოიფიქრონ სამართლებრივად გამართული გამოსავალი შექმნილი კრიზისიდან. აუცილებელია გავითვალისწინოთ იმ ათასობით და ათიათასობით ადამიანის ნება, ვინც შეურაცხყოფილია საარჩევნო პროცესში არსებული დარღვევებით და მათი ძირითადი კონსტიტუციური უფლების იგნორირებით, მაგრამ არ აკეთებს რადიკალურ განცხადებებს და არ მონაწილეობს ქუჩის აქციებში სამოქალაქო დაპირისპირებისა და ძალადობის თავიდან ასაცილებლად.

ამ კუთხით, მივესალმები და მხარს ვუჭერ სახელისუფლებო ბლოკის მხრიდან გუშინ გაჟღერებულ წინადადებას, რომ ახლად არჩეულმა პარლამენტმა აუცილებლად დაიწყოს მუშაობა და იფუნქციონიროს მხოლოდ დროებით, ახალი, რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების ჩატარებამდე.

მინდა ასევე ხაზგასმით დავაფიქსირო, რომ მიუღებლად მიმაჩნია არაკონსტიტუციური გზით პრეზიდენტის გადაყენების მოთხოვნა. აქ საქმე პიროვნებაში არ არის - ლეგიტიმურობის წყვეტა უმძიმეს შედეგებს მოუტანს ქვეყანას. საქართველომ ჯერ კიდევ ვერ დაძლია ბოლომდე პირველი პრეზიდენტის არაკონსტიტუციური შეცვლის შედეგები. თუ იგივე განმეორდება ახლაც, შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ქართულ პოლიტიკურ სისტემაში უახლოესი 20-30 წლის მანძილზე მყარად დამკვიდრდება კონსტიტუციური უკანონობის სინდრომი, რაც სხვა არაფერია, თუ არა ქვეყნის ე.წ. "ბანანის რესპუბლიკად" გადაქცევა.

ვიცი, რომ პრეზიდენტი დღეს მძიმე ვითარებაშია და ინფორმაციულად იზოლირებულია გარკვეულ პირთა ჯგუფის ძალისხმევის შედეგად. ისიც ვიცი, რომ ხშირ შემთხვევაში შეგნებულად ხდება პრეზიდენტის რთულ მდგომარეობაში ჩაყენება. კატეგორიულად მიუღებლად მესახება ნებისმიერი ძალის მხრიდან პრეზიდენტის შანტაჟირების მცდელობა და მისი დაყენება ისეთი დილემის წინაშე, როდესაც რაიმე პოლიტიკურმა კომპრომისმა არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით შეიძლება გამოიწვიოს საქართველოს დაშლა მისი ერთ-ერთი ძირძველი კუთხის ჩამოშორების გზით.

მინდა მივმართო ყველა ჩემს მეგობარს ამერიკის შეერთებულ შტატებში, უკრაინაში, აზერბაიჯანში, სომხეთში, რუსეთში, რუმინეთში, უზბეკეთში, ყველა ჩვენს მეგობარ ქვეყანაში - შექმნილ კრიტიკულ ვითარებაში სწორედ თქვენი პოზიცია, თქვენი მონაწილეობა შეიძლება აღმოჩნდეს გადამწყვეტი შექმნილი კრიზისის დაძლევაში. საქართველო არ უნდა იყოს არც პროამერიკული, არც პრორუსული და არც პროავსტრალიური - საქართველოს სახელმწიფო უნდა იყოს პროქართული და ემსახურებოდეს აქ მცხოვრებ ყველა ეროვნების ადამიანს.

ამ განცხადებით მე არ მაქვს იმის სურვილი, რომ ერის სულიერ ან პოლიტიკურ ლიდერობაზე გამოვთქვა პრეტენზია და ხმამაღალი მოწოდებები ვაკეთო. ჩემი ნაბიჯი არის იმ რიგითი ქართველი ადამიანის, რიგითი თბილისელის განგაშის ზარი, საზოგადოების ყურადღების მიქცევის მცდელობა არსებულ ვითარებაზე, რომელსაც ამ მომენტისათვის გარკვეული თანამდებობა უკავია და ფლობს ადეკვატურ ინფორმაციას. მე მინდა ვიყო მართალი ჩემი ქვეყნის, ჩემი ხალხის, ჩემი სინდისისა და ჩემი ოჯახის წინაშე.

# შალვა ნათელაშვილი მოვლენების განვითარებას ბირგვებიდან დააკვირდება

გიორგი ასანიშვილი

[illegible]

მონიტორინგი

# 10 თვის ბიუჯეტი 276,31 მილიონით გაირღვა

ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლების და გრანტების წლიური გეგმა 10 თვის მონაცემებით შესრულებულია 66,9 პროცენტით, გარღვევა 276,31 მილიონი ლარია. მათ შორის საგადასახადო შემოსავლებში გარღვევა 176,6 მილიონი ლარია, არასაგადასახადო შემოსავლებში - 27,1 მილიონი ლარი, ხოლო გრანტებში - 72,64 მილიონი ლარი.

10 თვის მონაცემებით, დეფიციტის დაფინანსების წლიური გეგმა შესრულებულია 75,4 პროცენტით, გარღვევა 57 მილიონი ლარია.

დარჩენილ ორ თვეში ცენტრალურ ბიუჯეტში მობილიზებულ უნდა იქნეს 333,23 მილიონი ლარი; ანუ 10 თვის განმავლობაში ამოღებული თანხის - 731,77 მილიონი ლარის 46 პროცენტი.

არსებული ტენდენციების შენარჩუნების პირობებში წლის ბოლომდე გარღვევა ცენტრალური ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებში, დაახლოებით, 95 მილიონ ლარს შეადგენს, არასაგადასახადო შემოსავლებში - 21-23 მილიონ ლარს, ხოლო გრანტებში კი 72,5 მილიონ ლარს.

წლის ბოლომდე დეფიციტის დაფინანსებაში გარღვევა, დაახლოებით, 26 მილიონ ლარს შეადგენს.

შესაბამისად, ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლებსა და დეფიციტის დაფინანსებაში დანაკლისი წლის ბოლომდე 215-217 მილიონი ლარი იქნება.

10 თვის მონაცემებით, ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯების წლიური გეგმა დაფინანსებულია 72,5 პროცენტით, გარღვევა 291,6 მილიონი ლარია.

სამწუხაროდ, კვლავ უნდა გავიმეოროთ 9 თვის შედეგების ანალიზისას გამოთქმული პროგნოზები.

ხელფასები დაფინანსებულია 70 პროცენტით, გარღვევა 40,3 მილიონი ლარია. შრომის ანაზღაურების ერთი თვის გეგმა, დაახლოებით, 11 მილიონი ლარია. შესაბამისად, წლის ბოლომდე დაუფინანსებელი დარჩება მინიმუმ ორი თვის ხელფასი.

ლტოლვილთა შემწეობები დაფინანსებულია 74,4 პროცენტით, გარღვევა 10,1 მილიონი ლარია. ერთი თვის გეგმა 3,3 მილიონი ლარია. შესაბამისად, წლის ბოლომდე დაუფინანსებელია ორი თვის შემწეობა.

საბიუჯეტო ორგანიზაციების კვების ხარჯები დაფინანსებულია 69,1 პროცენტით, გარღვევა 6,4 მილიონი ლარია. კვების ხარჯების ერთი თვის გეგმა, დაახლოებით, 1,7 მილიონი ლარია. შესაბამისად, წლის ბოლომდე საბიუჯეტო ორგანიზაციათა უდიდესი ნაწილი ვერ მიიღებს ორი თვის კვების თანხებს.

ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების ტრანსფერი (ძირითადად, პედაგოგთა ხელფასები) დაფინანსებულია 68,7 პროცენტით, გარღვევა 26,8 მილიონი ლარია. ერთი თვის გეგმა, დაახლოებით, 6,9 მილიონი ლარია. შესაბამისად, დაუფინანსებელი დარჩება პედაგოგების მინიმუმ ორი თვის ხელფასი.

თუ რაიმე გადამჭრელი ზომები არ იქნა მიღებული შემოსავლების მობილიზაციის კუთხით, დაცული მუხლების დაფინანსება კიდევ უფრო გაუარესდება.

*შპს "დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე"*

| ხარჯები | წლის გეგმა | [illegible] | შესრულების %-ში წლის გეგმასთან |
|---|---|---|---|
| [illegible] | 134,377.5 | 94,030.1 | 69.97% |
| [illegible] | 28,079.4 | 20,152.2 | 71.77% |
| [illegible] | 6,339.8 | 4,292.0 | 67.70% |
| [illegible] | 152,081.2 | 88,595.1 | 58.26% |
| [illegible] | | 4,364.4 | |
| [illegible] | | 21,263.4 | |
| [illegible] | 20,899.1 | 14,481.7 | 69.31% |
| [illegible] | | 238.4 | |
| [illegible] | | 3,353.4 | |
| [illegible] | | 10,839.9 | |
| [illegible] | | 8,536.3 | |
| [illegible] | | 25,697.9 | |
| [illegible] | 143,659.5 | 128,560.5 | 89.49% |
| [illegible] | 59,000.0 | 50,712.5 | 85.95% |
| [illegible] | 84,659.5 | 77,848.0 | 91.95% |
| [illegible] | 342,127.0 | 239,259.1 | 70.25% |
| [illegible] | 26,775.0 | 22,998.9 | 85.90% |
| [illegible] | 30,368.5 | 10,256.5 | 33.77% |
| [illegible] | 775.0 | 648.3 | 83.65% |
| [illegible] | 14,400.0 | 12,000.0 | 83.33% |
| [illegible] | 3,865.0 | 1,182.0 | 30.58% |
| [illegible] | 400.0 | 250.0 | 62.50% |
| [illegible] | 390.0 | 228.0 | 58.46% |
| [illegible] | 39,564.0 | 29,441.2 | 74.41% |
| [illegible] | 85,645.0 | 58,872.0 | 68.74% |
| [illegible] | 3,898.9 | 2,970.1 | 76.18% |
| [illegible] | 12,500.0 | 9,957.4 | 79.66% |
| [illegible] | 38,000.0 | 34,006.7 | 89.49% |
| [illegible] | 5,180.1 | 1,229.5 | 23.73% |
| [illegible] | 241,976.0 | 176,068.3 | 72.76% |
| [illegible] | 25,176.0 | 23,050.4 | 91.56% |
| [illegible] | 78,200.0 | 44,044.0 | 56.32% |
| [illegible] | 137,800.0 | 108,173.9 | 78.50% |
| [illegible] | 800.0 | 800.0 | 100.00% |
| სულ: | 1,023,920.9 | 732,106.6 | 71.52% |

| | |
|---|---|
| [illegible] | 1,511.3 |
| [illegible] | 0.0 |
| [illegible] | 1,511.3 |

# ლტოლვილთა შემწეობები გაუცემელია, დევნილი ხელისუფლება კი დუმს

როგორც იქნა, წინა კვირას დასრულდა სექტემბრის თვის ხელფასების დაფინანსება. ბოლო ამჯერადაც თავდაცვის და შინაგან საქმეთა სამინისტროები აღმოჩნდა.

დაიწყო ოქტომბრის თვის პედაგოგების ხელფასების გაცემა. სრულად დაფინანსდა კახეთის რეგიონი და ზუგდიდის რაიონი. საინტერესოა, რატომ გაკეთდა ასეთი პრიორიტეტი?

14 ნომბრისათვის ჯერ კიდევ დაუფინანსებელია ლტოლვილთა ოქტომბრის თვის შემწეობები. რატომ დუმს დევნილი ხელისუფლება?

ამავე დროს მნიშვნელოვანი თანხებია გაცემული "მივლინებების" და "სხვა საქონელი და მომსახურების" მუხლების დასაფინანსებლად. უმთავრესად დაფინანსებულია ძალოვანი სტრუქტურები.

სოციალური ხარჯების დაუფინანსებლობის პირობებში, მთავრობისთვის კვლავ პრიორიტეტული რჩება სახელმწიფო ტელევიზიის სუბსიდირება. წინა კვირას სუბსიდიამ 1 მილიონი ლარი შეადგინა.

*შპს "დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე"*

2003 წლის 10 - 14 ნოემბრის პერიოდში ცენტრალური ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯები

| № | დასახელება | თანხა (ათას ლარებში) |
|---|---|---|
| 1 | [illegible] | 3,317.5 |
| | [illegible] | 587.5 |
| | [illegible] | 2,730.0 |
| 2 | [illegible] | 1,116.0 |
| | [illegible] | 258.0 |
| | [illegible] | 157.5 |
| | [illegible] | 165.5 |
| | [illegible] | 134.0 |
| | [illegible] | 118.0 |
| | [illegible] | 108.0 |
| | [illegible] | 95.0 |
| | [illegible] | 57.0 |
| | [illegible] | 23.0 |
| 3 | [illegible] | 128.5 |
| 4 | [illegible] | 30.0 |
| 5 | [illegible] | 173.5 |
| | [illegible] | 70.0 |
| | [illegible] | 21.5 |
| | [illegible] | 10.0 |
| | [illegible] | 72.0 |
| 6 | [illegible] | 49.0 |
| | [illegible] | 49.0 |
| 7 | [illegible] | 65.2 |
| | [illegible] | 35.0 |
| | [illegible] | 28.5 |
| | [illegible] | 1.7 |
| 8 | [illegible] | 1,000.0 |
| | [illegible] | 1,000.0 |
| 9 | [illegible] | 992.5 |
| | [illegible] | 937.8 |
| | [illegible] | 54.7 |

# რუსი სამხედროები ხელფასებს ქართული ლარით მიიღებენ

ნინო ნარჩემაშვილი



ირაკლი მანაგაძე.

საქართველოს ტერიტორიაზე ჯერ კიდევ დისლოცირებული რუსული ბაზების როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო მოსამსახურეებს (უკანასკნელთა შორის დიდი ნაწილი ადგილობრივი ქართული მოსახლეობაა) ხელფასი ქართულ ეროვნულ ვალუტაში უნაზღაურდებათ. ამ მიზნისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშზე რუსეთის ცენტრალური ბანკის მიერ უკვე ჩარიცხულია მილიონ 130 ათასი აშშ დოლარი. სებ-ის ინფორმაციით, რუსეთი, თავისი სამხედროების სახელფასო ანაზღაურების მიზნით, ყოველწლიურად 13-15 მილიონ აშშ დოლარს გამოყოფს, რომელიც ქართულ ვალუტაში კონვერტირდება და საერთაშორისო სავალუტო რეზერვების შესავსებად იქნება გამოყენებული. შეგახსენებთ, რომ რუსეთის ცენტრალური ბანკის თავჯდომარის მოადგილემ ოლეგ მოჟაისკოვმა და საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა ვანო ვახტანგიშვილმა შეთანხმებას "საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებული რუსეთის სამხედრო ბაზების თანამშრომელთათვის ანაზღაურების ლარში გაცემისათვის საბანკო მომსახურების ფორმებისა და პირობების შესახებ" ჯერ კიდევ 2002 წლის 24 დეკემბერს მოაწერეს ხელი. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ შეთანხმებას, საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების დღიდან დაწყებული, საკმაოდ დიდი პერიოდის განმავლობაში უძღოდა რთული მოლაპარაკებები აღნიშნულ საკითხზე . გარდა ამისა, საქართველოს ეროვნული ბანკი წლების განმავლობაში არ ფლობდა ინფორმაციას რუსეთის სამხედრო ბაზების თანამშრომელთა ხელფასებისათვის ქვეყანაში შემოსული თანხების ოდენობის შესახებ, რომლებიც ე.წ. საველე ბანკების საშუალებით გაიცემოდა. საქართველოს ეროვნულ ბანკში აცხადებენ, რომ პროცესი უკვე დაიწყო და იგი ხელს შეუწყობს ეროვნული ვალუტის პოზიციების გამტკიცებას იმ რეგიონებში, სადაც რუსული ბაზებია განლაგებული, რითაც შევიწროვდება რუსული რუბლის მოქმედება. თანხების გაცემა კი კონვერტაციის შესაბამისად და მოწესრიგებულად მოხდება.

# სავალუტო ფონდი თბილისშია და ისევ დუმს

ნინო ნარჩემაშვილი

დაახლოებით ერთი წელია, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა საქართველოს გაურკვეველი ვადით ყოველგვარი დახმარება შეუწყვიტა, რისი ერთადერთი მიზეზიც ქართული მხარის მიერ აღებული და არაერთ მემორანდუმში ხელმოწერებით განმტკიცებული ვალდებულებების შეუსრულებლობა გახდა. ქვეყანა ვეღარ მიიღებს ვერც უკანასკნელი გეგმით გათვალისწინებულ 30 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ტრანშს, რომელიც უკვე ივნისის თვეში უნდა გამოყოფილიყო და საიდანაც თანხის გარკვეული ნაწილი საერთაშორისო სავალუტო რეზერვების შევსებისკენ უნდა ყოფილიყო მიმართული. ამ რეზერვების ძირითადი დანიშნულება კი ქვეყნის საგარეო ვალების შეუფერხებელი მომსახურება გახლავთ. ამასობაში საქართველოს საგარეო ვალმა 1,7 მილიარდი აშშ დოლარი (3,7 მილიარდი ლარი) შეადგინა. ასეთი მოვლენების ფონზე ჩამოდის საქართველოში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მეორე ევროპული დეპარტამენტის დირექტორი ჯონ ოლინგ-სმი, რომლის თანამდებობრივ კომპეტენციაშიც, სხვა რეგიონებთან ერთად, საქართველოსთან ურთიერთობების კურირება შედის. გუშინ ჯონ ოლინგ-სმი შეხვდა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ირაკლი მანაგაძეს. საუბარი დახურულ კარს მიღმა გაიმართა და სავალუტო ფონდის მეორე ევროპული დეპარტამენტის დირექტორმა ისე დატოვა ეროვნული ბანკის ოფისი, რომ შეხვედრის შესახებ კომენტარი არ გაუკეთებია. ირაკლი მანაგაძის განცხადებით, შეხვედრაზე საუბარი იყო საქართველოს ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში მიმდინარე მოვლენების შესახებ, "ეკონომიკური ზრდისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამის" დაფინანსების აუცილებლობაზე; ძირითადი აქცენტი გაკეთდა 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტზე, რომელიც ასევე განხილვის ძირითადი საგანი იქნება დეკემბრის თვეში საერთაშორისო სავალუტო ფონდსა და საქართველოს მთავრობას შორის დაგეგმილ მოლაპარაკებებზე. ამჯერად კი, სებ-ის პრეზიდენტის თქმით, აუცილებელია მომავალი წლის ბიუჯეტი რეალურ პარამეტრებზე იქნეს დაფუძნებული და პარლამენტის მიერ დროულად მოხდეს მისი დამტკიცება. ეს კი, ირაკლი მანაგაძის შეფასებით, შექმნილ ვითარებაში რთული მისაღწევია. გუშინვე ჯონ ოლინგ-სმი საქართველოს ფინანსთა მინისტრს შეხვდა. დღეს კი დაგეგმილია მისი ვიზიტი საქართველოს პრეზიდენტთან.

# ხელისუფლება ენერგოდივერსიაზე ალაპარაკდა

გუშინ, საღამოს ცხრა საათისთვის, გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ბოლო ორ საათში საქართველოს ენერგოსისტემაში ერთბაშად ორი დივერსია მოხდა.

როგორც "ინტერ-პრესს" სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა მამუკა ნიკოლაიშვილმა განუცხადა, დაუდგენელმა პირებმა ლისის ქვესადგურიდან თბილისისაკენ გამომავალი 220 კილოვოლტიანი "კოდა 2"-ს გადამცემი ხაზი დააზიანეს.

"დივერსია ტყეში მოხდა. ცოტა ხნის წინ, დივერსია განხორციელდა 500 კილოვოლტიან მაღალი ძაბვის გადამცემ ხაზზე "ქართლი 2", რამაც ენგურჰესის მე-5 აგრეგატის ავტომატური გამორთვა გამოიწვია", - განაცხადა ნიკოლაიშვილმა და აღნიშნა, რომ მომხდარი დივერსიების მიუხედავად, თბილისს ელექტროენერგია შეუფერხებლად მიეწოდება, თუმცა, რეგიონები გამორთულია.

"ამჟამად გამორთული აგრეგატის ჩართვას ვცდილობთ, რის შემდეგაც სისტემა ჩვეულ რეჟიმს დაუბრუნდება", - აღნიშნა მან.

მინისტრი პოლიტიკოსებს მოუწოდებს ენერგეტიკას თავი დაანებონ, რადგან ეს ქვეყანას სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის.

"ამას მოსახლეობაში სერიოზული გაუგებრობა მოჰყვება. ფსევდოოპოზიციონერებს ურჩევნიათ, პოლიტიკური ანგარიშსწორება ერთმანეთში გაარკვიონ და ენერგეტიკას ნუ შეეხებიან", - განაცხადა მინისტრმა. **ინტერ-პრესი**

# რუსეთი და თურქეთი შეთანხმდნენ

ორი დღის წინათ თურქულმა და რუსულმა გაზის კომპანიებმა შეთანხმებას მიაღწიეს. ეს შეთანხმება ეხება რუსეთიდან თურქეთში "ცისფერი ნაკადის" მილსადენის წყალქვეშ გატარებას. ბუნებრივი აირის მნიშვნელოვანი ნაკადი სწორედ წყლის ქვეშ გაივლის. მხარეები დიდხანს ვერ აღწევდნენ შეთანხმებას ცისფერი აირის ფასსა და მის მოცულობაზე, რის გამოც ისინი საქმის მოგვარებას საერთაშორისო-საარბიტრაჟო სასამართლოშიც აპირებდნენ. შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის მარტში თურქეთმა შეწყვიტა რუსული აირის მოხმრება და მხოლოდ აგვისტოში გაანახლა. დღეს უკვე თურქეთის ენერგეტიკის მინისტრი აცხადებს, რომ კომპრომისი მიღწეულია და ახლა საჭიროა, რუსეთმა აირის სტაბილური მიწოდება უზრუნველყოს.

მოკლედ

## თელასმა მეცხრე ენერგობლოკი გამორთო

გუშინ, 08.00 საათზე, კომპანია "თელასმა" ტექნიკური გაუმართაობის გამო მე-9 ენერგობლოკი გამორთო. კომპანიაში აცხადებენ, რომ მომხდარის გამო დედაქალაქის ელექტრომომარაგებას არაფერი შეეტყობა. როგორც "ინტერ-პრესს" "თელასში" აცნობეს, ბლოკზე ტექნიკური ხარვეზები აღმოჩნდა და მისი უსაფრთხოებისთვის ბლოკის დროებითი გაჩერება გახდა საჭირო. "სერიოზული ავარია თავიდან რომ აგვეცილებინა, ენერგობლოკი გამოვრთეთ, თუმცა თბილისის ელექტრომომარაგებაში შეფერხებები არ იქნება. დღეს რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტი პიკის საათებშიც გაიზრდება და ელექტროენერგიას დამატებით მოგვაწვდის ადგილობრივი გენერაციაც," - განაცხადეს კომპანიაში. ბლოკზე აღდგენითი სამუშაოები უკვე დაიწყო და მისი ჩართვა ხვალისთვის იგეგმება. მე-9 ენერგობლოკი კომპანია "თელასის" ახალმა მმართველებმა 30 ოქტომბერს ჩართეს. მას შემდეგ ბლოკი ტექნიკური გაუმართაობის გამო ერთხელ უკვე გამოირთო. ბოლო პერიოდში მე-9 ენერგობლოკი თავისი არსებობის მანძილზე ყველაზე მეტი დატვირთვით მუშაობდა და 260 მეგავატ სიმძლავრეს გამოიმუშავებდა. **ინტერ-პრესი**

ორი სიტყვით

**თბილისი.** გაისად საქართველოს აგრარულ სფეროში აღწერა დაიწყება გაერო-ს სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (ფაო) ეგიდით. აღწერას დაექვემდებარება სასოფლო-სამეურნეო მიწები, კულტურები, მეურნეობები, საწარმოები, შენობა-ნაგებობები და სხვა ობიექტები. მსგავსი მასშტაბური სამუშაო საქართველოში ბოლო ოცი წელიწადია არ ჩატარებულა, ამიტომაც სტატისტიკურ მონაცემთა ზუსტი ბაზაც არ არსებობს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საერთაშორისო აგროსამრეწველო გამოფენაზე, რომელიც 26 ნოემბერს, რუსეთის ქალაქ კრასნოდარში გაიმართება, აფხაზი სეპარატისტები საკუთარ პროდუქციას წარმოადგენენ. სეპარატისტთა მიერ მოწყობილ სოფლის მეურნეობისა და სურსათის გამოფენაზე მოხდება ციტრუსების, ფეიხოას, კივის, ხურმის, თამბაქოს ნაწარმის, თაფლისა და ჩაის ნიმუშების ჩვენება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პურის გაძვირებას მისი ხარისხის გაუარესება მოჰყვა. ეს შეეხება როგორც ზოგიერთი ქარხნის, ისე კერძო მეწარმეთა თონეების პროდუქციას. პურში შეიმჩნევა საფუარის შემცველობის მომატება. ექსპერტები აცხადებენ, რომ მეპურეები ამას შეგნებულად აკეთებენ, რადგან ხარისხის გაუარესების ობიექტური მიზეზები არ არსებობს. ხორბალიც და ფქვილიც, რომელთა საჭირო მარაგიც ამჟამად ქვეყანას აქვს, მაღალი ხარისხისაა და პურის ხარისხიც შესაბამისი უნდა იყოს. საქსტანდარტში განაცხადეს, რომ რეორგანიზაციის შემდეგ პროდუქციის ხარისხის შემოწმება მათ ჯერ არ ჩაუტარებიათ, თუმცა პური იქნება ერთ-ერთი პირველი პროდუქტი, რომლის ხარისხს დაწვრილებით შეისწავლიან. პურის ბაზრის შემოწმებას „საქსტანდარტი“ უახლოეს დღეებში დაიწყებს. **მედია-ნიუსი**

ახალი ძალებით პროკრედიტ ბანკის ყველა ფილიალსა და განყოფილებაში 2003 წლის 15 დეკემბრამდე
პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank



პროკრედიტ ბანკს
მოაქვს შუქი!

ყოველი 21-ე, ვინც 15 დეკემბრამდე გახსნის დეპოზიტს პროკრედიტ ბანკში (ყოფილი ემ-ბი-ჯი ბანკი) მიიღებს შესანიშნავ საჩუქარს, ხოლო ყოველი მე-200 საჩუქრად მიიღებს ბენეფიტორს.
დეპოზიტის მინიმალური თანხა შეადგენს 40 ლარს



ცენტრალური ფილიალი, 0112 თბილისი, ტელ: (995 32) 20-16-16, ფაქსი: (995 32) 77-96-11, central@procreditbank.ge
ვაკის განყოფილება, 0179 თბილისი, ტელ: (995 32) 25-28-06, ფაქსი: (995 32) 25-28-07, vake@procreditbank.ge
საბურთალოს განყოფილება, 0177 თბილისი, ტელ: (995 32) 20-17-17, ფაქსი: (995 32) 20-17-18, saburtalo@procreditbank.ge
ვაგზლის განყოფილება, 0112 თბილისი, ტელ: (995 32) 92-16-16, ფაქსი: (995 32) 77-96-11, stationsquare@procreditbank.ge
ქუთაისის განყოფილება, 4600 ქუთაისი, ტელ: (995 231) 4-87-05, kutaisioutlet@procreditbank.ge
ზუგდიდის განყოფილება, 2100 ზუგდიდი, ტელ: (995 215) 5-11-23, ფაქსი: (995 32) 93-43-74, zugdidi@procreditbank.ge
გორის ფილიალი, 1400 გორი, ტელ: (995 270) 2-16-09, 7-30-64, ფაქსი: (995 32) 33-46-57; 33-46-58, gori@procreditbank.ge
მარნეულის განყოფილება, 3000 მარნეული, ტელ: (995 257) 2-16-00; 2-16-50, ფაქსი: (995 32) 94-51-36, mameuli@procreditbank.ge
გლდანის ფილიალი, 0167 თბილისი, ტელ: (995 32) 57-01-01, ფაქსი: (995 32) 57-10-01, gldani@procreditbank.ge
ვარკეთილის ფილიალი, 0182 თბილისი, ტელ: (995 32) 76-44-82, ფაქსი: (995 32) 76-44-81, varketili@procreditbank.ge
ლილოს განყოფილება, 0115 თბილისი, ტელ: (995 32) 77-96-35, ფაქსი: (995 32) 77-96-36, lilo@procreditbank.ge
ქუთაისის ფილიალი, 4600 ქუთაისი, ტელ: (995 231) 4-14-14, ფაქსი: (995 231) 4-51-64, kutaisi@procreditbank.ge
ფოთის ფილიალი, 4400 ფოთი, ტელ: (995 293) 28-28-5; 28-28-3, ფაქსი: (995 293) 28-28-4, poti@procreditbank.ge
ბათუმის ფილიალი, 6000 ბათუმი, ტელ: (995 222) 7-24-20, ფაქსი: (995 222) 7-19-54, batumi@procreditbank.ge
ბათუმის განყოფილება, 6000 ბათუმი, ტელ: (995 222) 7-74-19, ფაქსი: (995 222) 7-74-19, batumioutlet@procreditbank.ge
ქობულეთის განყოფილება, 6201 ქობულეთი, ტელ/ფაქსი: (995 236) 66-439, kobuleti@procreditbank.ge

# რუსეთის ოფიციალური პოზიცია

## ქართველი ხალხის დაცინვა

ლევან ღირსიაშვილი

გუშინ, საქართველოში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოფიციალური განცხადება გააკეთა, სადაც ნათქვამია:

"20 ნოემბერს საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გამოაქვეყნა თვის დასაწყისში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების ოფიციალური შედეგები.

რიგი პოლიტიკური პარტიები და ძალები ამ შედეგებს არ დაეთანხმნენ და განაცხადეს თავიანთი განზრახვის შესახებ, ბოიკოტი გამოუცხადონ ახალი მოწვევის პარლამენტის მუშაობას, რომლის პირველი სხდომაც 22 ნოემბერს არის დანიშნული.

მოსკოვი ასევე ფლობს მონაცემებს იმის თაობაზე, რომ არჩევნები დარღვევებით ჩატარდა და სათანადოდ მომზადებული არ იყო. რასაკვირველია, დაშვებული შეცდომები უნდა გამოსწორდეს, მაგრამ - მხოლოდ კანონის ფარგლებში. აუცილებელია იმის გაცნობიერება, რომ ქვეყანაში ვითარების შემდგომმა დაძაბვამ, მოწოდებებმა ძალადობრივი გზით ქმედებისკენ პრეზიდენტის და ხელისუფლების წინააღმდეგ, შესაძლოა, აფეთქება გამოიწვიოს.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ საქართველოს წინაშე დღეს მდგარი პრობლემები სამართლებრივ ჩარჩოებს არ უნდა გასცდეს. ამის ალტერნატივა კი იქნება ქაოსი და ქვეყანაში სამოქალაქო ომის გაჩაღება, რომელმაც 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოსათვის ის რყევები გამოიწვია, რომლებიც დღესაც არ არის დაძლეული. არ უნდა დაგვავიწყდეს ისტორიის გაკვეთილები. და მათ, ვინც არაკონსტიტუციური ქმედებისაკენ უბიძგებენ, მათ შორის - საზღვარგარეთიდანაც, უნდა გააცნობიერონ, რომ მთელი პასუხისმგებლობა შესაძლო მძიმე შედეგებზე სწორედ მათ დაეკისრებათ.

რუსეთის მხარე მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას და პოლიტიკურ ძალებს, გამოიჩინონ აუცილებელი მოთმინება, არ დაუშვან ძალადობა, და კონსტიტუციური გზით უზრუნველყონ ქვეყნის მშვიდობიანი განვითარება და კეთილდღეობა. ეს არა მხოლოდ საქართველოს და ქართველი ხალხის, არამედ მეზობელი ქვეყნების და მთლიანად რეგიონის ინტერესებშიცაა. "

აი, ეს არის რუსეთის ფედერაციის ოფიციალური პოზიცია. რასაკვირველია, ამაზე მეტის მოლოდინი არავის ჰქონდა.

თურმე, არჩევნების შედეგებს მხოლოდ "რიგი პოლიტიკური პარტიები" არ დაეთანხმნენ და ხალხის "სიხარულს" კი საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც არჩევანის უფლება წაართვეს. აქ ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი ხელისუფლების დანაშაულებრივ როლზე ხალხის და მოქალაქეების წინაშე. სამაგიეროდ, "უფროსი ძმა" დიდაქტიკური ტონით გვიხსნის, რომ პრეზიდენტის წინააღმდეგ ხმის ამაღლება აფეთქებას გამოიწვევს. რა თქმა უნდა, რუსეთს ხელს არ აძლევს იმის აღიარება, რომ აფეთქება უკვე მოხდა, რომ ხალხი უკვე აფეთქდა იმ პრეზიდენტის წინააღმდეგ, რომელიც სწორედ რუსეთიდან თავს მოხვეული სამოქალაქო ომის შედეგად გახდა პრეზიდენტი და რუსულ ხიშტებზე ზის ახლაც. სამაგიეროდ, რუსეთი გვირჩევს, რომ "არ დაგვავიწყდეს ისტორიული გაკვეთილები." ამ გაკვეთილებში კი, რასაკვირველია, ჩვენი "უფროსი ძმა" აფხაზეთს, სამაჩაბლოს და აღმოსავლეთ საქართველოს დაბომბვებს გვახსენებს, რასაც ჩვენი ხელისუფლება უსიტყვოდ ყლაპავდა. დიახ, სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ არ გვავიწყდება მწარე "ისტორიული გაკვეთილები", მთელი საქართველოდან დაიძრა ხალხი, რათა შევცვალოთ არსებული ვითარება და უზრუნველვყოთ ჩვენი ღირსეული მომავალი და კეთილდღეობა.

დაბოლოს. ამით ყველაფერი თავის ადგილას დადგა. რუსეთი ედუარდ შევარდნაძეს და ხალხის მოტყუებას კიდევ ერთხელ უჭერს მხარს. იმედს ვიტოვებთ, რომ ეს მხარდაჭერა და რუსეთის მხრიდან ქართველი ხალხის დაცინვა სამუდამოდ ჩაბარდება წარსულს. ამას კი თავად ქართველი ხალხი გააკეთებს.

# სამი აფეთქება ბაღდადში

გუშინ ბაღდადში ერაყელმა პარტიზანებმა, ნაღმტყორცნების გამოყენებით, ორი სასტუმროს და ნავთობმრეწველობის სამინისტროს შენობები დაცხრილეს. ამერიკელი სამხედროების განცხადებით, დაუდგენელმა პირებმა რაკეტები სასტუმროების -"პალესტინა" და "შერატონი" - მიმართულებით ისროლეს. ამ სასტუმროებში, ძირითადად, უცხოელი ჟურნალისტები და დამკვირვებლები ცხოვრობენ. აფეთქებების შედეგად ერთი ადამიანი დაიჭრა. სასტუმრო "პალესტინის" მიმართულებით ნასროლი რაკეტები შენობის მე-16 სართულს მოხვდა, რის შედეგადაც ფასადი საგრძნობლად დაზიანდა. "შერატონზე" მიტანილი იერიშის შედეგად კი გარშემო განლაგებული შენობებიც დაზიანდა. სასტუმროს თითქმის ყველა შუშა ჩამსხვრეულია. პარტიზანებმა სასტუმროებზე იერიში მეზობელი ქუჩებიდან მიიტანეს. სამხედროები ვარაუდობენ, რომ სულ ოთხი გასროლა მოხდა. აშშ-ს სამხედრო წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მათ ტერაქტში ეჭვმიტანილი ერთი პირი უკვე დააკავეს.



REUTERS

*ამერიკელმა ჯარისკაცებმა ერაყელი პარტიზანების ცეცხლი ჩააქრეს.*

სასტუმროების დაცხრილვიდან რამდენიმე საათში, ერაყელმა პარტიზანებმა ერაყის ნავთობმრეწველობის სამინისტროსაც შეუტიეს. თვითმხილველთა თქმით, შენობას რამდენიმე რაკეტა მოხვდა და შავ კვამლში გაეხვია. ამერიკელი პოლკოვნიკის პიტ მანსურის თქმით, აფეთქების შედეგად არავინ დაზარალებულა, ხოლო ერაყელი პარტიზანების ცეცხლი კი ამერიკელმა სამხედროებმა ჩააქრეს.

# ბუშმა ბრიტანეთში ვიზიტი ლუდის სმით დაასრულა

აშშ-ს პრეზიდენტმა თავისი სახელმწიფო ვიზიტი დიდ ბრიტანეთში დაასრულა. ის ბოლოს ჩრდილოეთ ინგლისს ეწვია, სადაც მასპინძლის, ტონი ბლერის სოფელში ტრიმდონ კოლირიში ჩავიდა. ბრიტანეთის პრემიერის სოფლის სახლში ფინჯანი ჩაის დალევის შემდეგ, ორივე ქვეყნის ლიდერმა, თავიანთ მეუღლეებთან ერთად, პატარა ქალაქ სედჯფილდში "დან ქაუს" ბარში გადაწყვიტეს სადილობა. ბარში შესულმა ლიდერებმა იქ მყოფ ადგილობრივ მაცხოვრებლებს მიმართეს: **"ჩემთვის უდიდესი სიამოვნებაა თქვენთან შეხვედრა,"** - მიმართა ბუშმა ინგლისელებს.

იქვე, ტონი ბლერმა კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ მხარს უჭერს ვაშინგტონს საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

თუმცა, სააგენტო "ბიბისის" თქმით, ტონი ბლერმა სანაცვლოდ ამერიკისგან ვერაფერი მიიღო. კერძოდ, საუბარი იყო აშშ-ს მიერ ფოლადის იმპორტზე დაწესებულ ტარიფებზე, რომელსაც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია უკანონოდ მიიჩნევს და გუანტანამოს ბაზაზე დატყვევებული ბრიტანელი მოქალაქეების ბედზე, რომლებსაც "ალ-ქაიდასთან" კავშირში ედებათ ბრალი.



REUTERS

იმ დროს კი, როდესაც ბუში და ბლერი, მეუღლეებთან და 70 ადგილობრივთან ერთად, ბარში სადილობდნენ, სედჯფილდში 500-კაციანი საპროტესტო მანიფესტაცია გაიმართა. ოლქის უსაფრთხოებისათვის კი პოლიციამ, დაახლოებით, 1 მილიონი გირვანქა სტერლინგი დახარჯა. ოპერაციაში მონაწილეობას 1300 პოლიციელი იღებდა.

ინგლისურ ბარში სადილობის და ლუდის დალევის შემდეგ, გრინვიჩის დროით 4 საათზე, ბატონი ბუში მეუღლესთან ერთად ვაშინგტონში გაემგზავრა.

სედჯფილდში ლუდის დალევა და სადილობა სახელმწიფო ვიზიტის დღის განრიგში არ შედიოდა. ეს ტონი ბლერის და ჯორჯ ბუშის შეხვედრის არაოფიციალური ნაწილი იყო.

**"ჯორჯ ბუშის ვიზიტმა დიდ ბრიტანეთში ჩვენ საშუალება მოგვცა, სულ სხვა მხრიდან შევხედოთ მსოფლიოში და ქვეყანაში არსებულ ვითარებას და გავიგოთ აშშ-სთან ურთიერთობების მთელი მნიშვნელობა,"** - განაცხადა დაუნინგ-სტრიტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ლონდონში.

მიუხედავად იმისა, რომ ჯორჯ ბუშის სახელმწიფო ვიზიტის ჩატარება საკმაოდ პომპეზურად იყო დაგეგმილი, ის მაინც გააუფერულა სტამბოლში დიდი ბრიტანეთის საკონსულოსთან მომხდარმა ტერაქტმა, რასაც 27 ადამიანის, მათ შორის - ოთხი ბრიტანელის სიცოცხლე ემსხვერპლა.

**"ისინი წარმატებას ვერ მიაღწევენ. ჩვენ ერთად და სრული სიმტკიცით ვიბრძოლებთ ამ ბოროტებასთან, სადაც არ უნდა იყოს ის,"** - განაცხადა ბუშმა ერთობლივ პრესკონფერენციაზე.

**"არ უნდა იყოს არანაირი თავშეკავება, არანაირი კომპრომისი და არანაირი დაეჭვება ამ საფრთხესთან ბრძოლაში და ჩვენ ის საბოლოოდ უნდა გავანადგუროთ,"** - აუბა მხარი სტუმარს ტონი ბლერმა.

მიუხედავად ამისა, ვიზიტით ორივე მხარე კმაყოფილი დარჩა. არანაირი ინფორმაცია იმის შესახებ, მიიღეს თუ არა ლიდერებმა რაიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, ჯერ არ არსებობს.

## შუქი „პროკრედიტ ბანკისგან"



"რაო ეეს როსიის" გარდა, შუქი საქართველოში "პროკრედიტ ბანკსაც" მოქვს - უკვე მესამე თვეა, რამდენიმე ოჯახი საქართველოში მწვავე ენერგეტიკული კრიზისის დროსაც კი "პროკრედიტ ბანკის" წყალობით არის განათებული.

ერთი შეხედვით, თითქოს კავშირი ბანკსა და ენერგომომარაგებას შორის არ არის.

"პროკრედიტ ბანკს" (ყოფილი "ემ-ბი-ჯი ბანკი") რომ საკუთარი კლიენტებისთვის სასიამოვნო სიურპრიზების მოწყობა უყვარს, ამას ბევრი მტკიცება დღეს უკვე აღარ სჭირდება. ჰოდა, მორიგი მოულოდნელი აქცია ამ ბანკმა 15 სექტემბრიდან დაიწყო და მისი მიზანია მოსახლეობიდან დეპოზიტების მოზიდვა. ამ აქციის შედეგად მოზიდულმა სახსრებმა დღეისათვის ორ მილიონ ნახევარ ამერიკულ დოლარს გადააჭარბა.

თავად აქცია კი შემდგომში მდგომარეობს: ყოველი 21-ე, ვინც ანგარიშს გახსნის "პროკრედიტ ბანკში", საჩუქრად ბანკისგან საყოფაცხოვრებო ტექნიკის ერთ-ერთ სახეობას მიიღებს. შეიძლება ეს იყოს წყლის მადუღარა, თმის საშრობი, წვენსაწური და კიდევ მრავალი სხვა. აი, იმას კი, ვინც ხსენებულ ბანკში მე-200 დეპოზიტორი აღმოჩნდება, საჩუქრად გენერატორი გადაეცემა,

ანუ დანაზოგი ფული უსაფრთხოდ და საიმედოდ გენახება ბანკში და თანაც საჩუქრად იღებ ძალიან საჭირო ნივთებს.

აქციიდან თითქმის მესამე თვეს უკვე ძალიან ბევრი დასაჩუქრებული და კმაყოფილი ადამიანია არა მარტო ჩვენ დედაქალაქში, არამედ ფოთში, მარნეულსა და საქართველოს სხვა რეგიონებში.

"პროკრედიტ ბანკის" ორი მთავარი პრიზიორი (გენერატორის მფლობელები) აღნიშნულ რაიონებში ცხოვრობენ. პირველი ფოთელი ლიანა ბერაია იყო, რომელსაც სადღესასწაულო ვიათარებაში გადაეცა ბანკისგან გენერატორი. მეორე მთავარი პრიზი კი მარნეულელ ნატიკ აგაევს ერგო.

მესამე გენერატორის მფლობელი გუშინ გახდა ცნობილი. ის თბილისელი ზურაბ ყურაშვილია, რომელიც უკვე მესამე წელია, რაც "პროკრედიტ ბანკის" კლიენტია. ყურაშვილების ოჯახს, "პროკრედიტ ბანკის" წყალობით, ამ ზამთარს უშუქობა აღარ შეაწუხებს.

"პროკრედიტ ბანკის" ეს აქცია 15 სექტემბერს დაიწყო და 15 დეკემბრამდე გაგრძელდება. ასე რომ, სასიამოვნო სიურპრიზების მოყვარულებმა იჩქარეთ, გახსენით ანგარიში "პროკრედიტ ბანკში" და მიიღეთ მართლაც საჭირო საჩუქრები.

# აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის პირველი რეაქცია

პირველი გვერდიდან

**კითხვა:** საქართველოში საარჩევნო კომისიამ არჩევნების საბოლოო შედეგები გამოაქვეყნა. თვლით თუ არა ამ შედეგებს სამართლიანად და სარწმუნოდ?

**ბ-ნი ერელი:** ჩვენ ვნახეთ საარჩევნო კომისიის მიერ დამტკიცებული საპარლამენტო არჩევნების შედეგები. ჩვენ ოფიციალურ განცხადებას უმოკლეს ვადებში გავაკეთებთ. ახლა რისი თქმაც შემიძლია, არის ის, რომ ჩვენ ღრმად ვართ იმედგაცრუებულები როგორც ამ შედეგებით, ისე საქართველოს ხელისუფლებით. არჩევნებმა ნათლად არ ასახა ქართველი ხალხის ნება, სამაგიეროდ აისახა მასობრივი გაყალბებები აჭარასა და საქართველოს სხვა რეგიონებში.

ხმის პარალელურმა დათვლამ და ეგზიტ-პოლებმა, რომლებიც კომპეტენტურმა დამოუკიდებელმა ორგანიზაციებმა ჩაატარეს, ცენტრალური საარჩევნო კომისიისგან სრულიად განსხვავებული შედეგები აჩვენა და, ხმების დათვლის პროცესში მასობრივ დარღვევებთან ერთად, ჩვენს პოზიციაში აისახება. მე უნდა ვთქვა, რომ ჩვენ აქაც და თბილისშიც რეგულარულად ვაწარმოებთ დიალოგს უმაღლეს დონეზე და შემდეგ ნაბიჯებზე ვმუშაობთ.

**კითხვა:** ეს საკმაოდ მკაცრი შეფასებაა. მაგრამ როცა იგივე მოხდა ზიმბაბვეში, თქვენ განაცხადეთ, რომ არ განიხილავთ მუგაბეს ლეგიტიმურ ლიდერად. იქნება თუ არა თქვენი პოზიცია საქართველოსთან მიმართებაში ისეთივე - რომ თქვენ ამ მთავრობას ლეგიტიმურ ხელისუფლებად აღარ განიხილავთ?

**ბ-ნი ერელი:** მე მოგახსენეთ, რომ ვმუშაობთ შემდგომ ნაბიჯებზე. ჩვენ გამოვაქვეყნებთ ჩვენს განცხადებას. მე არ მინდა, წინ გავუსწრო მოვლენებს და ვთქვა, თუ რას გავაკეთებთ და რას არ გავაკეთებთ.

# გერმანული პრესა არ ცხრება

## კონფლიქტი საქართველოში გამწვავდა

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ ოფიციალური შედეგების გამოქვეყნებამ ვითარება ქვეყანაში კიდევ უფრო დაძაბა. არჩევნებიდან სამი კვირის თავზე კომისიამ ედუარდ შევარდნაძის მომხრე გაერთიანებები არჩევნებში გამარჯვებულად გამოაცხადა. შედეგების მიხედვით, ბლოკმა "ახალი საქართველოსათვის" და "აღორძინების კავშირმა" პარლამენტში ადგილთა აბსოლუტური უმრავლესობა მოიპოვეს. ოპოზიციის ლიდერები აცხადებენ, რომ შევარდნაძემ კომპრომისის ბოლო შანსი გაუშვა ხელიდან. პარლამენტის პირველი სხდომის გამართვას შაბათს მასობრივმა საპროტესტო აქციამ უნდა შეუშალოს ხელი. მთავრობის მომხრეები ცდილობენ, პარლამენტის შენობის ბლოკირებით ჩაშალონ ოპოზიციის მცდელობა. ოპოზიცია შევარდნაძეს არჩევნების გაყალბებაში ადანაშაულებს და ახალ არჩევნებს ითხოვს.

შევარდნაძეზე ზეწოლა მის სამშობლოში დღითიდღე იზრდება. სადავო არჩევნების შედეგად აგორებული საპროტესტო აქციები შეიძლება სამოქალაქო დაპირისპირებაში გადაიზარდოს. როგორც ჩანს, გალარიბებული კავკასიური ქვეყნის პრეზიდენტი იმაზეც ფიქრობს, რომ თავშესაფარი საზღვარგარეთ ეძიოს. გაზეთ "ბილდის" ინფორმაციით, შევარდნაძემ შუამავლების საშუალებით, ცნობილი მეწარმე გრუნდიგის ქვრივისაგან ბადენ-ბადენში ვილა შეიძინა. თუმცა, 11 მილიონ ევროდ შეფასებული გარიგება ოფიციალურმა თბილისმა დაუყოვნებლივ უარყო. პრეზიდენტის პრესმდივანმა ყოველივეს "დაგეგმილი პროვოკაცია" უწოდა. შევარდნაძის საპრეზიდენტო ვადა 2005 წელს იწურება, თუმცა ოპოზიცია მის დაუყოვნებლივ გადადგომას მოითხოვს.

*ფაინენშალ ტაიმს დოიჩლანდი*

## გამაოგნებელი დარღვევები

ვითარების განმუხტვის იმედი შევარდნაძეს, როგორც ჩანს, ტყუილად აქვს. არჩევნების დღიდან ოპოზიციის პოპულარული ლიდერის, მიხეილ სააკაშვილის ლიდერობით ათასობით ადამიანი განაგრძობს საპროტესტო აქციებს თბილისსა და სხვა ქალაქებში. სააკაშვილის "ნაციონალურ მოძრაობას", ხმების 18 პროცენტით, ახალ პარლამენტში მესამე ადგილი მიეკუთვნა. იგი ყველაზე ძლიერი ოპოზიციური პარტიაა, რომელიც უარს ამბობს პარლამენტში შესვლაზე და შევარდნაძის გადადგომას მოითხოვს.

მიუხედავად იმისა, რომ ეუთო-მ არჩევნებისას "გამაოგნებელი დარღვევები" დააფიქსირა, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ შედეგები ოფიციალურად დაადასტურა. "საარჩევნო კომისია, ფორმალურად, მთავრობისაგან დამოუკიდებელია, თუმცა არა ფაქტობრივად," – ამბობს ბერლინში არსებული "მეცნიერებისა და პოლიტიკის ფონდის" საქართველოს ექსპერტი უვე ჰალბახი. კომისიის დაკომპლექტების წესი ჯერ კიდევ ივნისში გახდა მთავრობასა და ოპოზიციას შორის კონფლიქტის მიზეზი. კონფლიქტის მოგვარება თავად აშშ-ს ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა, ჯეიმს ბეიკერმაც კი სცადა, რომელიც ამ მიზნით ქვეყანაში იმყოფებოდა. მიუხედავად ამისა, კომისიაში მაინც მთავრობის მომხრეებმა მიიღეს უმრავლესობა.

ოპოზიციის მომხრეები ლიდერების მოწოდებას გამოეხმაურნენ და თბილისისაკენ მიემართებიან. თბილისში მათ პოლიცია და აჭარის ლიდერის ასლან აბაშიძის მომხრეები ელიან. აბაშიძემ ახლა შევარდნაძესთან ტაქტიკური კავშირი შეკრა და მას უჭერს მხარს.

*ფაინენშალ ტაიმს დოიჩლანდი*

## შევარდნაძის პარტია გამარჯვებულად გამოაცხადეს. საქართველოში ვითარება დაძაბულია. ოპოზიცია შედეგებს "მთლიანად გაყალბებულს" უწოდებს

არჩევნებში მთავრობის მომხრე პარტიების გამარჯვების ოფიციალურად გამოცხადებამ ვითარება საქართველოში უკიდურესად დაძაბა, მაშინ როცა საარჩევნო კომისიამ არჩევნებში გამარჯვებულად ბლოკი "ახალი საქართველოსათვის" გამოაცხადა, ოპოზიციამ ოფიციალურ მონაცემებს "ტოტალურად გაყალბებული" უწოდა და ახალი საპროტესო აქციები დაიწყო. 2 ნოემბრის არჩევნების დამთავრებისთანავე ოპოზიციამ და საერთაშორისო დამკვირვებლებმა არჩევნებს გაყალბებული უწოდეს. მას შემდეგ ოპოზიცია აქციებს აწყობს დედაქალაქში. ისინი კორუფციაში დადანაშაულებული პრეზიდენტის გადადგომას მოითხოვენ.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ხუთშაბათს შედეგები გამოაცხადა. ბლოკმა "ახალი საქართველოსათვის" ხმების 21,32 პროცენტი მიიღო. მეორე ადგილზე გავიდა აჭარის სეპარატისტი ლიდერის, ასლან აბაშიძის "დემოკრატიული აღორძინების კავშირი". აბაშიძე ახლა შევარდნაძესთანაა შეკრული, რითაც პრეზიდენტი ახალ პარლამენტში მყარ უმრავლესობას იღებს. 18,8 პროცენტით კი მესამე ადგილზე ოპოზიციის წამყვანი ლიდერის, მიხეილ სააკაშვილის "ნაციონალური მოძრაობა" აღმოჩნდა, "ლეიბორისტულმა პარტიამ" ხმების 12 პროცენტი მიიღო, "ბურჯანაძე-დემოკრატებმა" – 9 პროცენტამდე. "ახალმა მემარჯვენეებმა", ხმების 7,8 პროცენტით, კანონმდებლობით გათვალისწინებული 7-პროცენტიანი ზღურბლი გადალახეს.

ოპოზიციის ლიდერმა სააკაშვილმა თქვა, რომ იგი "ტოტალურად გაყალბებული" არჩევნების შედეგებს არ აღიარებს: "ახალი პარლამენტი არაა ლეგიტიმური. პრეზიდენტმა შევარდნაძემ, ფაქტობრივად, სახელმწიფო გადატრიალება მოაწყო". შევარდნაძის ყოფილი იუსტიციის მინისტრი და დღეს ოპოზიციური გაერთიანება "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერი აცხადებს, რომ "მშვიდობიანი წინააღმდეგობა" მეორე ფაზაში შედის. ოპოზიცია, რომელსაც მიაჩნია, რომ მათი გამარჯვება მანიპულაციებით გაყალბებულ იქნა და ამას საერთაშორისო დამკვირვებლებიც ადასტურებენ, აგრძელებენ პროტესტებს და მოითხოვენ შევარდნაძის გადადგომას. პრეზიდენტი უარს ამბობს. ვითარება ძალიან დაძაბულია. მთავრობამ დედაქალაქში პოლიცის გაძლიერებულ ძალებს მოუყარა თავი.

*ზიუდდოიჩე ცაიტუნგი*

# სტუდენტები მზად არიან!

## ყველანი თავისუფლების მოედანზე!

*სიკვდილის წინ ჩერჩილი ამბობდა, რომ იგი მოერია სტალინს, მოერია ჰიტლერს, მაგრამ ერთმა "ტიტველმა" კაცმა მაჰათმა განდიმ იმპერია დაუნგრია. სამოქალაქო დაუმორჩილებლობა ძალიან ძლიერი, ყველაზე ძლიერი აქტია. როდესაც ყველა ერთად დგას და ერთად ამბობს,- "კმარა", - მაშინ ტირანია მთავრდება. სამოქალაქო დაუმორჩილებლობის კომიტეტის წევრებისა და სტუდენტების შეხვედრამ გუშინ კულმინაციას მიაღწია. გადაჭედილი დარბაზები ტაშით ინგრეოდა. თავის გამოსვლებში სტუდენტები ერთსულოვნები იყვნენ. მათ აღარ სურთ, ტყუილში ცხოვრება! მათ არ სურთ, მათი თანატოლი გიორგი მშვენიერაძე უსამართლოდ იჯდეს ციხეში! მათ აღარ სურთ, გაურკვეველი მომავალი! მათ იციან, დღეს დუმილი უზნეობის ტოლფასია! ყველა უმაღლესში სტუდენტები, დავით გოგიბედაშვილის მოწოდებით, ერთწუთიანი გაბმული ტაშითა და სტვენით გამოხატავდნენ პროტესტს მათი თანატოლის გიორგი მშვენიერაძის დაპატიმრების გამო. " სანამ ის ციხეშია, ჩვენ ერთმანეთს თვალებში ვერ უნდა შევხედოთ", - ამბობდნენ ისინი.*

ნინო ცინცაძე

### ცეკას მდივნებისა და კომკავშირელების დრო მთავრდება

11 საათიდან დაუმორჩილეობლობის კომიტეტის წევრები თსუ-ს მაღლივ კორპუსთან შეიკრიბნენ. მიუხედავად იმისა, რომ დაცვას აჩიკო გულედანის, ვახო ბაბუნაშვილის, გიგი თევზაძის, ლაშა ბუღაძის, გოგა ხაინდრავას, ირაკლი კაკაბაძისა და სხვების შენობაში შეშვება არ სურდა, სტუდენტების ნებამ მაინც თავისი გაიტანა. შეხვედრისათვის დიდი აუდიტორია გამოიყო, მაგრამ ისიც ისე გაივსო, რომ აღარც დასაჯდომი და აღარც ფეხზე დასადგომი ადგილი აღარ დარჩა. სტუდენტები ძალიან ერთსულოვნები იყვნენ. სამწუხაროდ, ამ ერთსულოვნებას მათი ლექტორები არ იზიარებდნენ. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, მაღლივი კორპუსის 207-ე აუდიტორიაში სტუდენტების გვერდით არც ერთი ლექტორი არ მდგარა! არ უნდა დაგვავიწყდეს, ეს ის უმაღლესია, რომლის კარებიც 1921 წელს თავად ივანე ჯავახიშვილმა გააღო და სტუდენტებს თავისუფლების დასაცავად წასვლა მოუწოდა. ყველა სხვა უმაღლესში, იქნებოდა ეს სამედიცინო უნივერსიტეტში, სამხატვრო აკადემიაში, უცხო ენათა თუ ტექნიკურ უნივერსიტეტში, თავიანთი სტუდენტების სულისკვეთებას ლექტორებიც იზიარებდნენ.

თუმცა, როგორც ჩანს, დღეს ახალგაზრდები კარის გასაღებად არავის დაელოდებიან. ერთ-ერთი სტუდენტი თავის მეგობრებს ასე მოუწოდებდა: **"თუ ორშაბათს პრეზიდენტის რადიოინტერვიუს მოსმენა აღარ გვინდა, მაშინ ხვალ ყველანი ერთად უნდა დავდგეთ თავისუფლების მოედანზე!"** ერთ-ერთი გოგონა კი ამბობდა: **"ჩვენ არ გვინდა ისეთი სტაბილურობა, რომელსაც ჭაობის სუნი ასდის. ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძე წერდა, რომ ხსნა მოძრაობაშია. ჩვენ ვერ დავდუმდებით. ახლა ჩვენი მომავალი წყდება".**

უნივერსიტეტის აუდიტორიაში გოგა ხაინდრავა სტუდენტებს ასე მიმართავდა: **"ამ დღეებში ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა, თქვენს თვალებში ჩაგვეხედა და იქედან უზარმაზარი ენერგია გადმოგვეღო. ეს ჩვენი ბედნიერების დღეებია!"**

სტუდენტთა განსაკუთრებული აღფრთოვანება ირაკლი კაკაბაძის სიტყვებმა გამოიწვია, რომელიც ასე მთავრდებოდა: **"არც ერთი ცეკას მდივანი, არც ერთი კომკავშირელი, არც ერთი ნომენკლატურა ჩვენს გვერდით!".**

### გაფიცვას მომავალი ექიმები უერთდებიან

სამედიცინო უნივერსიტეტის დარბაზში ხალხი რომ აღარ ეტეოდა, ზედა სართულზე იარუსის კარებიც გააღეს. ახალგაზრდებთან ერთად დარბაზში ბევრი პედაგოგიც შევიდა. ისინი ამბობდნენ, რომ ამ დღეებში სტუდენტების გვერდით დგომა მათი პირდაპირი მოვალეობაა. ამისათვის კი სტუდენტებისგან გულწრფელ მადლობას იღებდნენ. სტუდენტებს უხარიათ, რომ საბიუჯეტო ორგანიზაციებზე აშკარა ზეწოლის მიუხედავად, პედაგოგებმა თავიანთ თავში იპოვეს ძალა ახალგაზრდების გვერდით დამდგარიყვნენ.

**"ძალადობის წამალი არაძალადობაა, გაუნათლებლობისა და სიბნელის კი – განათლება,"** - ასე დაიწყო თავისი სიტყვა ირაკლი კაკბაძემ.

**"ჩვენ ჩაგვჩიჩინებენ, რომ ოპოზიციას სასწავლო პროცესის ჩაშლა სურს. ეს ტყუილია. სასწავლო პროცესი ჩაიშლება იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ ხვალ დიქტატის მოსვლას დავუშვებთ. როდესაც ექიმები გავხდებით, აღარ უნდა გვჭირდებოდეს იმაზე ფიქრი, რა "ვიჩალიჩო" ოჯახი რომ ვარჩინოო. დღევანდელი ხელისუფლება ასეთ მომავალს გვიმზადებს. ჩვენ ეს აღარ გვსურს".** ასე გამოთქვამდნენ გუშინ თავიანთ პროტესტს სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები.

**"ყოველი ჩვენგანი, სინამდვილეში, არის იმაზე ძლიერი, ვიდრე ეს მას ჰგონია - თქვენს გულებში მამაცი სულია, და ხვალ ეს გამოჩნდება."** ამ სიტყვებით და ხვალინდელი დღის იმედით დაემშვიდობნენ სამოქალაქო დაუმორჩილებლობის კომიტეტის წევრები მომავალ ექიმებს.

### ვებრძვით შევარდნაძეს, როგორც მანკიერ კატეგორიას

**"ეს არმაგედონია. ბოროტი და კეთილი ძალები საბოლოოდ უნდა დადგნენ ერთმანეთს პირისპირ. გვჯერა, რომ სტუდენტები კეთილი ძალის მხარეზე დადგებიან!"** სამოქალაქო დაუმორჩილებლობის კომიტეტის წევრები აკადემიის სტუდენტებთან ამ რწმენით მივიდნენ.

**"ჩვენ არ ვებრძვით შევარდნაძეს, როგორც პიროვნებას, ჩვენ ვებრძვით შევარდნაძეს, როგორც მანკიერ კატეგორიას!"** - ასე ხსნიდა თავის დამოკიდებულებას სამხატვრო აკადემიის სტუდენტებისა და ლექტორების წინაშე ლაშა ბუღაძე. **"ყური დამიგდე! შენ კი არა, მე ვარ ვენახი!"** - ყვიროდა დარბაზიდან პოეტი ზურაბ რთველიაშვილი.

**"ჩვენ ამ ხალხის გვჯერა,"** - ასეთი იყო ახალგაზრდების საერთო სულისკვეთება. აკადემიის სტუდენტები ძალიან ამაყობენ იმით, რომ მათ თავიანთი მოქალაქეობრივი პოზიცია არასდროს დაუთმიათ. ამის აქტიური მაგალითი სამი დღის წინ აკადემიის ეზოში მოწყობილი აქციაც იყო, ლოზუნგით - დახატე შენი პროტესტი და გუშინწინ მერიის შენობის წინ გამართული აქცია "შეფუთულები".

ბატონმა სოსო ქოიავამ თავის სტუდენტებს ასეთი რამ უამბო: **"როდესაც ჩემს ძაღლს ვეძახი, ჩემკენ ყოველთვის ხმამაღალი ყეფითა და სიხარულით გამორბის. ერთ დღესაც დავუძახე, მაგრამ არ მოირბინა. მივუახლოვდი და ვნახე, რომ კისერზე თოკი ედებოდა და ამიტომ თავი დაბმული ეგონა. სინამდვილეში, თავისუფალი იყო და ჩემამდე მოსვლა შეეძლო. ჩვენც ასე ვიყავით, ხალხნო! თავი დაბმული გვეგონა! ახლა ვხედავ, რომ გავთავისუფლდით და ბევრი რამის გაკეთება შეგვიძლია!"**



*დაუმორჩილებლობის მოძრაობის წევრები სტუდენტებს ხვდებიან.*

გუშინ ყველა უმაღლესში ყველა სტუდენტს ხელში ასეთი შინაარსის მიმართვა ეჭირა:

### გადადგება?..

დღეს წყდება შენი საქართველოს ბედი!

დღეს სისხლით მოპოვებული თავისუფლება დიქტატურის ხელშია!

დღეს განზე დგომა დანაშაულია და ისე, როგორც არასდროს, ყველაფერი შენზეა დამოკიდებული!

დღეს შენ თავად წყვეტ შენს მომავალს!

სწორედ ამიტომ, თითოეული სტუდენტი უერთდება მშვიდობიან, არაძალადობრივ სამოქალაქო დაუმორჩილებლობას!

შეუერთდი შენც და მიიღე მონაწილეობა რეჟიმის შეცვლაში!

იყავი მზად!

თავისუფლება ძლიერთა ხვედრია!

**... გადადგება!!!**





# ა.შ.შ. საელჩო თბილისი, საქართველო

## განაცხადი ვაკანსიის შესახებ N 48/03

**ვაკანსიაზე განაცხადის შეტანა შეუძლია: ყველა იმ პირს, რომელიც უფლებამოსილია იმუშაოს საქართველოში.**

**თანამდებობა: საზღვარგარეთ წარმოებული მშენებლობების ოფისის ინჟინერ-მშენებელი, FSN-10/FP-5 (V საფეხური 14-დან)**

**გამოცხადების თარიღი: 11/20/2003. საბოლოო ვადა: 12/04/2003. სამუშაო საათები: სრული განაკვეთი**

**შენიშვნა: განაცხადის ყველა შემომტანი უნდა იყოს *ჩვეულებრივი რეზიდენტი* საქართველოში მცხოვრები მოქალაქე, (შესაძლოა იყოს, როგორც საქართველოს, ასევე სხვა ქვეყნის მოქალაქე) რომელიც უფლებამოსილია იცხოვროს და იმუშაოს საქართველოში. განაცხადის შემომტანმა თავის CV-ში უნდა მიუთითოს დასაქმებულია, თუ არა მისი ოჯახის რომელიმე წევრი, ან ნათესავი ა.შ.შ.-ს მთავრობის მიერ. დადებით შემთხვევაში იქვე უნდა აღნიშნოს, კონკრეტულად რა სახის ნათესავია.**

**თანამდებობის ძირითადი მოვალეობები:**

- სამშენებლო იჟინერი გახლავთ პროფესიონალი ტექნიკური ცოდნით სამშენებლო საინჟინრო სფეროში. სამშენებლო იჟინერი განიხილავს მშენებლობის ნახაზებს და განსაზღვრავს აკმაყოფილებს, თუ არა იგი პროექტირების მიზანს და შესაბამის ნორმებს. ხელშეკრულების ტექნიკური პირობები-დეტალები უკავშირდება კოდექსსა და ტესტირების მოთხოვნებს. სამშენებლო იჟინერს მოეთხოვება განიხილოს ის საკითხები, სადაც აღმოჩენილი იქნება განსხვავებები კონტრაქტორის მიერ შემოთავაზებულ მუშაობის მეთოდებსა და პროექტს შორის. სამშენებლო იჟინერი ყოველდღიურად ამოწმებს ახალი საელჩოს შემოსაზღვრულ, ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარე მშენებლობის ხარისხს.
- სამშენებლო იჟინერი პასუხისმგებელია შეამოწმოს კონტრაქტორის მიერ შემოტანილი მასალა, და განსაზღვროს შეესაბამება, თუ არა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. სამშენებლო იჟინერი უნდა დაუკავშირდეს მწარმოებლებსა და ტექნიკურ ექსპერტებს, როგორც ვაშინგტონში, ასევე ადგილზე, რჩევისათვის მასალის ჩანაცვლებასა და ამით გამოწვეულ პროექტის შესაძლო პრობლემებთან დაკავშირებით.
- დეტალურად შეისწავლის პროექტების სახელშეკრულებო და ტექნიკურ მოთხოვნებს. განსაზღვრავს როგორც პროექტთან, ასევე მშენებლობასთან დაკავშირებულ პრობლემებს, შეიმუშავებს და გვთავაზობს ამ პრობლემათა მოგვარების გზებს. პროექტების დიზაინთან დაკავშირებით კონსულტაციისათვის მიმართავს არქიტექტორებს, ან ხელშეკრულებით მომუშავე ინჟინრებს. განიხილავს არქიტექტურულ ნახაზებს და დეტალებს, რომლებიც დაკავშირებულია სამშენებლო-საინჟინრო საქმიანობებთნ. პროექტებისათვის შეადგენს ანგარიშებს. ციფრული აპარატით რეგულარულად გადაიღებს მშენებლობის მიმდინარეობის ამსახველ სურათებს, რომლებსაც დაურთავს თავის ანგარიშებს.
- განიხილავს შეესაბამება, თუ არა კონტრაქტორის ტექნიკური და ადმინისტრაციული მონაცემები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. პროექტის დირექტორისათვის, მოამზადებს რეკომენდაციებს კომენტარებით იმის შესახებ მისაღებია, თუ არა აღნიშნული კონტრაქტორის მონაცემები.
- განიხილავს კონტრაქტორის მოთხოვნებს მიმდინარე გადახდასთან დაკავშირებით. (სამშენებლო-საინჟინრო სამუშაოები). ამზადებს დამოუკიდებელ სამთავრობო შეფასებას მშენებლობის ხელშეკრულების ხანგრძლივობისა და ღირებულებასთან დაკავშირებით მომხდარი ცვლილებების შესახებ. განიხილავს კონტრაქტორის წინადადებებს ცვლილებების თაობაზე და ამზადებს კომენტარებსა და რეკომენდაციებს საზღვარგარეთ წარმოებული მშენებლობების ოფისის პროექტის დირექტორისათვის.

**საჭირო კვალიფიკაცია:**

შენიშვნა: განაცხადის ყველა შემომტანის წარმოდგენილ საბუთებში დეტალურად უნდა იყოს ასახული შესაბამისობა საჭირო კვალიფიკაციის ქვემოთ მოყვანილ თვითოეულ მუხლთან.

- ხარისხი სამშენებლო-საინჟინრი სპეციალობით. ინჟინრის ლიცენზია და /ან საინჟინრო ხარისხი;
- ინგლისური ენის კარგად ცოდნა IV დონე, როგორც წერილობითი, ასევე ზეპირმეტყველების. ასევე მოეთხოვებათ ქართული და რუსული ენების ცოდნა, როგორც წერილობითი, ასევე ზეპირმეტყველების;
- 10 წლის გამოცდილება სამშენებლო-ინჟინრის სპეციალობით. მოეთხოვებათ მუშაობის გამოცდილება, როგორც საპროექტო საქმიანობაში, ასევე თვით მშენებლობაში;
- იმ სამშენებლო-საინჟინრო კონცეფციის, პრინციპებისა და პრაქტიკის პროფესიულ დონეზე ცოდნა, რომელიც გამოიყენება საინჟინრო მოვალეობების სრულ სპექტრთან მიმართებაში, კერძოდ მრავალსართულიანი სახლების, რეზიდენციებისა და სპეციალური დანიშულების შენობების მშენებლობათან დაკავშირებით.
- კარგად უნდა ფლობდეს შემდეგ კომპიუტერულ პროგრამებს: მაიკროსოფტ ვორდ-ს, მაიკროსოფტ ექსელ-ს, მაიკროსოფტ პროჯექტ-ს, პრიმავერა-სა და ა.შ.
- უნდა შეეძლოს წვრილი შრიფტისა და შენობის ნახაზების დეტალების კითხვა, შორიდანვე უნდა ამჩნევდეს პოტენციურ ხარვეზებსა და დეფექტებს და უნდა შეეძლოს ძირითადი ფერების გარჩევა;
- უნდა იყოს ორგანიზებული, ნოვატორული, უნდა შეეძლოს საკუთარი აზრების მკაფიოდ გადმოცემა, აგრეთვე დაძაბულ ვითარებაში, არა სამუშაო საათებში მუშაობა და აგრეთვე უნდა შეეძლოს ხალხთან თანამშრომლობა.

**შერჩევის პროცესი:**

- წარმატებული კანდიდატურის შერჩევისას მენეჯმენტი განიხილავს ოჯახურ მდგომარეობას, ინტერესთა კონფლიქტს, ბიუჯეტსა და მოქალაქის სტატუსს.
- მისაღები არ არის, რომ განაცხადი შემოიტანონ ამჟამინდელმა თანამშრომლებმა, რომლებიც გადიან გამოსაცდელ პერიოდს.
- მისაღები არ არის, რომ განაცხადი შემოიტანონ EFM-ი, რომლებიც ამჟამად დანიშნულები არიან FMA-დ მათი დანიშვნის დღიდან 90 დღის განმავლობაში.

**როგორ შევიტანოთ განაცხადი:**

დაინტერესებულმა კანდიდატებმა უნდა გამოგვიგზავნონ შემდეგი საბუთები: ა) CV-ს საბოლოო ვარიანტი, ბ) სხვა საბუთები (სერთიფიკატები, ჯილდოები, როგორც დიპლომების, ასევე ხარისხის დამადასტურებელი საბუთების ასლები) განაცხადში მოცემული საჭირო კვალიფიკაციის მოთხოვნების შესაბამისად.

გამოაგზავნეთ განაცხადი შემდეგ მისამართზე:
საქართველო, თბილისი,
ათონელის ქ. 25
ამერიკის საელჩო
ადამიანთა რესურსების ოფისი
ფაქსი: 775064

**განსაზღვრება:**

**ჩვეულებრივი რეზიდენტი: (OR) ნიშნავს:** მასპინძელი, ან სხვა რომელიმე ქვეყნის მოქალაქეს, რომელიც საცხოვრებლად გადმოვიდა მასპინძელ ქვეყანაში და უფლებამოსილია იცხოვროს და იმუშაოს ამ ქვეყანში.

**არა-ორდინალური რეზიდენტი: (NOR) ნიშნავს:** საგარეო და საერთო სამსახურებისAEFM-სა და EFM-ს და ფორმიანი სამსახურების წევრებს, რომლებიც იმყოფებიან მივლინებაში და ექვემდებარებიან მისიის ხელმძღვანელს, ან სხვა პირებს, რომლებსიც სარგებლობენ დიპლომატიური პრივილეგიებითა და იმუნიტეტით.

**განაცხადების წარმოდგენის უკიდურესი ვადაა 2003 წლის 4 დეკემბერი.**

თბილისში ამერიკის საელჩო სთავაზობს ყველას დასაქმების თანაბარ შესაძლებლობას.

**ჯორჯ ლ. ლოუსონი**
*ადამიანთა რესურსების ოფიცერი*

## ორი სიტყვით

**ქუთაისი.** გუშინ, დილით, თერჯოლელმა სამართალდამცველებმა სოფელ რუფოთში მცხოვრები 20 წლის ალექსანდრე გელიაშვილი (მეტსახელად, ხოსრო) დააკავეს, რომელიც მიმდინარე წლის აგვისტოდან დღემდე 7 ყაჩაღობის ჩადენაშია ეჭვმიტანილი. შვიდივე დანაშაულზე პოლიციას სისხლის სამართლის საქმე ჰქონდა აღძრული. დაკავებისას გელიაშვილს გადაჭრილი თოფი და რევოლვერი აღმოაჩნდა. დაკითხვის დროს მან აღიარა ჩადენილი დანაშაულები. გელიაშვილი სოფლებში - რუფოთში, ალისუბანსა და საქარაში ყაჩაღობდა, გატაცებული აქვს დიდი ოდენობით ფულადი თანხა, ოქროს სამკაულები და ვიდეოტექნიკა. ამასთან, იგი ორ თანასოფლელთან - სოფრომაძესთან და აბესაძესთან ერთად მოქმედებდა, რომლებიც ამჟამად მიმალვაში იმყოფებიან. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**წყალტუბო.** გუშინწინ, წყალტუბოს რაიონში, ორი მკვლელობა მოხდა.

დედაენის ქუჩის N24-ში, საკუთარ საცხოვრებელ სახლში, 77 წლის მარია ტკაჩენკოს გვამი აღმოაჩინეს, რომელსაც გარეგნული დათვალიერების შედეგად ძალადობის კვალი აღენიშნა.

გუშინწინვე ნიკო ნიკოლაძის N2-ში, საკუთარი საცხოვრებელი სახლის აივანზე, დაუდგენელმა პირებმა ცივი იარაღით ყელის არეში დაჭრეს 76 წლის რუბენ გორდულაძე, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა. ორივე ფაქტზე წყალტუბოს პოლიციამ სისხლის სამართლის საქმეები განზრახ მკვლელობის მუხლით აღძრა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლის ვაჟა ქაცანაშვილის ვაჟიშვილზე, უშიშროების სამინისტროს ოფიცერ ჯარჯი ქაცანაშვილზე განხორციელებულ თავდასხმაში ბრალდებულ 34 წლის კახა მაღლაკელიძეს წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეეფარდა. რამდენიმე დღის წინათ დაკავებული მაღლაკელიძე ამჟამად საავადმყოფოში მკურნალობს. წინასწარი გამოძიების მონაცემებით, ის ჯარჯი ქაცანაშვილმა მუცლის არეში თავისი ტაბელური პისტოლეტიდან გასროლით დაჭრა.

როგორც ცნობილია, ნაძალადევის რაიონში, ხუთწლედის ქუჩაზე, 12 ნოემბერს, ჯარჯი ქაცანაშვილს რამდენიმე ბოროტმოქმედი თავს დაესხა. ამ დროს ჯარჯი თავის ავტომანქანა "ნივას" ავტოფარეხში აყენებდა. თავდამსხმელებმა მას ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენჯერმე ესროლეს და მუცლისა და გულ-მკერდის არეში დაჭრეს. გატაცებული „ნივა“ სამართალდამცველებმა იმავე ქუჩაზე მიტოვებული იპოვეს. თბილისის მე-8 საავადმყოფოში მოთავსებული ჯარჯი ქაცანაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა ჯერ კიდევ მძიმეა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მოსამართლეთა ასოციაციის ინიციატივით, ხვალ, ამერიკის იურისტთა ასოციაციის (ABA) ოფისში, ჟურნალისტებისა და იურიდიული პროფესიის წარმომადგენელთათვის მრგვალი მაგიდა გაიმართება. შეხვედრის თემაა „სასამართლო ხელისუფლება და კანონის უზენაესობა“. მრგვალი მაგიდა გაგრძელება იქნება იმ შეხვედრებისა, რომელსაც სასამართლო ხელისუფლება უზენაესი სასამართლოს მედია-ჯგუფთან ატარებს. ბოლო შეხვედრა ერთი თვის წინათ გაიმართა ბაკურიანში, სადაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტსა და არჩევნებთან დაკავშირებულ საქმეთა სასამართლო განხილვაზე ისაუბრეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინწინ საქართველოში აღირიცხა 20 დანაშაული, გახსნილია — 10. მოხდა ორი მკვლელობა; ხულიგნობის ერთი შემთხვევა გახსნილია; ორი ავტოსაგზაო შემთხვევა სიკვდილით დასრულდა; აღრიცხულია ყაჩაღობის ორი და ძარცვის ერთი შემთხვევა; ქურდობის ხუთი შემთხვევიდან გაიხსნა ერთი; ეკონომიკის სფეროში ერთი დანაშაული გამოვლინდა; ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის ხაზით რვა დანაშაულია აღრიცხული; ამოღებულია ორი ცეცხლსასროლი იარაღი; დაკავებულია ხუთი ძებნილი. **მედია-ნიუსი**

# შსს მზადყოფნას აჩვენებს, უშიშროების მინისტრი კი უარს ამბობს სპეცრაზმის გამოყვანაზე

ინგა ალავიძე

*ხელისუფლებამ გუშინ ძალის დემონსტრირება მოახდინა. კანცელარიაში გამაგრებული უმაღლესი ხელისუფლების მიერ გაცემული დავალების შესრულება შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა და აქამდე ჟურნალისტებისთვისაც "აუღებელი" კანცელარიის მისადგომები ექსკურსიის ობიექტი გახდა. შსს-მ გუშინ ჟურნალისტებს კანცელარიასა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე განლაგებული შსს-ს სპეცრაზმებისა და თბილისის პოლიციის გარნიზონის "ჩვენება" მოუწყო.*



*'მართალია, სამხედროები ვართ, მაგრამ ადამიანებიც ვართ'.*



*შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ პროვოკაციების შესაძლებლობაზე ლაპარაკობს.*

**"არ გვინდა გადაღება, არც ინტერვიუ... ჩვენ ჩვენს საქმეს ვაკეთებთ, დღე და ღამე აქ ვდგევართ, დავიღალეთ და გავიყინეთ... იარაღს არავითარ შემთხვევაში არ გამოვიყენებთ. მართალია, სამხედროები ვართ, მაგრამ ადამიანებიც ვართ და არავის არ მოგვწონს რაც ხდება, ახლაც "Ну погоди!"-ს ახალი სერია დადგეს რა? ჩვენ ჯალათები კი არ ვართ,"** - მართალია, პოლიციელები და, მით უმეტეს, ხელკეტებით, ფარებითა და სხვა ამუნაციით აღჭურვილი სპეცრაზმელები ჟურნალისტებთან საუბარს კატეგორიულად გაურბოდნენ, მაგრამ გუშინდელი საჩვენებელი ექსკურსიის გამო უკმაყოფილო ძალოვანთა უმეტესობა ასეთ რეპლიკებს ჟურნალისტების გასაგონად მაინც ისროდა.

სახელმწიფო კანცელარიის მიმდებარე ტერიტორიებს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური გაძლიერებული დანაყოფები იცავენ. შინაგანი ჯარისა და თბილისის პოლიციის თანამშრომელთა მიერ გადაკეტილია კანცელარიის მიმდებარე ქუჩები - სულხან-საბა ორბელიანის, ინგოროყვას, ლეონიძის, ჩიტაძის და თავისუფლების მეტროსთან არსებული კანცელარიისკენ მიმავალი კიბე. გუშინ, მას შემდეგ, რაც თბილისისკენ მშვიდობიანი მსვლელობა დაიწყო, კანცელარიის მისადგომები ძალოვანებმა კიდევ უფრო გაამაგრეს. შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ ოპოზიციურ ძალებს სახელმწიფო კანცელარიის ბლოკირების საშუალებას არ მისცემენ.

**"მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, კანცელარიის და სხვა სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების ბლოკირება დაუშვებელია,"** - განაცხადა შს მინისტრის პირველმა მოადგილემ შოთა ასათიანმა. მისი თქმით, ქვეყანაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, მოსალოდნელია პროვოკაციები და გაუგებრობა, ამიტომაც **"დანაშაულებრივი ქმედებების შემთხვევაში, პოლიცია კანონით მინიჭებულ უფლებებს გამოიყენებს. არც ერთ შემთხვევაში არ იქნება გამოყენებული ცეცხლსასროლი იარაღი, ამის შესახებ ბრძანებაც არ მიგვიღია. თუმცა, პროვოკაციის შემთხვევაში პოლიცია ვალდებული იქნება, მოახდინოს შესაბამისი რეაგირება საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველსაყოფად,"** – განაცხადა შოთა ასათიანმა. მოსალოდნელი ექსცესებისა და უმართავი პროცესების თავიდან აცილების მიზნით, შს მინისტრის მოადგილემ საზოგადოებას კანონის მაქსიმალური დაცვისა და სიმშვიდისკენ მოუწოდა.

შს მინისტრის მოადგილის ინფორმაციით, თბილისში არსებული ყველა სტრატეგიული ობიექტი განსაკუთრებულ დაცვაზეა აყვანილი, ყველგან შსს-ს სპეციალური დანაყოფებია მობილიზებული. საავტომობილო გზებზე ტარდება პროფილაქტიკური ხასიათის ღონისძიებები, რათა თბილისში იარაღის შესაძლო შემოტანა აღიკვეთოს. ამის გამო, პოლიცია გზებზე ნებისმიერ ტრანსპორტს ამოწმებს.

შინაგანი ჯარების სარდალი გია შერვაშიძე აცხადებს, რომ მიმდინარე აქცია მშვიდობიანია, მაგრამ გაუგებრობებისა და დანაშაულის შემთხვევაში, პოლიცია იძულებული გახდება გამოიყენოს წყლის ჭავლი, ხელკეტები, ფარები და სხვა სპეცსაშუალებები, გარდა ცრემლსადენი გაზისა და ცეცხლსასროლი იარაღისა.

შს მინისტრი კობა ნარჩემაშვილი კი კვლავინდებურად ირწმუნება, რომ შს სამინისტროს გააჩნია ინფორმაცია, უახლოეს პერიოდში გარკვეული ჯგუფების მიერ დესტაბილიზაციის მცდელობების შესახებ. თუმცა, ნარჩემაშვილი დესტაბილიზაციის მომწყობთა ვინაობას ისევ არ აკონკრეტებს.

ერთადერთი ძალოვანი უწყება, რომელსაც ქვეყნის მოსახლეობის დასაშინებლად ძალის დემონსტრირება არ მოუხდენია, უშიშროების სამინისტროა. სხვათა შორის, უშიშროების კანცელარიაში აკრედიტებული ჟურნალისტებისთვის შესამჩნევი გახდა ის ფაქტი, რომ ბოლო დღეებში უშიშროების მინისტრის, ვალერი ხაბურძანიას ვიზიტებმა საპრეზიდენტო თათბირებზე იკლო. ამის მიზეზად, არსებული არაოფიციალური ინფორმაციით, ვალერი ხაბურძანიას მიერ გამოცხადებულ დაუმორჩილებლობას ასახელებენ. ანუ, როგორც სამთავრობო წრეებში ამბობენ, უშიშროების მინისტრი პრეზიდენტის ბრძანებას, სამინისტროს ანტიტერორისტული რაზმის – ამერიკაში გაწვრთნილი ჯგუფის – ხალხის წინააღმდეგ გამოყვანის შესახებ არ დაემორჩილა. არსებული ინფორმაციით, ამის გამო, ვალერი ხაბურძანია გადადგომასაც კი აპირებდა. თუმცა, იმის გამო, რომ უშიშროების მინისტრის თანამდებობიდან წასვლა შევარდნაძის ხელისუფლებისთვის სერიოზული დარტყმა იქნებოდა, პრეზიდენტმა უშიშროების მინისტრი, ფაქტობრივად, "მძევლად აიყვანა". სახელისუფლებო კულუარებში გავრცელებულ ინფორმაციას, მართალია, უშიშროების სამინისტროში არ ადასტურებენ, მაგრამ უშიშროების მინისტრის თაობაზე სახელისუფლებო ბლოკის ერთ-ერთმა ლიდერმა ვახტანგ რჩეულიშვილმა გუშინ, პრაქტიკულად, დაადასტურა არსებული ინფორმაცია. რჩეულიშვილის განცხადებით, აღმასრულებელ ხელისუფლებაში ძალთა გადანაწილება მიმდინარეობს და არ არის გამორიცხული, რომ უახლოეს დღეებში უშიშროების მინისტრი ოპოზიციის მხარეს გადავიდეს. **"არც ის არის გამორიცხული, რომ უშიშროების მინისტრს სხვა მინისტრებმაც მიბაძონ,"** – აცხადებს ვახტანგ რჩეულიშვილი. გავრცელებული ინფორმაციით, "სხვა მინისტრებში" კიდევ ერთი ძალოვანი - თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძეც სახელდება, რომელიც კარგა ხანია, კანცელარიაში გამართულ თათბირებზე არ ცხადდება.

გუშინ, გვიან ღამით, თბილისში შემოსული სამშვიდობო მარშის გამო, შევარდნაძის მიერ სასწრაფოდ მოწვეულ ძალოვანთა საგანგებო თათბირს მხოლოდ სახელისუფლებო ბლოკის ლიდერები და შს მინისტრი კობა ნარჩემაშვილი ესწრებოდნენ. უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურძანია საგანგებო თათბირზე მოგვიანებით მივიდა, მას შემდეგ, რაც იგი კანცელარიაში საგანგებოდ მიიწვიეს.

## თენგიზ ასანიძეს შიმშილობა ემუქრება

*ევროსასამართლოს შესაძლო ვერდიქტით შეშფოთებულმა აჭარის ხელისუფლებამ ასლან აბაშიძის პირად ტუსაღთან შესვლა აკრძალა.*

სტრასბურგში ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ აჭარის უშიშროების იზოლატორში დატყვევებული თენგიზ ასანიძის საქმის არსებით განხილვიდან ორი დღის შემდეგ აჭარის ხელისუფლებამ პატიმრის ახლობლებს ასანიძის მონახულება აუკრძალა.

“24 საათს” ამის თაობაზე უკანონო პატიმრის მეუღლემ გულიკო ასანიძემ აცნობა.

**“თენგიზთან საკვები ჩვენ შეგვქონდა, გუშინ კი ამის საშუალება არ მოგვცეს,** - განაცხადა მან, - **ეს ნიშნავს, რომ მას შიმშილობა მოუწევს. მათ მიტანილ საკვებს თენგიზი არ მიიღებს, რადგან ეჭვი გვაქვს, რომ ჩემი მაზლი და თენგიზის ძმა სწორედ საკვების საშუალებით მოწამლეს”.**

როგორც ცნობილია, თენგიზ ასანიძის ძმა, თამაზ ასანიძე 1994 წელს იმ დანაშაულისთვის გაასამართლეს და 12 წელი მიუსაჯეს, რომელშიც ბრალი უკვე შეწყალებულ თენგიზ ასანიძეს 1999 წელს წარუდგინეს – ხელვაჩაურის რაიონის პოლიციის უფროსის ვაჟა გოგიტიძის მკვლელობისთვის. გასამართლებული თამაზ ასანიძე ბათუმის უშიშროების სამინისტროს იზოლატორში გარდაიცვალა. თენგიზ ასანიძემ კი, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის შეწყალების შემდეგ იმავე იზოლატორში უკანონო პატიმრობაში იმყოფება, საკუთარი უფლებების დასაცავად სტრასბურგის სასამართლოს მიმართა და მისი სარჩელი – “თენგიზ ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ” საქართველოდან წასული პირველი საჩივარი გახდა, რომელმაც ევროსასამართლოს ყველა ბარიერი გადალახა და არსებითად იქნა განხილული.

ასანიძის ოჯახის წევრების თქმით, ევროსასამართლოს განაჩენის მოლოდინში აჭარის მხარე ასანიძის გათავისუფლების საფრთხეს აცნობიერებს. საქმის არსებითმა განხილვამ მათ აშკარად დაანახა, რაც ადრე ისედაც კარგად იცოდნენ – სამართალი თენგიზ ასანიძის მხარესაა და განაჩენიც შესაბამისი იქნება. სწორედ ეს აშინებთ თენგიზ ასანიძის ოჯახის წევრებს, რადგან იციან, რომ ასლან აბაშიძე არაფერზე დაიხევს უკან, ოღონდ თენგიზ ასანიძე პატიმრობიდან არ გაათავისუფლოს.

*24 საათი*

## მეზობლის მკვლელს მძიმე სასჯელი ელის

უზენაეს სასამართლოში დღეს დაიწყება გურჯაანის სოფელ მელაანში, 9 მაისს, მამა-შვილ ილია და ჯულიეტა გოგლიაშვილებზე მომხდარი თავდასხმისა და ილია გოგლიაშვილის განზრახ მკვლელობის საქმის განხილვა.

სასამართლოს წინაშე მელაანელი გია პატიაშვილი წარდგება. საბრალდებო დასკვნის თანახმად, გია პატიაშვილს, რომლის ოჯახი მელაანში გოგლიაშვილების გვერდით ცხოვრობდა, 2003 წლის 9 მაისს დედამ, ჟუჟუნა პატიაშვილმა უთხრა, რომ მას ილია გოგლიაშვილმა ჰკითხა, ხომ არ ჰქონდა გასაყიდი პრეზერვატივები.

გია პატიაშვილმა მიიჩნია, რომ ამით გოგლიაშვილმა შეურაცხყო დედამისი და მთელი ოჯახი. იმავე დღეს ნასვამი გია პატიაშვილი ფარულად შეიჭრა გოგლიაშვილების ოჯახში და მძინარე ილია გოგლიაშვილს სამზარეულო დანით გულ-მკერდის არეში რამდენიმე ჭრილობა მიაყენა. ხმაურზე გაღვიძებულმა ჯულიეტა გოგლიაშვილმა სცადა მამას მიშველებოდა, პატიაშვილმა ისიც დაჭრა.

ჯულიეტა გოგლიაშვილი საშველად მეზობლებს უხმობდა, ამით შეშინებული პატიაშვილი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მიღებული ჭრილობების გამო ილია გოგლიაშვილი ადგილზე გარდაიცვალა. ექიმებმა ჯულიეტა გოგლიაშვილის გადარჩენა მოახერხეს. **მედია-ნიუსი**

## მოკლედ

### ნიუიორკელ პოლიციელებს ინტერპოლის მონაცემთა ბანკზე ხელი მიუწვდებათ

ნიუ-იორკის პოლიციის სამმართველო პირველია ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომელსაც ხელი მიუწვდება ინტერპოლის მონაცემთა ბანკზე.

ინტერპოლის გენერალური მდივნის რონალდ ნობლის განცხადებით, ახალი კოდირებული სისტემა “AI-24/7” საშუალებას მისცემს ნიუიორკელ პოლიციელებს, რომ ოპერატიულად დაადგინონ, არის თუ არა მათ მიერ დაკავებული ესა თუ ის პიროვნება სხვა რომელიმე ქვეყნის მიერ ძებნილი. მისივე თქმით, სისტემა აუცილებლობის შემთხვევაში საშუალებას იძლევა, პოლიციის ავტომანქანის კომპიუტერიდან შეაღწიო და ნახო საჭირო ფოტოები, თითის ანაბეჭდები და სხვა მონაცემები. აქამდე მსგავსი პროცედურა ხორციელდებოდა ინტერპოლის ამერიკის ბიუროს გავლით, ლიონში მდებარე ორგანიზაციის შტაბბინის დახმარებით და რამდენიმე დღეს მაინც საჭიროებდა.

ნობლის თქმით, სისტემაში “AI-24/7”-ი უკვე ჩართულია ინტერპოლის წევრი 80 ქვეყანა, სხვა სახელმწიფოები კი წელს, ივნისის ბოლომდე ჩაერთვებიან. ამ დროისთვის ეს სისტემა ამერიკის შეერთებული შტატების კიდევ ექვსი დიდი ქალაქის სამართალდამცველთათვის იქნება ხელმისაწვდომი.

**“ინფორმაციის მიღების სისწრაფეს შეუძლია უზრუნველყოს საზოგადოებრივი უსაფრთხოება და თავიდან აიცილოს კატასტროფა, მით უმეტეს მაშინ, როცა საუბარია ტერორიზმზე”**, - განაცხადა ნობლმა. მისი თქმით, 2000 წელს, ინტერპოლის მონაცემთა ბანკში აღრიცხული იყო 219 ისეთი ადამიანი, რომლებიც ისინი ტერორიზმში იყვნენ ეჭვმიტანილნი, ამჟამად მათი რაოდენობა 1489-მდე გაიზარდა.

### FBI ჩეჩენ ტერორისტებსა და "ალ ქაიდას" შორის კავშირს ადგენს

ფედერალური საგამოძიებო ბიურო(FBI) და ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური დიდი ჟიური აწარმოებენ გამოძიებას და შეისწავლიან შარშან, მოსკოვის თეატრალურ ცენტრში, მძევლების აყვანის გარემოებებს.

“ნიუ-იორკ თაიმსის” ცნობით, ამ გამოძიების მიზანია, დაადგინოს, არსებობდა თუ არა კავშირი ამ ტერაქტის ორგანიზატორებსა და ტერორისტულ ორგანიზაცია “ალ ქაიდას” შორის. გარდა ამისა, გამოძიების ფარგლებში შესწავლილი იქნება ერთ-ერთი მძევლის, ამერიკის მოქალაქის სენდი ბუკერის დაღუპვის გარემოებები, კერძოდ კი, არის თუ არა შესაძლებელი ამის გამო წარდგენილ იქნას სისხლის სამართლის ბრალდება.

**“ჩვენ ვცდილობთ, გავარკვიოთ, რომელმა ქსელმა დააფინანსა და სანქცია მისცა ამ თავდასხმას,** - განაცხადა “ნიუ-იორკ თაიმსისთვის” მიცემულ ინტერვიუში FBI-ის ანონიმად დარჩენის მსურველმა თანამშრომელმა, - **ვნახოთ, მიგვიყვანს თუ არა კვალი “ალ ქაიდამდე”. ჩვენ, რა თქმა უნდა, დაინტერესებულნი ვართ ამგვარი კავშირის აღმოჩენით”.**

გასულ კვირას 2002 წლის დრამატული მოვლენების შესახებ დიდ ჟიურის ჩვენება მისცა ბუკერის საცოლემ, ყაზახეთის მოქალაქე სვეტლანა გუბარევამ, რომელიც “დუბროვკაზე” საქმროსთან და 13 წლის ქალიშვილთან ერთად აიყვანეს მძევლად.

**“მკითხეს, ვიცი თუ არა რამე ჩეჩენი ტერორისტებისა და “ალ ქაიდას” შორის კავშირის შესახებ,** - აუწყა გუბარევამ ჟურნალისტებს, - **დარბაზში მძევლად ყოფნისას იმგვარი ფაქტის მომსწრე არ გავმხდარვარ, რაც იმ ხალხის “ალ ქაიდასთან” კავშირზე მიანიშნებდა. ჩემი თანდასწრებით “ალ ქაიდა” არც ერთ მათგანს არ უხსენებია. ეს, რა თქმა უნდა, სულაც არ ნიშნავს, რომ ასეთი კავშირი არ არსებობდა”.**

გუბარევას ამერიკაში ჩასვლა უზრუნველყო ნიუ-იორკში დაფუძნებულმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ “სამოქალაქო თავისუფლებათა საერთაშორისო ფონდი”.

# ვიცე-პოლკოვნიკის მკვლელობა - სამხედრო პირის აფექტში თუ განზრახ ჩადენილი

სოფიკო ჩხაიძე

*გუშინ, უზენაეს სასამართლოში, გახმაურებულ მკვლელობაში ბრალდებულის საქმის განხილვა დაიწყო.*

ეროვნული გვარდიის საგანგებო სპეცფონდების სამსახურის უფროსს, თავის დროზე თავდაცვის მინისტრის თენგიზ კიტოვანის დაცვის უფროსს, ვიცე-პოლკოვნიკ მიხეილ კერესელიძეს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამმართველოს უფროსის ლევან ტაბალუას მკვლელობა ბრალდება.

იანვრის დასაწყისში საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ჩინოსნის ლევან ტაბალუას გაუჩინარების გამო სამართალდამცველებმა თავდაპირველად საქმე ადამიანის გატაცების მუხლით აღძრეს, თუმცა, ერთი კვირის შემდეგ მათ მუხლის შეცვლა მოუხდათ და განზრახ მკვლელობად გადაკვალიფიცირებულ დანაშაულზე კონკრეტული ეჭვმიტანილიც გაჩნდა. მიხეილ კერესელიძე ის ადამიანია, ვის მანქანაშიც უკანასკნელად ნახეს ლევან ტაბალუა. მან, გამოძიების მიერ დანაშაულში ეჭვმიტანილად ცნობილმა, თავადვე აღიარა, რომ ლევან ტაბალუა მოკლა და მისი გვამი გადამალა. მანვე მიიყვანა სამართალდამცველები შემთხვევის ადგილას და გვამის ადგილსამყოფელიც მიუთითა. საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამმართველოს უფროსის დაცხრილური სხეული სოფელ ნიჩბისთან, დიდგორის ველის ტერიტორიაზე იყო ჩაფლული. პირველადი დათვალიერებით, გვამს ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული სამი ჭრილობა აღმოაჩნდა. ლევან ტაბალუას ორი ტყვია გულ-მკერდის არეში, ერთიც – თავში ჰქონდა მოხვედრილი.

როგორც თავად მიხეილ კერესელიძემ წინასწარ გამოძიებაში აღიარა, ტაბალუა 10 იანვარს, მისი გაუჩინარების დღესვე მოკლა. მკვლელობა თბილისში მოხდა, შემდეგ გვამი გადაიტანა და მიწაში ჩამარხა. მანვე თქვა, რომ ტაბალუასთან საქმიანი ურთიერთობა აკავშირებდა და მკვლელობის მიზეზად დაასახელა ფინანსური საკითხის გამო წამოჭრილი დავა.

ასე შეიცვალა დანაშაულის თავდაპირველად არსებული ვერსია. ლევან ტაბალუას გაუჩინარების მოტივად (კერესელიძის დაპატიმრებამდე) მის სამსახურებრივ საქმიანობას ან ბიზნესდაპირისპირებას მიიჩნევდნენ. საბოლოოდ კი ყველაფერი ვალის დაბრუნება-არდაბრუნებამდე დავიდა. თუმცა, ვის ვისი ვალი ჰქონდა - ეს საკითხი მკვლელობიდან 10 თვის შემდეგაც კი სადავოდ დარჩა.

გუშინდელ სასამართლო პროცესზე ბრალდების რამდენიმე მოწმე, კერძოდ, ლევან ტაბალუას მეუღლე და ორი ნათესავი დაიკითხნენ. აქვე უნდა ითქვას, რომ ლევან ტაბალუას მეუღლემ სასამართლოს სამოქალაქო სარჩელით მიმართა. იგი 150 ათას დოლარს ითხოვს მორალური და მატერიალური ზარალის ანაზღაურების სახით. ამას გარდა, მანაც და ტაბალუას ორმა ნათესავმაც აჩვენეს, რომ გარდაცვლილმა თავის დროზე 5 ათასი დოლარი ასესხა კერესელიძეს.

**“გუშინ დაკითხულმა ვერც ერთმა მოწმემ ვერ ახსნა, რატომ შეცვალეს პირველი ჩვენებები ვალთან დაკავშირებით,** - განაცხადა ჩვენთან საუბარში მიხეილ კერესელიძის ადვოკატმა ეკა ბესელიამ, - **თანაც, ყველა მათგანი მხოლოდ სხვისგან გაგონილს ამბობდა. ფულის გადაცემის მომენტს არავინ შესწრებია. მომავალ სხდომაზე დაცვის მოწმეებს დაკითხავენ. ეს მოწმეები ირწმუნებიან, რომ ტაბალუას თავად ჰქონდა მიხეილ კერესელიძის ვალი - 50 ათასი დოლარი”.**

ეკა ბესელიას პრეტენზია აქვს გამოძიებასთან, რომელმაც მიხეილ კერესელიძე ცხრა დღე უკანონო პატიმრობაში ამყოფა. თუმცა, **“სასამართლომ, საქმის რეზონანსულობიდან გამომდინარე, ჩემი ეს პრეტენზია არ გაითვალისწინა და არც საპირისპირო არგუმენტი წარმოუდგენია”.**

მთავარი კი, რის გამოც განსასჯელის დაცვა დავობს, დანაშაულის კვალიფიკაციაა:

**“მე არ ვამბობ, რომ კერესელიძე მკვლელი არ არის, მაგრამ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის დანაშაულის კვალიფიცირება სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე, ანუ განზრახ მკვლელობის მუხლით არასწორია. ტაბალუას მკვლელობა წინასწარ განზრახვით ჩადენილი იმდენად არ არის, რამდენადაც ტაბალუა მისი საკუთარი იარაღითაა მოკლული. ამასთან, ბრალდების მხარე, რომელიც კერესელიძისთვის განზრახ მკვლელობის მუხლის წაყენებისას სხვა არაფერს ეყრდნობა თუ არა ისევ და ისევ ბრალდებულის ჩვენებას, რატომღაც არ ითვალისწინებს იმას, რომ პირველი გასროლა სწორედ კერესელიძის მიმართულებით მოახდინა ტაბალუამ, მხოლოდ ამის შემდეგ წაართვა კერესელიძემ მას იარაღი. იარაღის წართმევისას, გაწევ-გამოწევაში მოხდა რამდენიმე გასროლაც, რომელმაც ლევან ტაბალუა იმსხვერპლა. აი, ასეთი გახლავთ კერესელიძის ჩვენების შინაარსი, რომელიც აშკარად აფექტის მდგომარეობაში ჩადენილი მკვლელობის სურათს იძლევა. გარდა ამისა, დღეს უკვე არსებობს ფსიქიატრიული დასკვნა, რომლის თანახმადაც, კერესელიძის მიერ მკვლელობის აფექტურ მდგომარეობაში ჩადენა დასტურდება. ფსიქიატრიულ დასკვნაში სპეციალური ტერმინიც კია ნახმარი მასთან მიმართებაში – სამხედრო პირის აფექტი”**, - ამბობს ეკა ბესელია.

რას გადაწყვეტს სასამართლო, არც ისე მალე გახდება ცნობილი. პროცესი ორშაბათს გაგრძელდება.

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური“
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
■ კლავიატურაზე ბეჭდვის ათითიანი მეთოდი.
■ საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება — MS Word.
■ აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები — MS Excel.
■ ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა.
■ ოპერაციული სისტემა Windows.
ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: ი. ჭავჭავაძის №25 ტელ:29-48-61


გიორგი ხვალაძის ფოტო

გაბრაზებული ქართველების მარში თბილისში.

# კახეთი თბილისისკენ მოდის

ზვიად რუაძე
თელავიდან

კახეთის რეგიონში ბოლო ორი დღის განმავლობაში ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის ვითარება საგრძნობლად დაიძაბა. იმისათვის, რომ ედუარდ შევარდნაძემ სავარძელი შეინარჩუნოს, ხოლო მისმა თანაგუნდელებმა - დატაცებული ქონება, რეგიონის ხელმძღვანელები, ძალოვან უწყებებთან ერთად, ყველანაირ პროვოკაციაზე მიდიან. გუშინ დილით გურჯაანის რაიონის "ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთ წევრ ქალბატონს, რომელიც პრეზიდენტის გადადგომის შესახებ ხელმოწერებს აგროვებდა, ორი უცნობი პირი დაესხა თავს და სიები ხელიდან გამოსტაცა. "ნაციონალების" განცხადებით, ამ ყველაფრის უკან უშიშროების სამსახური დგას.

**"თუ იმ ქალბატონის ნაამბობიდან ვიმსჯელებთ, რომელსაც სიები გამოსტაცეს და გადაუხიეს, ამ ინციდენტის ორგანიზატორები უშიშროების სამსახურის თანამშრომლები არიან. მათი მხრიდან პირველი შემთხვევა არ არის, როცა ჩვენი პარტიის მიმართ ზეწოლა ხდება. გარდა ამისა, უნდა გითხრათ, რომ ოფისის ტელეფონებიც კი ისმინება,"** - ამბობს "ნაციონალი" ჟუჟუნა მათიაშვილი. ამ ინციდენტს კი წინ უძღოდა სოფელ ვაზისუბანში პარტიის ოფისის დარბევა, საიდანაც გაიტაცეს ხელმოწერები. **"ამის შესახებ ჩვენ დღეს დილით გავიგეთ. სხვას ვის უნდა გაეკეთებინა ეს, თუ არა ხელისუფლებას?"** - კითხულობს ნაციონალების ლიდერი გურჯაანში იოსებ კარდენახიშვილი.

ამ განცხადებას კი რაიონის გამგებელი თამაზ ჯულაშვილი პროვოკაციას უწოდებს. **"მე თუ დარბევა მინდა მაგათი ოფისის, გამგეობის შენობის წინ არიან ისინი და რაღა ვაზისუბანში წავიდოდით ასეთი უმსგავსო საქციელის ჩასადენად. ეს არის მტკნარი სიცრუე,"** - გვითხრა თამაზ ჯულაშვილმა. ხელისუფლების მხრიდან თავგასული საქციელის გამო, გუშინ ვაზისუბნელმა მასწავლებლებმა პრეზიდენტს და მის მთავრობას დაუმორჩილებლობა გამოუცხადეს და პროტესტის ნიშნად სწავლა ჩაშალეს. **"დავიღალეთ დღევანდელი ცხოვრებით. უხელფასობა, შიმშილობა, კმარა შევარდნაძის უუნარობა. ადგეს და გადადგეს!"** - ამბობენ კახელი პედაგოგები. მასწავლებლებთან ერთად აქციას სოფლის მოსახლეობაც შეუერთდა. **"წადით, მოგვშორდით, გვაცადეთ მშვიდი ცხოვრება!"** - ასეთი შეძახილები ისმოდა კვლავ გუშინ კახეთში. აქციის მონაწილეების დამშვიდებას ცდილობდა რაიონის გამგებლის მოადგილე შალვა ომსარაშვილი, რომელიც მოსახლეობამ სტვენით გააცილა.

უნდა აღინიშნოს, რომ გუშინ მთელი დღის განმავლობაში მობილიზებული იყო კახეთის სამხარეო პოლიცია. ლაგოდეხის რაიონში კი ამ დღეს აკრძალული იყო თბილისისკენ მოძრაობა. ხოლო ის მძღოლები, რომლებიც თბილისიდან ბრუნდებოდნენ, პოლიციელების მხრიდან დღევანდელი დღისთვის გაფრთხილებებს იღებდნენ. ამის მოწმე "24 საათიც" გახდა. სამართალდამცავები კი ამ ფაქტთან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებენ. მიუხედავად პოლიციელების მხრიდან ასეთი წინააღმდეგობისა, გუშინ საღამოსთვის კახეთის რამდენიმე რაიონიდან თბილისის მიმართულებით ორი ათასი ადამიანი გამოემართა. აქციის წევრებს კი დღეს რამდენიმე ათასი ადამიანიც შეუერთდება.

# აფხაზეთიდან დევნილები "დაუმორჩილებელთა არმიის" რიგებში

გიორგი ასანიშვილი

**"2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში ხმის უფლების წართმევით ხელისუფლებამ უკვე პოლიტიკურ დევნილებადაც გვაქცია,"** - აცხადებენ აფხაზეთიდან ლტოლვილები და პროტესტის ნიშნად დაუმორჩილებლობის კომიტეტს ქმნიან, რომელშიც სხვადასხვა საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლები შედიან.

კომიტეტი მოუწოდებს დევნილებს, აქტიურად ჩაერთონ მთელი ქვეყნის მასშტაბით გაშლილ დაუმორჩილებლობის კამპანიაში და უნდობლობა გამოუცხადონ პრეზიდენტ შევარდნაძის ხელისუფლებას.

აფხაზეთის დაუმორჩილებლობის კომიტეტის მთავარი მოთხოვნებია: პრეზიდენტ შევარდნაძის დაუყოვნებლივ გადადგომა; 2 ნოემბრის გაყალბებული არჩევნების შედეგების გაუქმება; ხელახალი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება.

კომიტეტის მიერ გუშინ გაკეთებულ მიმართვაში ცალკე "თავი" აქვს "მიძღვნილი" აფხაზეთის ლეგიტიმურ ხელისუფლებას და აფხაზეთიდან დევნილებს. მიმართვაში ნათქვამია: **"მოვუწოდებთ აფხაზეთიდან არჩეულ დეპუტაციას, რომელსაც უგრძელდება რწმუნების ვადა, პროტესტის ნიშნად არ ცნოს 2003 წლის 2 ნოემბრის გაყალბებული არჩევნების ლეგიტიმურობა და ბოიკოტი გამოუცხადოს ე.წ. "პარლამენტს". მოვუწოდებთ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს თამაზ ნადარეიშვილს, ასევე პროტესტის ნიშნად დატოვოს სახელისუფლებო ბლოკი და უარი თქვას "პარლამენტის" წევრობაზე. მოვუწოდებთ აფხაზეთის ყველა მკვიდრს, რომელიც ამა თუ იმ პარტიული სიით შეიძლება მოხვდეს "პარლამენტში, არ მიიღოს მონაწილეობა მის მუშაობაში".**

დაუმორჩილებლობის კომიტეტის წევრი, სოხუმის უნივერსიტეტის რექტორი ზურაბ პაპასკირი აცხადებს, რომ აფხაზეთიდან დევნილების დიდი უმრავლესობა სამოქალაქო დაუმორჩილებლობის იდეას მხარს უჭერს. მისივე თქმით, კომიტეტში შემავალი სხვადასხვა ორგანიზაციების წევრები აქტიურად მონაწილეობენ გაერთიანებული ოპოზიციის მიერ ორგანიზებულ საპროტესტო აქციებში. **"ისინი ზუგდიდიდან, წყალტუბოდან და დასავლეთ საქართველოს სხვა ქალაქებიდან მოსდევენ "ნაციონალური მოძრაობისა" და "ბურჯანაძე-დემოკრატების" კოლონას",** - დასძენს პაპასკირი.

ის, რომ დევნილები გაერთიანებული ოპოზიციის რიგებში არიან, ლოგიკურად მიაჩნია დაუმორჩილებლობის კომიტეტის კიდევ ერთ წევრს, ორგანიზაცია "დაბრუნების" ლიდერს მალხაზ პატარაიას. **"ლტოლვილებმა იციან, რომ ვიდრე შევარდნაძე იქნება ხელისუფლების სათავეში, აფხაზეთს ვერ დავიბრუნებთ და ამიტომ მშობლიურ კერაზე დაბრუნება არ უწერიათ",** - აღნიშნავს პატარაია.

# შევარდნაძემ კვალი დატოვა

*ბადენ-ბადენი. გარკვეული მითქმა-მოთქმა გამოიწვია BT-ის გუშინდელმა ინფორმაციამ, რომლის თანახმადაც საქართველოს პრეზიდენტს, ედუარდ შევარდნაძეს შტაუფენბერგშტრასეზე გრუდინგის ძვირფასი ვილას გაყიდვასთან აქვს კავშირი. მას შემდეგ, რაც შევარდნაძის წარმომადგენელმა თბილისში გერმანიის პრესის სააგენტოსთან ეს ინფორმაცია უარყო, BT-ის მიერ ჩატარებული კვლევის წყალობით გაირკვა, რომ ამ შთამბეჭდავი უძრავი ქონების გაყიდვაში ნიდერლანდული ფირმაა გარეული.*

ალბერტ ნოლი
გაზეთ "Badisches Tagblatt"-ის (BT) რედაქტორი

30 ათასი კვადრატული მეტრის ფართობი საუკეთესოდაა განლაგებული, აქვს საოცნებო ხედი, ძირითადი სახლის ფართობი 870 კვადრატული მეტრია. ის ჯერ კიდევ 2002 წელს გაიყიდა (ეს უწინაც მოგახსენეთ). თავდაპირველად ეს ობიექტი სოტბის მიერ 14 მილიონ ევროდ იყო ბაზარზე გატანილი. საბოლოოდ ერთმა ბადენ-ბადენელმა მაკლერმა მისი გაყიდვა შეძლო – ჩანს, შედარებით უფრო დაბალ ფასად.

ქალაქის სამმართველოში, რომელზეც BT-ის მიერ გავრცელებული ცნობის შემდეგ გუშინ ადგილობრივმა და საერთაშორისო მედიებმა მიიტანეს იერიში, რეესტრიდან სათანადო ცნობები არ გაუციათ. BT-ის სანდო წყაროს ინფორმაციით, რეესტრში მფლობელად დასახელებულია ნიდერლანდული ჰოლდინგი, რომელსაც ოფისი ამსტერდამში აქვს.

გარდა ამისა, გაირკვა, რომ საქართველოს პრეზიდენტმა და ყოფილმა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ისედაც დატოვა საკურორტო ქალაქში კვალი. მრავალი სანდო ინფორმატორი, მათ შორის მოხელეებიც, რომელთაც თავიანთი სახელების გამხელა არ ისურვეს, BT-სთან საუბრისას ამბობენ, რომ ბადენ-ბადენში შევარდნაძის დაახლოებულ პირებთან ჰქონიათ შეხვედრა. გარდა ამისა, დადასტურდა ინფორმაცია, რომ 75 წლის პრეზიდენტსა და მის უახლოეს პირებს კარგად დაცული ვილას გამოყენება სურდათ. მაშინ მათ ეს სამყოფელი შესთავაზეს.

ბადენ-ბადენის საქმიანი წრეებისგან გაირკვა, რომ აქამდე არსებული გეგმების თანახმად, ჯერ კიდევ შობამდე შევარდნაძე და მისი თორმეტამდე თანმხლები საკურორტო ქალაქს ეწვევიან...

...ქალაქის მერმა, კლაუს მიხაელ რიუკერტმა განაცხადა, რომ მერიის მმართველობას "ჯერ არ გააჩნია მტკიცე, ოფიციალური ინფორმაცია" იმის თაობაზე, რომ შევარდნაძე ბადენ-ბადენში ჩამოდის. "თუმცა, ეს ძალიან გვაინტერესებს," - დასძინა რიუკერტმა. ისეთ ინტერნაციონალურ ქალაქში, როგორიც ბადენ-ბადენია, საერთაშორისო სტუმრები, რასაკვირველია, "ყოველთვის სასურველი სტუმრები" არიან. თუ შევარდნაძისთანა პიროვნება ქალაქში გაჩერდება, ამას "უსაფრთხოების ასპექტებიც" თან დაერთვება და ადგილობრივ პოლიციურ უწყებებსაც მოუწევთ ხელის გამოღება...

# კანცელარია პანიკაში

*ვინც არ ყოფილა სახელმწიფო კანცელარიაში, ძნელად თუ წარმოიდგენს იმ "დახშულ სივრცეს", რომელშიც გარე სამყაროდან ინფორმაცია ნაწყვეტ-ნაწყვეტ, ფრაგმენტულად აღწევს;*
*ვერ წარმოიდგენს იმ დაბნეულობას, რომელიც კანცელარიის რიგითი თანამშრომლების სახეებზე ასახულა;*
*ვერ წარმოიდგენს იმ გაორებულ განწყობას, რომელიც ზოგიერთ მათგანს არქივების გადამალვის სურვილს უჩენს, ზოგიერთს კი - "სხვაგვარად მოაზროვნეთა" მისამართით აგრესიას;*
*ვერ წარმოიდგენს შევარდნაძისგან "გადამწყვეტი ნაბიჯების" გამოსათხოვად მოსული, სახელისუფლებო ბლოკის ლიდერების მიმოსვლის ტემპს კანცელარიის დერეფნებში.*

თამარ ხორბალაძე

უკვე ორი კვირაა, კანცელარია ამ მდგომარეობაშია, თუმცა ოთხშაბათს სახელმწიფო ტელევიზიის ხელმძღვანელის გადადგომა, გუშინ კი აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებული მკაცრი განცხადება ბოლო წვეთი აღმოჩნდა სიტუაციის საბოლოოდ დასაძაბად.

გუშინდელი დღის მთავარი სიახლე კანცელარიისთვის აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის, ადამ ერელის უკვე ცნობილი განცხადება იყო, რომელსაც პირველი, საქართველოს პრეზიდენტის პრესმდივანი კახა იმნაძე გამოეხმაურა. კომენტარი საკმაოდ ზოგადი და, გარკვეულწილად, ბუნდოვანი გახლდათ. კახა იმნაძის განცხადებით, მას შემდეგ, რაც საქართველოს ახლადარჩეული პარლამენტი ფუნქციონირებას დაიწყებს და დამთავრდება გამოძიება საარჩევნო სიების გამყალბებელთა ვინაობის გამოსავლენად, შესაძლებელია, რომ სახელმწიფო დეპარტამენტის შეფასება მკვეთრად შეიცვალოს. იმნაძის თქმით, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის კრიტიკა, გარკვეულწილად, მისაღებია, თუმცა მას მიაჩნია, რომ 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნები, წინა არჩევნებთან შედარებით, მაინც წინ გადადგმული ნაბიჯი იყო.

იმნაძის განცხადებას მოჰყვა საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივნის თედო ჯაფარიძის განცხადება, რომელიც, თავისი შინაარსით, იმდენად "ორაზროვანი" იყო, რომ სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენელთა სერიოზული გაღიზიანებაც გამოიწვია (გოგავამ იგი ჟვანიასთან ალიანსში დაადანაშაულა, არანაკლებ მწვავე რეაქცია ჰქონდათ მამალაძეს, სარიშვილს, რჩეულიშვილს, თავად ვაჟა ლორთქიფანიძესაც...) და - ოპოზიციის მხრიდან კრიტიკაც.

თუმცა, თავად იმ ფაქტმა, რომ თედო ჯაფარიძე პრეზიდენტის საინფორმაციო ვაკუუმში ყოფნაზე, მის ზურგს უკან გამართულ მოლაპარაკებებზე, სკამებისთვის ბრძოლაზე, სისხლის დაღვრის თითქმის გარდაუვალ პერსპექტივაზე ალაპარაკდა, კანცელარიაში კიდევ უფრო მეტი დაბნეულობა შექმნა და შიშის გრძნობა გაამძაფრა.

შედარებით ნაკლები ეფექტი ჰქონდა მის მოწოდებას ახალი პარლამენტის ამოქმედებისა და რიგგარეშე საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების ერთად ჩატარების თაობაზე.

დამძიმებულ "საკანცელარიო" განწყობას კიდევ უფრო ამძაფრებდა ჯემალ გახოკიძის განცხადებები თბილისში მოსალოდნელი ტერაქტების შესახებ, რომლებიც საელჩოების წინააღმდეგ არის დაგეგმილი, დაზვერვის დეპარტამენტის ხელმძღვანელის საუბრები მოსალოდნელ სისხლისღვრაზე და შეტაკებებზე, სახელმწიფო კანცელარიის მისადგომებთან მობილიზებული შინაგანი ჯარის ნაწილების განსაკუთრებული სიმრავლე...

# სახელისუფლებო ბლოკის "პოზიცია"

ლელა მჭედლიძე

გუშინდელი დღის ყველაზე დიდი სენსაცია სახლმწიფო კანცელარიაში უშიშროების საბჭოს მდივნის თედო ჯაფარიძის განცხადება იყო. ჩვეულებრივ, ჩრდილში მყოფი სახელმწიფო მდივნის ამგვარ კატეგორიულ განცხადებას პრეზიდენტის გარემოცვა მართლაც გაღიზიანებული შეხვდა. **"იმას, რასაც თედო ჯაფარიძე ახლა აცხადებს, მე ჯერ კიდევ 3 ნოემბერს ვამბობდი. ვთქვი, რომ არსებობს გარკვეული გარიგებები ხელისუფლების და ოპოზიციის წარმომადგენლებს შორის. ჯგუფები, რომლებიც ცალ-ცალკე აწარმოებენ მოლაპარაკებას სააკაშვილსა და ჟვანია-ბურჯანაძეს შორის. ახლა, ჯაფარიძის განცხადებას, სენსაციურობის გარდა, არანაირი დატვირთვა არ აქვს,"** -ნიშნი მოუგო უშიშროების საბჭოს მდივანს სახელისუფლებო ბლოკის სპიკერმა ირინა სარიშვილმა. თუმცა, მას გუშინ ის აღარ გახსენებია, რომ ამ ხმების დადასტურების შემთხვევაში, იგი სახელისუფლებო ბლოკში დიდხანს გაჩერებას აღარ აპირებდა.

**"დიდი ხანია ვიცოდი, რომ თედო ჯაფარიძეს ოპოზიციის ლიდერებისა და, განსაკუთრებით, ზურაბ ჟვანიასადმი სიმპათიები ჰქონდა,"** - ასეთი ინფორმირებულობით თავი უკვე ლევან მამალაძის გუნდის წარმომადგენელმა ირაკლი გოგავამ მოიწონა. **"თუ არ ვცდები, თედო ჯაფარიძე თავად არის შევარდნაძის გარემოცვის წევრი, რომელსაც ახლა პრეზიდენტის საინფორმაციო ვაკუუმში ყოფნას აბრალებს..."** - გაღმა შეედავა უშიშროების საბჭოს მდივანს ვაჟა ლორთქიფანიძე. გუშინ ექს-სახელმწიფო მინისტრი სხვა, არანაკლებ საინტერესო განცხადებებსაც აკეთებდა. **"ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება მიზანშეწონილად არ მიმაჩნია. თუ საპრეზიდენტო არჩევნებთან ერთად, საპარლამენტო არჩევნებიც ჩატარდა, გამოდის, რომ ეს პარლამენტი, სულ რაღაც, ერთი წელი იარსებებს. ეს საკითხი არა პარტიების ან პრეზიდენტის გადასაწყვეტია, არამედ მაჟორიტარი დეპუტატების, რომლებიც კონკრეტული რაიონის წარმომადგენლების მიერ არიან არჩეულნი,"** - აშკარად დაენანა დეპუტატების მიერ დროის, ძალის და ფულის "წყალში ჩაყრა" ვაჟა ლორთქიფანიძეს.

გუშინ, სახელისუფლებო ბლოკის სხვა წარმომადგენლებთან ერთად, პრეზიდენტს მაჟორიტარი დეპუტატების ნაწილიც ხვდებოდა, თუმცა, იმის დაკონკრეტება, თუ რა გადაწყდა კონკრეტულად ამ შეხვედრაზე დღევანდელ სხდომასთან, ან ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით, მათ არ ისურვეს. ისე, სახელისუფლებო ბლოკის ლიდერების ერთსულოვანი მტკიცებით, გამოსავალი პარლამენტის დღევანდელი სხდომა უნდა იყოს, "სადაც საკითხები კონსტიტუციურ ფარგლებში უნდა გადაწყდეს". რა ან კონკრეტულად როგორ - ასევე უცნობია. აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მტკიცებით, "ისიც კი არ არის ცნობილი, დაესწრება თუ არა ახალი მოწვევის პარლამენტის პირველ სხდომას ედუარდ შევარდნაძე", თუმცა, წესითა და კანონით, შევარდნაძე არათუ სხდომის გახსნას, მასზე სიტყვის თქმასაც კი გეგმავდა. სამაგიეროდ, ცნობილია, რომ ოპოზიციის დღევანდელ შეკრებასთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტროს თავისი ოფიციალური პოზიცია არ შეუცვლია. **"ქვეყანაში მაინცადამაინც საგანგაშო მდგომარეობა არ არის. ვითარება კონტროლს ექვემდებარება. პოლიცია პროვოკაციას არ უნდა წამოეგოს. საჭიროების შემთხვევაში, ჩვენ მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ სპეციალურ ზომებს მივმართავთ და არა იარაღს,"** - იმეორებდა შინაგან საქმეთა მინისტრი.

გუშინ პრეზიდენტთან კიდევ ერთი საინტერესო შეხვედრა შედგა. საინტერესო, ალბათ, თავისი ხანგრძლივობის გამოც. პრეზიდენტ შევარდნაძესთან საქართველოში რუსეთის ელჩი ვლადიმერ ჩხიკვიშვილიც მივიდა. ელჩმა შევარდნაძესთან სულ 15 წუთი დაჰყო. შეხვედრიდან გამოსული ჩხიკვიშვილი ამტკიცებდა, რომ შეხვედრაზე პარლამენტის დღევანდელ სხდომასა და ქართულ-აფხაზურ კონფლიქტზე საუბრობდნენ... თამაზ ნადარეიშვილი კი, თავის მხრივ, მოგვიანებით ამტკიცებდა, რომ ამ "კონფლიქტის ფრონტზე", ახალი არაფერი ხდება...

# "მრეწველები" პირდაპირ პროკურატურაში მიდიან

"მრეწველები" დარწმუნებულნი არიან, რომ საარჩევნო ბარიერს მიღმა ისინი ერთბაშად რამდენიმე დაინტერესებული მხარის ძალისხმევით აღმოჩნდნენ, კერძოდ, **"ხელისუფლებასთან გარიგებული ოპოზიციის და პროამერიკულ პარტიებზე "მომუშავე" საერთაშორისო ორგანიზაციების წყალობით".**

მათი პარტიის წინააღმდეგ დარაზმულთა სიას მთავარმა "მრეწველმა", სავალუტო ფონდის შემდეგ, გუშინ უკვე ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტიც დაუმატა. თოფაძე ამტკიცებს, რომ გარკვეული ნეგატიური დამოკიდებულება მასთან სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის ლინ პასკოს შეხვედრის დროსაც იგრძნობოდა. სახელმწიფო დეპარტამენტის კატეგორიული განცხადება საქართველოში ჩატარებულ არჩევნებთან დაკავშირებით, თოფაძე-ტყემალაძისთვის საწინააღმდეგო არგუმენტად არ გამოდგება. პარტიის ლიდერები ამტკიცებენ, რომ **"სახელმწიფო დეპარტამენტმა ასეთი განცხადება მას შემდეგ გააკეთა, რაც თავისთვის მთლად სასურველ შედეგს ვერ მიაღწია".** გოგი თოფაძე დარწმუნებულია - პარლამენტს გარეთ "მრეწველები" იმისათვის დატოვეს, რომ ჯერ კიდევ სახელმწიფოს საკუთრებაში დარჩენილი მნიშვნელოვანი ობიექტების დაინტერესებულ პირებზე კაპიკებად გასხვისება ადვილად მოხდეს. იმის შესახებ, რომ პარტია პარლამენტს გარეთ რჩებოდა, ტყემალაძის განცხადებით, ეჭვი მათ ჯერ კიდევ 30 ოქტომბერს გასჩენიათ. თუმცა, ფაქტია, რომ ეჭვებმა (ისევე, როგორც მოგვიანებით "მრეწველების" პრეზიდენტთან შეხვედრამ) საქმეს დიდად ვერ უშველა. რატომ არ მიიღო თავისი ეჭვების გასაქარწყლებლად "მრეწველთა" საკმაოდ სოლიდურმა პარტიამ უფრო ქმედითი ზომები? რატომ არ ააფრიალეს ამ პოლიტიკოსებმა მათ ხელთ არსებული დოკუმენტები, გადასწორებული ოქმების თუ სხვა სახით, უფრო ადრე? ამ კითხვებზე პასუხს პარტიის ლიდერები გუშინ აშკარად თავს არიდებდნენ...

თოფაძე არც დღეს აპირებს ქუჩაში გასული ოპოზიციური პარტიებისათვის მხარში ამოდგომას. როგორც განმარტავს, მას სხვა სტრატეგია აქვს. სასამართლოში უკვე შეტანილი სარჩელები, რა თქმა უნდა, ძალაში რჩება, მაგრამ თოფაძის პარტია სიმართლის მოძებნას, სასამართლოზე ადრე, გენერალურ პროკურატურაში აპირებს. პარტიის ლიდერების განცხადებით, მათ ხელთ არსებულ დოკუმენტაციას გაბრიჩიძის უწყებაში ისინი მალე გადააგზავნიან.

*24 საათი*

www.24hours.ge 24 B

დაუმორჩილებლობა

# ეს სხვა ქვეყანაა და ამას ხალხი დღეს დაამტკიცებს



*დეფიმ თქვა, დღეს თუ ერთ ლოყაში გაგვარტყამენ, მეორეს მივუშვერთო... ამ ფოტოს "სანამ ლოყები მთელი გვაქვს" - ჰქვია.*

მაია ჭალაბანიძე

*პრეზიდენტის მიერ ახალი პარლამენტის შეკრების დღის გამოცხადება საზოგადოებისა და მასთან მდგარი ოპოზიციისთვის ხელთათმანის სროლას ნიშნავდა. არც ერთი თავმოყვარე ჰუსარი ამგვარ ჟესტს უპასუხოდ არ ტოვებდა და ხელისუფლებამაც მშვენივრად იცოდა, რომ ხალხი ამ გამოწვევას მიიღებდა. შედეგად - გაბრაზებული ამომრჩევლის მრავალ ათეულ ათასიანი თავისუფლების კოლონა შედგა. ჩვენი დღევანდელი სტუმრები დაუმორჩილებლობის მოძრაობისთვის ყოველგვარი საგანგებო მოლაპარაკებების გარეშე შეიკრიბნენ და თბილისის სასწავლებლებსა და დაწესებულებებში მშვიდობიანი მსვლელობა დაიწყეს. მათ ყველაზე მეტად იმიტომ ენდობიან, რომ არც ერთ პოლიტიკურ ძალას არ წარმოადგენენ. ისინი საზოგადოებრივი ძალაა, უფრო ძლიერი, ვიდრე ყველა პარტია ერთად აღებული.*

**- პარლამენტის წინ დაბანაკებულმა "აღორძინებამ" ჟურნალისტებისთვის ახლა უკვე ხილული წითელი ხაზი გაავლო...**

**დავით-დეფი გოგიბედაშვილი, მწერალი:** ეს წითელი ხაზი მხოლოდ ჟურნალისტებისთვის არ გავლებულა. ეს ხაზი ყველა ნორმალურად მოაზროვნე ადამიანისთვის გაივლო. იმისთვის, ვინც საქართველოსთვის მუშაობს, დებს ახალ აგურს, ამბობს ახალ სიტყვას, აშენებს საქართველოს... რიტორიკას თუ შევეშვებით, ვიტყვი, რომ არც ამ ათასწლეულში და არც გასულში ხაზის გავლება არსად მომხდარა. ამას არც ერთი ქვეყანა არ აკეთებს. ეს ემართება იმ ხალხს, რომელიც მალე აღარ იქნება საქართველოში - ჩემი აზრით, ხაზის გავლება ედუარდ შევარდნაძის პირადი ბრძანება იყო, ასეთი სისულელე თავში არავის მოუვა - ომშიც კი ექიმებსა და ჟურნალისტებს ხელს არავინ ახლებს. ეს არის დეგენერაცია.

**- 2 ნოემბრის არჩევნების შედეგების დამტკიცება და პრეზიდენტის განკარგულება პარლამენტის სხდომის დანიშვნის შესახებ ხელისუფლების მხრიდან აშკარა გამოწვევა იყო. რას მოიმოქმედებს ხალხი და გაერთიანებული ოპოზიცია?**

**გიგი თევზაძე, ფილოსოფოსი:** დიახ, ეს ხელთათმანი ხლხს ესროლეს. ჩვენ სამოქალაქო და არაოპოზიციური პარტიების კი არა, საზოგადოების წინააღმდეგობის კომიტეტი ვართ. ოპოზიცია დგას ჩვენს გვერდით და არა პირიქით.

არ ვიცი, ამას რა დავარქვა - სითავხედე, სიჩლუნგე, სიტუტუცე... ეს მართლაც გამოწვევა იყო. "მრეწველები" პარლამენტში ვერ მოხვდნენ და მაშინვე ახალი ვაჭრობა გააჩაღეს, წინა ვაჭრობა უშედეგოდ დასრულდა. მერე გამოვიდნენ "ახლები" და თქვეს, რომ პირადად მე და ის ორი ორგანიზაცია, რომელიც არჩევნებს იკვლევდა, რუსეთიდან ვიმართებით. ამგვარი გადაწყვეტილებებით პირდაპირ გეუბნებიან - ვერაფერს გვიზამთო. დღეს, როდესაც ათობით ათასი ადამიანი გამოვა მოედანზე, გარწმუნებთ, ხელისუფლება აქ აღარ იქნება.

**- უშიშროების საბჭოს მდივანმა, თედო ჯაფარიძემ თავის განცხადებაში ახსენა ტერმინი "ფსევდოპატრიოტული შეძახილები." და აღნიშნა, რომ ახლა ამის დრო არ არის. თქვენი აზრით, ვის გულისხმობდა გავლენიანი მაღალჩინოსანი?**

**ლაშა ბუღაძე, ხმადაკარგული ამომრჩეველი:** თუ ეს მართლაც ხალხის მისამართით იყო ნათქვამი, დიდი შეცდომა დაუშვია...

**ვახო ბაბუნაშვილი, მუსიკოსი (Soft ejekt):** პოლიტიკაში ტერმინი "შეცდომა" არ უნდა გამოიყენებოდეს. ეს შინაგანად კარგად გააზრებული ნაბიჯებია. ყველას გვესმის, რა დღეშია ხელისუფლება და მასთან მდგომი ის ხალხი, ვინც ამ სტრუქტურაში კარგა ხნის განმავლობაში თბებოდა. ასე მგონია, მათ კუთხეში მიმწყვდეული ვირთხის ფენომენი სჭირთ. კუთხეში მიმწყვდეული ეს მღრღნელი თავის გადასარჩენად დინოზავრსაც კი დაეტაკება. ხელისუფლების ბოლოდროინდელი ნაბიჯები სწორედ ეს ფენომენია... ეს არ არის შეცდომა, მათ კარგად იციან, რომ გამოუვალ მდგომარეობაში არიან და თავისი პოზიციით საზოგადოების წინააღმდეგ მიდიან.

**გოგა ხაინდრავა, რეჟისორი:** რეჟიმის ყველა მსახური, შევარდნაძის მსახური, დღეს ყურმოჭრილი მონაა. თედო ჯაფარიძე ჩვენ პატრიოტიზმზე არ უნდა გველაპარაკებოდეს. ჩემი თაობის ადამიანებისგან, მათგან, ვისთან ერთადაც ომები გავიარე - უფრო მტკიცე ხასიათის გამოვლენას ველი.

21-ე საუკუნეში ჩვენ დღეს შევდივართ. იმ ჭუჭყს ვიწმენდთ და ვირეცხავთ, რომელშიც ჩვენდა უნებურად ვიყავით - ჯერ 70 წლის და მერე უკანასკნელი 12 წლის გაუთავებელ მანძილზე. დარჩა იმ ადამიანების პატარა ჯგუფი, რომელიც ამ ჭუჭყს ვერ ელევა და ღმერთმა გაუმარჯოს.

**დეფი:** მინდა გავიხსენო აპოკალიპტური სიბრძნე, სადაც უფალი ღმერთი იოანე ღვთისმეტყველს ეუბნება - ან ცხელი იყავი, ან ცივი, თორემ ამოგანთხევ ჩემი პირიდან.

ჩვენ თითქმის ყველა უმაღლეს სასწავლებელში დავდივართ. ჟრჟოლა დაგვივლის ხოლმე იმის გახსენებაზე, რომ ჩვენ, ერთი ჯგუფი ერთი მიზნით მომართულნი ვდგავართ. ვიცი, რომ სარკეში საკუთარ თავს თამამად შევხედავ, მაგრამ იმ ადამიანებმა რა უნდა ქნან? სამწუხაროდ, ამგვარი ადამიანები ყოველთვის არსებობდნენ და იქნებიან. მათ ნომენკლატურა ჰქვია (ეს სახელი ჩვენი მოგონილი არ არის, ლათინებმა დაარქვეს). ნომენკლატურა უნდა გაქრეს, ეს ხალხის, ქვეყნის დანიშნულება ოდითგან იყო... არავინ იცის, ვინ იყო ქალაქის ბურგომისტრი და პოლიცმაისტერი ნიკო ფიროსმანის დროს, ნიკო ფიროსმანი კი ყველამ იცის.

შევარდნაძე უნდა გადადგეს, შემდეგ - უნდა გადაჯდეს ტრიბუნალის სკამზე, შემდეგ - დაამთავროს თავისი მოღვაწეობა, ან იჯდეს ბადენ-ბადენში, უსმინოს "დურან-დურანს", შეხვდეს ბუტროს-ბუტროს გალის. თუ ძალიან უნდა-უნდა, შეუძლია კონცერტი გამართოს "ნოა-ნოა"-შიც... წადი-წადი - ორჯერ-ორჯერ...

**ვახო ბაბუნაშვილი:** ღმერთმა დაგვიფაროს იმის ფიქრისგან, რომ უკვე ჩამოყალიბებული საზოგადოება ვართ - ჩვენც ვიზრდებით. საზოგადოება ვითარდება, საბჭოთა ნომენკლატურა კი - რჩება, იმავე მეთოდებით, პრინციპებით, წესებით მოქმედებს... პატივისცემას სკამი და თანამდებობა არ იმსახურებს. პატივისცემა მოაქვს პიროვნებას, მის გაკეთებულ საქმეებს...

**- თქვენ, აპოლიტიკურმა ადამიანებმა, აქტიურობა, ხმამაღლა საუბარი შეძელით... მაგრამ არსებობენ არანაკლებ პატივსაცემი ადამიანები, ვინც თქვენსავით ფიქრობენ და არ ჩანან. სად არიან ისინი?**

**დათო ზურაბიშვილი, მწერალი, პუბლიცისტი:** საზოგადოებრივად აქტიური ადამიანებიდან ზოგი მეტად ჩანს, ზოგი - ნაკლებად... ამას მნიშვნელობა არ აქვს. ყველა ტრიბუნაზე ვერ გამოვა, მაგრამ 100-დან 99 ადამიანის განწყობა ხელისუფლების მიმართ ცალსახაა და დარწმუნებული ვარ, დღეს პირველ საათზე ძალიან კარგად გამოჩნდება.

აქ წითელი ხაზი ახსენეთ. ეს ძალზე სიმბოლურია - ხელისუფლებამ თავის თავსა და საზოგადოებას შორის გაავლო წითელი ხაზი. ე.წ. "კანცელარიის ლიბერალებისგან" ხშირად გამიგია - იმიტომ არის ასე ცუდად საქმე, რომ ხალხი პასუხს არ სთხოვს ხელისუფლებასო... როდესაც ხალხმა ჯერ 2 ნოემბერს მოსთხოვა და დღემდე ითხოვს, აღმოჩნდა, რომ ეს პროდასავლური ორიენტაცია, ლიბერალური ფასეულობები მხოლოდ ფასადი იყო. დღეს შევარდნაძის რეჟიმმა დაგვანახა, რომ არაფერს არ უწევს ანგარიშს. ეს ყველაფერი ცხადი და ნათელია.

შევარდნაძის ძველი ეპოქა, ტყუილებისა და რეჟიმის ზიზილ-პიპილოებში შეფუთვა დამთავრდება... ხვალ ან საზოგადოება თავის სახელს დაარქმევს ყველაფერს, და საქმეს ისე დააყენებს, რომ პოლიტიკოსებმა სწორედ საზოგადოების დაკვეთა შეასრულონ, ან - ელემენტარული დიქტატურა გვემუქრება. ასე რომ მოხდეს, აქედან უნდა წავიდეთ, მაგრამ არავინ ვაპირებთ აქედან წასვლას, რადგან ეს ჩვენი ქვეყანაა.

თავად შევარდნაძის სიტყვებია - диктатура не пройдет, საქართველოში ეს ამბავი არ გამოვა - სხვა ქვეყანაა და ამას ხალხი დღეს დაამტკიცებს.

გაგრძელება B2 გვერდზე

დაუმორჩილებლობა

# ეს სხვა ქვეყანაა და ამას ხალხი დღეს დაამტკიცებს


გიორგი ხაინდრავა


ვახო ბაბუნაშვილი, ნიკოლოზ რურუა


გია ჭანტურია

B1 გვერდიდან

**- ყოველთვის ყველაფერი სტუდენტებიდან, უნივერსიტეტიდან იწყებოდა - 1979 წელს, 80-იან წლებში... ახლა ასე არ მოხდა, რატომ?**

**დათო ტურაშვილი, მწერალი:** ერთი ნაწილის პასიურობა, გარკვეულწილად, იმ ობიექტური ფაქტორების ბრალიც არის, რომ საქართველომ უკანასკნელ ათწლეულში უზარმაზარი ენერგია გაიღო. ამიტომ არის ძალიან ძნელი პროცესების ხელოვნურად შექმნა. ეს პროცესები, საბედნიეროდ, ბუნებრივად იქმნება. პასიური ეტაპი და ნიჰილისტური დამოკიდებულება საქართველოში წარსულს ბარდება. ადამიანები ძალიან აქტიურები გახდნენ და დიდმა უმეტესობამ იგრძნო, რომ ჩვენ დასაკარგი აღარაფერი გვაქვს. ჩვენ ნამდვილად ვერ წავალთ ემიგრაციაში, რადგან მილიონნახევარზე მეტი ქართველი უკვე წასულია. ეს ჩვენი დასათმობი არ არის. ის უნდა წავიდეს, ვისაც საქმე წასასვლელად აქვს.

ყველა შეხვედრაზე გვეკითხებიან პოლიტიკურ პარტიებთან და მათ ლიდერებთან ჩვენი დამოკიდებულების შესახებ. ეს ცალსახაა - როცა ამდენი ადამიანი გამოდის, მათ მხოლოდ პარტიები ან ლიდერები არ ამოძრავებენ. ეს არის იმ ხელისუფლებასთან დაპირისპირებული ხალხი, ვინც ელემენტარული საკითხებიც კი ვერ მოაგვარა. ამიტომ მათი რეაქცია ადეკვატურია.

ეს ხალხი იმიტომაც გამოდის, რომ იმ პარტიებმა, ვინც სამომავლოდ ხელისუფლებაში მოსვლას აპირებენ, იცოდნენ, რომ ჩვენ არც ერთი ხელისუფლების მონები აღარ ვიქნებით. ყველამ იცოდეს - ჩვენ საზოგადოებად ჩამოვყალიბდით და ამას აღარავის აღარ გავაკეთებინებთ. ჩვენ აღარ ვართ ის საქართველო, რომელიც თუნდაც, 10 წლის წინ იყო - შეშინებული და დაჩაგრული.

არაფერი გვაქვს გასაყოფი საქართველოს იმ მოქალაქეებთან, რომლებსაც განსხვავებული პოზიცია აქვთ. ჩვენ ვართ ხალხი, ვისაც ეს ხელისუფლება აღარ უნდა.

**- ხელისუფლება სამოქალაქო დაპირისპირების საშიშროების არსებობას ამტკიცებს. დაუმორჩილებლობის მოძრაობა თუ მუშაობს პარლამენტთან მდგომ ადამიანებთან, საბიუჯეტოებთან და თუ იცით მათი განწყობის შესახებ?**

**ნიკოლოზ რურუა, იურისტი:** ჯარისკაცებსა და სახელმწიფო მოხელეებს არ შევხვედრივართ. მცირე გამონაკლისის გარდა, მათი განწყობა ცნობილია. ამ პროცესში მთავარი მოქმედი გმირი საზოგადოებაა და სწორედ მათ წარმომადგენლებს ვხვდებით. ასეთი რამ უნდა მომხდარიყო. გიგი თევზაძეს ტერმინს დავესესხები - დემოკრატიის სიმულაცია დამთავრდა. საბედნიეროდ, ეს სიმულაცია საზოგადოებამ აღარ ისურვა.

ჩვენი მეგობარი და მოძრაობის წევრი დათო მაღრაძე ახლა აჭარიდან ძალით ჩამოყვანილი ხალხისადმი მიმართვას წერს. ეს მათ დაურიგდებათ...

**- როგორ ფიქრობთ, რამდენი დახევს ამ მიმართვას წაუკითხავად?**

- ვერ გეტყვით... დღეს ხელისუფლება ეყრდნობა არა საზოგადოების დიდი ნაწილის მოთხოვნას, არამედ - ადამიანების ერთი პატარა ჯგუფის აზრს, ვისაც გააჩნია მგლის ყბები, ცხვრის ტვინი და ინფუზორიის მორალი. დღეს უკვე ყველამ უნდა გაიაზროს, რომ ხელისუფლებაში ყოფნა მიზანი კი არა, საქმის კეთების საშუალებაა. ვინც ვერაფერი გააკეთა, უნდა შეიცვალოს და ნებისმიერი ხელისუფლებისთვის ეს გაკვეთილი უნდა იყოს. დიდ ხანს ძალაუფლებაში ყოფნა ადამიანს ყრვნის. ყველამ უნდა ისწავლოს, რომ თუკი ის თავის საქმეს ვერ გააკეთებს, ხალხი მას გადაირჩევს. მაგრამ თუ ამ გადარჩევის უფლებას ჩამოართმევ, ხალხი ამას ძალიან უხეშად მოითხოვს. და ამ უხეში გამოფხიზლების დრო დადგა.

**- დღევანდელი პროცესები როგორი გაკვეთილია მომავალი ხელისუფლებისთვის?**

**ირაკლი კაკაბაძე, მომრიგებელი:** ხელისუფლება არ არის სწორი სიტყვა, უნდა იყოს საჯარო მოსამსახურე და სამსახური. ისეთ ქვეყანაში გვინდა ცხოვრება, სადაც ისინი ჩვენს სამსახურში ჩადგებიან და ჩვენზე იზრუნებენ. ჩვენც ვიზრუნებთ იმაზე, რომ მათ სამსახურის ნორმალური პირობები შეექმნათ, ჩვენ ხომ მათ ვირჩევთ.

უბრალო ადამიანები დამოუკიდებლად აზროვნებენ. მათ ვერც ერთი პოლიტიკური პარტია ვერ უკარნახებს, როგორ იცხოვრონ. ჩვენ იდეით ვართ შეპყრობილები, არც ერთს თანამდებობა არ გვინდა. ყველა ჩვენგანი ძალიან კარგად ვართ ჩვენს პროფესიებში და ასე ყოფნას ვაპირებთ. ამ მოძრაობის ბირთვი ჩვენ არ ვართ. ასეთი ბირთვები უამრავია და ყველგან არის შექმნილი. ერთადერთი გზა, რაც ამ რეჟიმს დარჩენია, ჩვენი დაჭერაა. მეც ჩავჯდები... სანამ ეს რეჟიმი იქნება, ციხეში ყოფნა მირჩევნია.

**- არ შეიძლება ადამიანის განკითხვა საწინააღმდეგო პოზიციისთვის. მაგრამ, თქვენი პროფესიის ადამიანები, ისინი, ვინც თავის კონცერტებზე დარბაზებს ავსებდნენ - დუმან, არსად ჩანან...**

**აჩიკო გულედანი, მუსიკოსი ("მწვანე ოთახი"):** უფლება არ მაქვს, სხვები გავკიცხო, არ მინდა, ზღვარი გაივლოს. მაგრამ, მაქვს ჩემი აზრი - ჩუმად ყოფნა დღეს უზნეობაა. როცა ქვეყანაში ასეთი ამბებია, არ შეიძლება შემოქმედი, ხელოვანი ადამიანი თავის თავში ჩაიკეტოს, ნაჭუჭში შეძვრეს. ზოგი "მუსიკოსი" პარლამენტში შედის... ყველას თავისი გზა და მორალი აქვს. მაგრამ, საკუთარი პოზიცია ჩვენ მტკიცედ უნდა დავიცვათ. საზოგადოების ჩვეულებრივი წარმომადგენლები ვართ. ჩვენი რიგები ძალიან დიდია. ჩვენ 100 000 და მეტნი ვართ.

**გოგა ხაინდრავა:** მეგობრებთან ერთად რომ სიმღერა და ცეკვა კარგია, ეს ყველამ ვიცით, მაგრამ რაღაც უცნაური მეგობრები აირჩიეს...

**ლაშა ბუღაძე:** გამოდიან, პირს აღებენ, იჭაჭებიან და არ მღერიან. საზოგადოების გააქტიურება სწორედ მაშინ გვაქვს სახეზე, როდესაც ხალხი შავზე შავს ამბობს და თეთრზე - თეთრს.

**დათო ტურაშვილი:** ლუსტრაციას წლების მანძილზე ვითხოვთ და არ ხდება. ეს პროცესები ზუსტი ლუსტრაციისთვის მისწრება აღმოჩნდა. ესტრადის ეგრეთწოდებულ ვარსკვლავებთან დაკავშირებით საოცარი რამ მოხდა: ისინი, ვინც შემოქმედებითად უდგებიან თავის პროფესიას (აჩიკო, ნიაზი, ზუმბა, ირაკლი...) ამ ხელისუფლების წინააღმდეგ არიან. მომხრეები კი ისინი აღმოჩნდნენ, ვინც ფონოგრამით მღერის. ანუ, ვინც სიყალბეს ემსახურება, სიყალბესთან არის და ვინც შემოქმედებითად ცხოვრობს - ხალხთან დგას. დიფერენციაცია გენიალურად და მარტივად მოხდა...

**გოგა ხაინდრავა:** რამდენიმე დღის წინ ზვიად ძიძიგურს ჩამოვართვი ხელი და ვფიქრობ, რომ ჩემთვის ეს ისტორიული დღე იყო. გვერდი-გვერდ დგანან ადამიანები, ვინც ერთმანეთს ტყვიას ესროდა. ჩვენ ერთმანეთს ვაპატიეთ. ერთადერთი რამე, რასაც ვერავის ვაპატიებთ - ღირსების აყრაა. დიდ მადლობას ვუხდი პრეზიდენტს, მან ქართველი ერის წინაშე ისტორიული მისია შეასრულა. მისი დამსახურებით, 2 ნოემბრიდან ლუსტრაციის კანონის ამოქმედება დაიწყო - ვერც ერთი დაწერილი დოკუმენტი ამას ასე ვერ გააკეთებდა... მიუხედავად იმისა, რომ ყველას ბევრი შეცდომა გვაქვს დაშვებული, ათვლა დღევანდელი დღიდან იწყება - გუშინ ჩვენ ყველანი ვცდებოდით.

**გია ჭანტურია, "ჩვენი ეზოს" რეჟისორი:** გუშინ არჩევნების შემაჯამებელი შედეგები ხელისუფლების ინტერესების დასაცავად გამოცხადდა. დევდარიანის გამოსვლაში ღიად იკითხებოდა, რომ მას დავალებული აქვს პარლამენტის შეკრება. მგონი, ბერძნული გამოთქმაა - თუნდაც ერი დაიღუპოს, მაგრამ სიმართლემ უნდა გაიმარჯვოს. სიმართლე ყველაფერზე მეტია. სიმართლის გადარჩენა ყველაფერს მოიცავს, ერის გადარჩენასაც...

მინდა, ჩემებურად ავხსნა, რას ნიშნავს ღირსების შელახვა... 5 წელი უნივერსიტეტში ვსწავლობდი, ვცდილობდი, კარგად მესწავლა. დამთავრების შემდეგ დიდი გზა გავიარე, სანამ კინოსტუდიაში მოვხვდი - დიდი ჯაფა დამჭირდა იმისთვის, რომ შემესწავლა ტექნიკა და ის საქმე, რასაც ახლა ვაკეთებ. 15-16 წლის განმავლობაში ვსწავლობდი, ვშრომობდი, ვიღლებოდი იმისთვის, რომ ჩემი საქმე მეკეთებინა და ნებისმიერი აქ მჯდომიც ასე იყო. 16 წლის განმავლობაში ამისთვის ვიწამე და ვიღაც ტუტუცმა, რომელიც მამადლის, რომ ორი თვე ღამე ათია - ნულის ცხრიანად გადაკეთებით, ყველაფერი, რისთვისაც 16 წელიწადი უძილო ღამეები გავატარე - ერთი ხელის მოსმით დამინგრია... ეს მე შეურაცხმყოფს. ერთი კვირაა, ვერ ვიღიმები, ვერ ვხუმრობ და სცენარების წერა მიჭირს. უფლებასთან ერთად ხასიათიც წამართვეს. ღირსებას და ხასიათს კი არავის წავართმევინებ.

**- შეგიძლიათ პრეზიდენტის ხმით მიტინგზე გამოაცხადოთ, რომ ის გადადგა...**

- ვიფიქრე, მაგრამ ხალხს ეგონება, ყველაფერი დამთავრდა და სახლებში წავიდნენ. ამას არ ვიზამ...

**ნიკოლოზ რურუა:** კრიზისი ცუდი არ არის. ბევრი მანკიერი რამ გამოჩნდება ხოლმე... ხელისუფლებისთვის არახელსაყრელი ყველა მოვლენისა და საქციელის განეიტრალებას სახელმწიფოებრივი ინტერესით ცდილობენ. სინამდვილეში ეს მხოლოდ ერთი ხელისუფალის კერძო ინტერესებია. სახელმწიფოებრიობა შევარდნაძის ერთგულებასთან არის გაიგივებული. ყველა ტირანი აცხადებს, რომ ის არის სახელმწიფო, ის არის კანონი და ისინი ძალიან ცუდად ამთავრებენ.

ადამიანისა და ხელისუფლების პერსონიფიცირება ის მოვლენაა, რისგანაც დღეს პირველ რიგში უნდა განვთავისუფლდეთ...

**- საზოგადოების ლუსტრაციაზე ვსაუბრობდით. როცა ეს ყველაფერი დამთავრდება, თქვენი აზრით, როგორი ურთიერთობები ჩამოყალიბდება?**

**ლაშა ბუღაძე:** ნორმალური, აბსოლუტურად ნორმალური... აქამდე ადამიანები შეფასებებში, გარკვეულწილად, დეზორიენტირებულნი იყვნენ. ეს იმიტომ ხდებოდა, რომ ამორალური ადამიანები მორალს გვიკითხავდნენ, უწიგნურები წიგნიერებას გვთხოვდნენ, უკანონოები კი - კანონების დაცვას და ა.შ. ეს დალაგდება და დალაგდა კიდეც. პირველი გამარჯვება სწორედ ეს არის.

რაც შეეხება დღევანდელ დღეს. ძალიან მინდა, ვთხოვო პარლამენტთან მდგომ ადამიანებს, რომლებიც, დარწმუნებული ვარ, არანაირ საწინააღმდეგო ქმედებას არ მიმართავენ, რადგან ფულით მოყვანილი ადამიანები იდეით მოყვანილს ვერ დაუპირისპირდებიან; მაინც მინდა, ვთხოვო იმ მცირერიცხოვან ნაწილს, ვისაც მიაჩნია, რომ დაპირისპირების შექმნა აუცილებელია - ორი მოხუცი ადამიანის (და ამას შეურაცხყოფისთვის არ ვამბობ) ამბიციის და პიროვნული პრობლემების გამო ნუ გაიფუჭებენ საკუთარ ბიოგრაფიებს, ნუ დაიმახინჯებენ საკუთარ და შვილების მომავალს...

**ირაკლი კაკაბაძე:** ახლა სოხუმიდან ჩემმა მეგობრებმა დამირეკეს. იქ ძალზე შეშფოთებულები არიან ბატონი ნოდარ ნათაძის ემოციური გამოსვლით, სადაც ის ამბობს, რომ ნამდვილი ოპოზიცია არძინბას თავის ჩამოტანაზე იზრუნებს. ჩვენი აფხაზი ძმებისა და დების გასაგონად მინდა ვთქვა - არც აფხაზების, არც ეროვნული თუ რელიგიური უმცირესობების მიმართ საშიშროება არ არსებობს. ეს არის ისეთი მშვიდობიანი მოძრაობა, როგორიც ჯერ არ ყოფილა. არც ერთ ოპოზიციურ პოლიტიკურ ლიდერს ეს არ განუცხადებია. ჩვენ არავის თავი და სისხლი არ გვინდა - ეს არის ჩვენი მთავარი გაცხადებული პრინციპი. ჩვენს ძმებთან და დებთან მშვიდობით მივალთ და მშვიდობით დაველაპარაკებით.

**გოგა ხაინდრავა:** ჩვენ ჯერ დავუმტკიცებთ ჩვენს მეგობრებს, რომ მშვიდობიანი საქმის მკეთებლები ვართ. მხოლოდ ამის შემდეგ მივადგებით მათ კარს, დავუკაკუნებთ და შეშვებას ვთხოვთ. იმიტომ, რომ ჩვენ ამ სახლის, ოჯახის წევრები ვართ და იქიდან გამოგდება არ გვეკუთვნოდა. ის, რაც აფხაზეთში მოხდა, ხალხის დანაშაული არ არის, ეს ხელისუფლებების დანაშაულია, კომუნისტური დანაშაულია.

**- კონკრეტულად რას აპირებს თქვენი მოძრაობა ხვალ, სად იქნებით?**

**გოგა ხაინდრავა:** ის გამოცდილება გვყოფნის, რომ ძალადობა არ დავუშვათ. პირველ რიგებში ჩვენ ჩავდგებით და არ ვუპასუხებთ ძალადობას. მოძალადე მეორე დარტყმას აღარ გააკეთებს იმიტომ, რომ მას შერცხვება... ადრე უცხო ჯარს ვუპირისპირდებოდით. დღეს ჩვენს წინაშე ჩვენი შვილები, ძმები, მეგობრები დგებიან. მათ ქართული სახელმწიფოს, ჯარისა და პოლიციის ფორმა აცვიათ, ჩვენი ნაწილნი არიან და არა ხელისუფლების.

ის მიტინგი, რომელიც პარლამენტის წინ იმართება, თავისუფლების კოლონას დაინახავს თუ არა, მაშინვე შემოუერთდებიან. თბილისშიც, ჩოლოქზეც, სოხუმშიც და ცხინვალშიც... ეს ახალი საქართველოა.

**მამუკა ხერხეულიძე, ჟურნალისტი:** ლაშა ბუღაძემ სტუდენტებთან შეხვედრების დროს ახალი ლოზუნგი მოიგონა. "გადადექი" - "გადადგება"-თი შეიცვალა. კონკრეტიკისთვის ჯობს მოვითხოვოთ, გადაჯდეს - ჰააგის ტრიბუნალის სკამზე, ან რაიმე სხვა სკამებზე...

დღეს საქართველოს ისტორიული შანსი აქვს (საგარეო ვითარებას თუ გავითვალისწინებთ, ასეთი შესაძლებლობა დიდი ხნის მანძილზე არ ჰქონია), რომ ნამდვილად დემოკრატიულ, ევროპულ, ცივილიზებულ ქვეყნად ვიქცეთ. ჩვენ, როგორც საზოგადოების რიგით წევრებს, გვინდა, რომ ეს რეჟიმი შეიცვალოს და ნორმალური ხელისუფლება მოვიდეს.


აჩიკო გულედანი, დათო ტურაშვილი


ირაკლი კაკაბაძე, დეფი


მამუკა ხერხეულიძე, დათო ზურაბიშვილი


ლაშა ბუღაძე


გიგი თევზაძე


დათო მაღრაძე შეხვედრას ვერ დაესწრო. ის მიმართვა წერდა

# უკანასკნელი ყვითელი ბარათი პრეზიდენტ შევარდნაძისთვის



## დავით უსუფაშვილი

**- ორი დღის წინ, უამრავი დარღვევებისა და გაყალბების მიუხედავად, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არჩევნების შედეგები მაინც დაამტკიცა. როგორ აფასებთ ცესკო-ს ამ გადაწყვეტილებას?**

- ჩემი აზრით, ოცმა ნოემბერმა დააგვირგვინა ის არაორგანიზებული და არასწორად წარმართული პროცესები, რომელიც არჩევნებს ახლდა თან, გნებავთ, ორგანიზაციული თვალსაზრისით. ცესკო-მ ისე შეაჯამა არჩევნების შედეგები და ისე გამოსცა განკარგულება ოქმის დამტკიცების თაობაზე, რომ არ უმსჯელია ყველა პრობლემაზე, რაც ამ პროცესში წარმოიშვა და რომლის განხილვა ცესკო-ს ვალდებულება იყო. კერძოდ, ვგულისხმობ საჩივრებს, ცესკო-ს წევრების განსხვავებულ მოსაზრებებს. მეტიც, ცესკო-ს არ უმსჯელია ისეთ საკითხებზეც კი, რომლის საფუძველზეც საოლქო სასამართლოებმა შემაჯამებელი ოქმები ბათილად ცნეს. ანუ სასამართლოს არგუმენტები ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, უბრალოდ, განხილვის ღირსადაც არ ჩათვალა. ეს სერიოზულ პრობლემებს ქმნის და უკვე შექმნა კიდეც. ამიტომ, მე ამ ფაქტს მხოლოდ უარყოფითად ვაფასებ.

**- თქვენი აზრით, რას ნიშნავს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის ადამ ერელის შეფასება ორი ნოემბრის არჩევნების თაობაზე?**

- მე მგონი, ეს იყო ყველაზე სერიოზული განცხადება, სადაც ცალსახად უარყოფითად შეფასდა არა მხოლოდ არჩევნების პროცესი, არამედ ქვეყნის ხელმძღვანელობის ქმედება არჩევნებთან დაკავშირებით. ზოგადად, ასეთ განცხადებებში ორი მომენტია მნიშვნელოვანი – მხოლოდ არჩევნები იყო უარყოფითად შეფასებული, თუ ქვეყნის ხელისუფლება, რომელმაც ეს არჩევნები ჩაატარა. ამ განცხადებით ორივე საკმაოდ უარყოფითად არის შეფასებული და ეს ძალზე სერიოზული გაფრთხილებაა - თუ საგანგებო ღონისძიებები არ გატარდა, საქართველოს ამერიკის მეგობარ ქვეყანათა რიცხვში ყოფნა აღარ უწერია.

**- პარლამენტის წინ, უკვე რამდენიმე დღეა, მიმდინარეობს "აღორძინების" მიტინგი. თქვენი აზრით, რატომ ჩამოიყვანა "აღორძინებამ" საკუთარი მხარდამჭერები თბილისში?**

- სცენარი, ალბათ, დაახლოებით ასე გამოიყურება – საქართველოს პრეზიდენტს, მისი აზრით, სახიფათო ძალის დასაბალანსებლად, დასჭირდა "აღორძინების კავშირის" ლიდერის ის დახმარება, რომელიც აბაშიძემ შესთავაზა. ამასობაში, ეს პოლიტიკური ძალა და მისი ლიდერი საკუთარი ინტერესების ერთგული რჩება. ამიტომ, პრეზიდენტისთვის დახმარების აღმოჩენის სანაცვლოდ, იგი შეეცდება, რაც შეიძლება მეტი მიიღოს საკუთარი გავლენის გასაძლიერებლად. ასე რომ, მე მგონი, სიტუაცია ისე ვითარდება, რომ ეს სტრატეგიული ალიანსი პრეზიდენტსა და აბაშიძეს შორის ნელ-ნელა მიდის იმ სცენარით, რომელიც ასლან აბაშიძეს ხელს აძლევს და სწორედ მის და არა პრეზიდენტის ინტერესებშია.

**- გუშინ ასლან აბაშიძე საქართველოდან აჭარის იზოლაციით დაიმუქრა. რამდენად აქვს მას ასეთი განცხადების უფლება?**

- მე მგონი, მისგან სხვა ქმედებას არ უნდა ველოდოთ. ეს ის კოზირია, რომლითაც აბაშიძე მუდმივად აშანტაჟებდა ცენტრალურ ხელისუფლებას და მან დაინახა, რომ დადგა მომენტი, როდესაც ამ კოზირის გათამაშება ყველაზე მეტად არის შესაძლებელი. არა მგონია, რომ ქართველი ხალხი ასეთ შანტაჟს წამოეგოს. თუ ეს გადაწყვეტილება იქნება მიღებული, ეს იქნება ასლან აბაშიძის პირადი მოსაზრება, მისი პირადი ნება და არავითარ შემთხვევაში - აჭარის მოსახლეობის ნება. ასე რომ, ავტორიტარული რეჟიმების საფრთხე სწორედ ის არის, რომ ავტორიტარული მმართველები ამგვარად აშანტაჟებენ საკუთარ მოსახლეობას. ეს იქნება ძალიან ცუდი მოვლენა, და არა ყველაზე უარესი, რომელიც შეიძლება მოხდეს.

**- აქედან გამომდინარე, როგორია თქვენი პროგნოზი?**

- მოვლენათა განვითარება მერყეობს ნორმალურ ცივილურ გამოსავალსა და სერიოზულ დაპირისპირებასა და შეტაკებას შორის. მთავარია, ჩემი აზრით, გაკეთდეს ის, რაზეც თედო ჯაფარიძემ თავის გამოსვლაში მიანიშნა. პირველ რიგში, ცენტრალური ხელისუფლება გონს უნდა მოეგოს და შეწყვიტოს იმ ადამიანთა შეხედულებებით ქვეყნის მართვა, რომლებიც სიტუაციის დაძაბვას ცდილობენ. მკაფიოდ უნდა ითქვას, რომ არანაირი სტრატეგიული ალიანსი ასლან აბაშიძესთან არ არსებობს და ამ საწყისი პოზიციიდან ჩვენ ვიწყებთ საუბარს ქვეყნის მომავალზე. შესაბამისად, უნდა დაკმაყოფილდეს მოსახლეობის უდიდესი ნაწილის მოთხოვნა, რომ ამ არჩევნების შედეგად არჩეულ პარლამენტს არ ალიარებს საკუთარ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოდ. სამართლებრივი გზები ჯერ კიდევ დარჩენილია. შესაძლებელია ფიქრი ახალ არჩევნებზე, რომელიც ბევრ რამეს სხვაგვარად წარმოაჩენს. ცხადია, ხელისუფლების ეს ნაბიჯი გამოიწვევს "აღორძინების კავშირისა" და მისი ლიდერის უდიდეს გაღიზიანებას, მაგრამ უდანაკარგოდ გამოსავალი ამ სიტუაციიდან, სამწუხაროდ, არ არის. ამიტომ ყველა მოვლენას უნდა დაერქვას თავისი სახელი, მათ შორის, ასლან აბაშიძის ახლანდელ და შესაძლო ქმედებებსაც. თუნდაც იმას, რომ მან, საქართველოს კონსტიტუციის უხეში დარღვევით, თავი უმაღლეს სამხედრო პირად გამოაცხადა, პრაქტიკულად, ამ რეგიონის ჩაკეტვას უკვე ნიშნავს. სამწუხაროდ, ამ ძალასთან მიმართებაში ცენტრალური ხელისუფლების უგუნურმა პოლიტიკამ ამ სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანა. თუმცა, ახლა საკითხი ასე დგას – მთელი ქვეყანა ბოლომდე უნდა შეეწიროს მის ზრახვებს და პოლიტიკას, თუ ქვეყანა უნდა გადარჩეს და დაველოდოთ იმ დროს, როდესაც მთელი ქვეყნის ხელისუფლებაში და, მათ შორის - აჭარაში, დემოკრატიული ძალები მოვლენ.



## არჩილ გეგეშიძე

**- ორი დღის წინ, უამრავი დარღვევებისა და გაყალბების მიუხედავად, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაამტკიცა არჩევნების შედეგები. როგორ აფასებთ ცესკო-ს ამ გადაწყვეტილებას?**

- რა თქმა უნდა, ეს არასწორი ნაბიჯი იყო. აშკარაა, რომ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ეს პოლიტიკური კონიუნქტურის გამო გააკეთა, თუმცა ეცადა, არჩევნების შედეგების დამტკიცებისთვის იურიდიული, სამართლებრივი საფუძვლები მოეძებნა.

**- თქვენი აზრით, რას ნიშნავს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის ადამ ერელის შეფასება ორი ნოემბრის არჩევნების თაობაზე?**

- ეს, კონკრეტულად, ადამ ერელის შეფასებაა. ალბათ, სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური განცხადებაც იგივე ხასიათის იქნება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შეერთებული შტატები არ იცვლის პოზიციას და აცხადებს, რომ ცესკო-ს მიერ დამტკიცებული შედეგები ქართული ამომრჩევლის რეალურ ნებას არ ასახავს. ისინი, როგორც მან თქვა, შეისწავლიან ვითარებას და უკვე აქედან გამომდინარე, გარკვეულ კორექტივებს შეიტანენ საქართველოს მიმართ გასატარებელ პოლიტიკაში.

**- პარლამენტის წინ, უკვე რამდენიმე დღეა, მიმდინარეობს "აღორძინების" მიტინგი. თქვენი აზრით, რატომ ჩამოიყვანა "აღორძინებამ" საკუთარი მხარდამჭერები თბილისში?**

- ხელისუფლებამ მიიჩნია, რომ "ნაციონალებისა" და "დემოკრატების" დასაბალანსებლად ყველაზე რეალური იქნებოდა იგივე "აღორძინების" გამოყენება. მაგრამ, როგორც ჩანს, ყველაფერი სათანადოდ არ იყო გათვლილი და რეალური ვითარება კიდევ უფრო მეტად მძიმდება, სულ უფრო მეტად ვიწროვდება ვითარებიდან გამოსავალი გზები.

**- გუშინ ასლან აბაშიძე საქართველოდან აჭარის იზოლაციით დაიმუქრა. რამდენად აქვს მას ასეთი განცხადების უფლება?**

- ამ ვითარებაში დაპირისპირებული მხარეები ვა-ბანკზე მიდიან. ფსონები მაქსიმალურად მაღალია და არ იძლევა მანევრირების, კომპრომისის მიღწევის საშუალებას. სწორედ აქედან გამომდინარე უნდა განვიხილოთ ეს განცხადება. მეორე მხრივ, სახელმწიფო მოღვაწის პრეტენზიის მქონე პოლიტიკოსის მხრიდან ამგვარი სიტყვები ანტისახელმწიფოებრივი განცხადებაა. რას ნიშნავს ეს სამართლებრივად? გულისხმობს თუ არა ქვეყნისგან სეპარატიზაციას? როგორ უნდა მოხდეს ეს რეალურად, ვისი ძალის გამოყენებით? ალბათ, მას რუსული ბაზების იმედი აქვს. ერთი სიტყვით, ეს არასწორი განცხადებაა.

**- თქვენი პროგნოზი, რა იქნება ხვალ?**

- მივაქცევდი თქვენს ყურადღებას უშიშროების მდივნის თედო ჯაფარიძის განცხადებას. თუკი მან ეს განცხადება პრეზიდენტთან შეთანხმებით გააკეთა, მაშინ შეიძლება ეს ყველაფერი დაპირისპირებულ მხარეებს გარკვეული მანევრირების საშუალებას უქმნიდეს. თედო ჯაფარიძემ სცადა, პრეზიდენტისთვის პასუხისმგებლობის ნაწილი აეცილებინა და იგი პრეზიდენტის გარემოცვაზე გადაიტანა – რეაქციულ, შავრაზმული მსოფლმხედველობის მქონე ადამიანებზე, რომლებიც პრეზიდენტს იზოლაციაში, ინფორმაციულ ვაკუუმში ამყოფებენ, შანტაჟის გზით მას დილემის წინაშე აყენებენ და ამით მას მდგომარეობას ურთულებენ. მეორე – იგი მხარს უჭერს იმას, რომ პარლამენტი შეიკრიბოს, მაგრამ დროებით, და რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებამდე იმუშაოს. რა თქმა უნდა, ოპოზიციისათვის ეს მიუღებელია, მაგრამ ეს ქმნის მანევრირების საშუალებას, პრეზიდენტსა და ოპოზიციას შორის მოლაპარაკებების დროს კომპრომისების მიღწევის შესაძლებლობას. არსებობს სამართლებრივი გზები, რომ ამ მოწვევის პარლამენტი არ შეიკრიბოს და არჩევნების შედეგები ბათილად იქნეს გამოცხადებული. უზენაეს სასამართლოში შეტანილია "სამართლიანი არჩევნების" სარჩელი ცესკო-ს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე. უზენაესმა სასამართლომ ეს სარჩელი უნდა დააკმაყოფილოს. ეს კი იმის საშუალებას იძლევა, რომ არჩევნების შედეგები უკვე საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრდეს. არჩევნები ბათილად უნდა გამოცხადდეს. ამის საფუძველზე პრეზიდენტს უკვე შეუძლია, ხელახალი არჩევნები დანიშნოს. კომპრომისის მიღწევის შანსების გასაზრდელად, პრეზიდენტმა შეიძლება გამოაცხადოს მზადყოფნა ან თანხმობა, რომ საპარლამენტო არჩევნებთან ერთად, ჩატარდეს პლებისციტი და ხალხმა გადაწყვიტოს, გადადგეს თუ არა პრეზიდენტი თანამდებობიდან.



## გია ნოდია

**- პრაქტიკულად მთელმა მსოფლიომ აღიარა, რომ, მიუხედავად შედეგების დაკანონებისა, არჩევნები საქართველოში ტოტალურად გაყალბდა...**

- როგორც ჩანს, ხელისუფლებაში გაიმარჯვა იმ აზრმა, რომ დათმობაზე წასვლა არ შეიძლებოდა და რომ ეს გამოიწვევდა უფრო მეტ მოთხოვნებს ოპოზიციის მხრიდან. ამიტომ მათ ამ პრინციპით იმოქმედეს. ცესკო-მ სწორედ ასეთი შედეგები გააფორმა და არც შეეცადა, გაეთვალისწინებინა ოპოზიციის მოთხოვნები და არ წავიდა კომპრომისზე.

**- როგორ შეაფასებთ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის ადამ ერელის გუშინდელ განცხადებას?**

- ბოლო დროს თანდათანობით სულ უფრო მკაცრი ხდებოდა ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია, მაგრამ ეს უკვე ძალიან მკაცრი შეფასებაა. ეს უკვე ყვითელი ბარათის ჩვენებაა შევარდნაძისათვის და, პრაქტიკულად, არანაირი საფუძველი აღარ აქვს შევარდნაძეს, ისაუბროს შეერთებული შტატების მხარდაჭერაზე.

**- პარლამენტის წინ უკვე რამდენიმე დღეა, მიმდინარეობს "აღორძინების" და სახელისუფლებო ძალების ერთობლივი მიტინგი. რას ნიშნავს ეს ალიანსი?**

- სრულიად ნათელია, რაც ხდება. შევარდნაძეს სურს, რომ დღეს მიმდინარე პროცესებს დაერქვას სამოქალაქო დაპირისპირება, ამით შეაშინოს ხალხი, რათა ისინი საპროტესტო აქციებზე არ მივიდნენ. მეორე მხრივ, მან მრავალჯერ გამოიყენა წინასაარჩევნო პერიოდებში კარგად აპრობირებული მეთოდი – გამოიყენოს დაპირისპირება ისე, რომ ეს ჩანდეს არა როგორც ხელისუფლების, პოლიციის მოქმედება ხალხის წინააღმდეგ, არამედ ურთიერთდაპირისპირება მოსახლეობას შორის.

**- გუშინ ასლან აბაშიძე საქართველოდან აჭარის იზოლაციით დაიმუქრა...**

- ასლან აბაშიძე დიდი ხანია, აღარ უყურებს, რა არის ნორმალური და რა – არა. იგი აკეთებს იმ განცხადებებს, რაც თავად მიაჩნია სწორად. მას ესმის, რომ საქართველოში მყარდება დემოკრატიული მმართველობა და მიმართავს სეპარატისტულ შანტაჟს. ეს მისთვის დამახასიათებელი განცხადებებია.

**- რა მოხდება?**

- ალბათ, დღეს გამწვავებებს უნდა ველოდოთ. ოპოზიციონერი მომიტინგეები შეეცდებიან, თავი აარიდონ ნებისმიერ შეხებას მეორე მიტინგთან, მაგრამ შეიძლება ამ ორ მიტინგს შორის დაპირისპირების პროვოცირება მოხდეს. ხელისუფლების სტრატეგიიდან გამომდინარე, ეს ნაბიჯი მათთვის ლოგიკური იქნება. ჯერჯერობით, შევარდნაძის ქმედებები არ იძლევა იმ დასკვნის საფუძველს, რომ ის დათმობებისადმია განწყობილი. მის გარშემო იკრიბება ის ხალხი, რომელიც მას იქითკენ უბიძგებს, რომ არაფერი დათმოს და, როგორც ჩანს, ბოლო ხანებში შევარდნაძე ამ ხალხის ჭკუაზე დადის. თედო ჯაფარიძის განცხადებაც ამაზე მეტყველებს.







გაბრაზებული ქართველების მარში

# ვინ გადალახავს ბარიერს?

მიხეილ აბაიშვილი

ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის პირველი ეტაპი დასკვნით ფაზაში შედის. ფინალურ ექვსეულში მოხვედრისთვის ბრძოლა სულ უფრო უკომპრომისო ხდება. გუშინ გაიმართა მე-18 ტურის 4 მატჩი, რომელთაგან მნიშვნელობით და დაძაბულობის ხარისხით "თბილისისა" და ქუთაისის "ტორპედოს" მატჩი გამოირჩა, რომელიც არმიის ცენტრალური კლუბის სტადიონზე, ავლაბარში გაიმართა.

წინა ტურში ორივე გუნდი დიდი ანგარიშით დამარცხდა, რითაც საუკეთესო ექვსეულში მოხვედრის შანსი გაიუარესა. თუ "თბილისი" საქართველოს ჩემპიონთან, "დინამოსთან" დამარცხდა ანგარიშით 0:3, "ტორპედომ" ექვსეულის საგზურისთვის ბრძოლაში უშუალო კონკურენტთან, "ლოკომოტივთან" დათმო მატჩი (0:4). შესაბამისად, გუშინდელ მატჩში გამარჯვება, როგორც ერთ, ისე მეორე გუნდს დიდ სარგებელს მოუტანდა არა მხოლოდ სატურნირო, არამედ ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც.

ასეთი წინაისტორიის მიუხედავად, დაძაბული ბრძოლა არ შედგა. შეიძლება ითქვას, "თბილისმა" პირველივე ტაიმში გადაწყვიტა მატჩის ბედი. ორჯერ მიკუჩაძემ და აფციაურმა პირველივე ნახევარში 3-გოლიანი უპირატესობით დააწინაურეს თავისი გუნდი, რასაც ტაიმის მიწურულს ბაბუნაშვილის გოლი მოჰყვა.

მეორე ტაიმში გუნდებმა გოლები "გაცვალეს": ქუთაისელთაგან მუშკუდიანმა გამოიჩინა თავი, ხოლო თბილისელთაგან გოლი ისევ მიკუჩაძის ანგარიშზეა, რომელმაც ამ მატჩში "ჰეთ-თრიკი" შეასრულა.

მინიმალური ანგარიშით გაიმარჯვა ექვსეულში მოხვედრისთვის მებრძოლმა კიდევ ორმა გუნდმა – ბათუმის "დინამომ" და გორის "დილამ". ბათუმელებმა სტუმრად "მცხეთა" დაამარცხეს (1:0), ხოლო "დილამ" გორში, საკუთარ მოედანზე, ჩემპიონატის ერთ-ერთ აუტსაიდერს, "სპარტაკს" მოუგო (1:0).

**მე-18 ტური, 21 ნოემბერი**

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 4:2 | ტორპედო |
| დილა | 1:0 | სპარტაკი |
| მცხეთა | 0:1 | ბათუმი |
| მერცხალი | 1:3 | კოლხეთი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 18 | 12 | 4 | 2 | 38-6 | 40 |
| სიონი | 18 | 10 | 7 | 1 | 26-11 | 37 |
| დილა | 19 | 10 | 3 | 6 | 28-18 | 33 |
| ვიტ ჯორჯია | 17 | 9 | 5 | 3 | 29-11 | 32 |
| თბილისი | 19 | 8 | 4 | 7 | 33-25 | 28 |
| ბათუმი | 18 | 8 | 2 | 8 | 22-19 | 26 |
| ლოკომოტივი | 18 | 7 | 4 | 7 | 26-21 | 25 |
| ტორპედო | 19 | 7 | 4 | 7 | 19-22 | 25 |
| კოლხეთი | 19 | 6 | 3 | 10 | 18-23 | 21 |
| მცხეთა | 19 | 6 | 2 | 11 | 21-46 | 20 |
| სპარტაკი | 19 | 3 | 4 | 12 | 11-43 | 13 |
| მერცხალი | 19 | 2 | 4 | 13 | 17-39 | 10 |

დღეს ითამაშებენ: სიონი – დინამო
ლოკომოტივი – ვიტ ჯორჯია

# თამაში და პოლიტიკა

## ვისკენ იქნება ფორტუნა?

მიხეილ აბაკელია

დღეს "ლოკომოტივის" სტადიონზე საუკეთესო ექვსეულის ერთი ან, შესაძლოა, ორი საგზურის ბედიც გადაწყდეს. მე-18 ტურის ერთ-ერთ ცენტრალურ შეხვედრაში (მეორე ასეთი მატჩი პარალელურად გაიმართება ბოლნისში, სადაც პირველ-მეორე ადგილზე მყოფი გუნდები - "სიონი" და "დინამო" შეხვდებიან ერთმანეთს) "ლოკომოტივი" "ვიტ ჯორჯიას" უმასპინძლებს. შეიძლება ითქვას, რომ "ვიტ ჯორჯიას" თითქმის გადალახული აქვს "ექვსპროცენტიანი" ბარიერი. თუ დღეს ეს გუნდი დამარცხდება, მის სატურნირო მდგომარეობაზე მაინცდამაინც დიდ გავლენას ვერ მოახდენს. ამის საპირისპიროდ, "ლოკომოტივს", რომელიც გუშინდელი შეხვედრების გათვალისწინებით უკვე ექვსეულს მიღმაა, ჰაერივით სჭირდება 3 ქულა.

გუშინ ამ გუნდების მთავარმა მწვრთნელებმა პრესკონფერენცია გამართეს.

ლუის ცაკარიასი ("ლოკომოტივის" მთავარი მწვრთნელი): "ექვსეულში ადგილის გასამტკიცებლად ხვალ გამარჯვება გვჭირდება. არც "ვიტ ჯორჯიას" აქვს მაინცდამაინც დალხინებული სატურნირო მდგომარეობა, რაც მასაც აქტიური თამაშისკენ უბიძგებს. ამასთან, ვეტერინარული გუნდი სერიოზული ანგარიშგასაწევი ძალაა, რასაც ვიტელები, უკვე მერამდენე წელია, ამტკიცებენ. ასე რომ, დაძაბული და უშელავათო ბრძოლა გველის."

ზურაბ ბერიძე ("ვიტ ჯორჯიას" მთავარი მწვრთნელი): "ექვსეულში მოხვედრის თვალსაზრისით ორივე გუნდისთვის უმნიშვნელოვანესი მატჩია. ურთულესი დაპირისპირება გველის, რაც იმის კარგი წინაპირობაა, რომ გულშემატკივარი სანახაობრივი, ლამაზი თამაშის მომსწრე იქნება."

დავით სირაძე ("ლოკომოტივის" კაპიტანი, საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი): "დაძაბული, საინტერესო თამაში იქნება. ჩვენ ძალიან გვჭირდება მოგება და ამისთვის ყველაფერს გავაკეთებთ. თუმცა, იოლი არ იქნება, რადგან მეტოქე მაღალი კლასის გუნდია, რასაც მისი სატურნირო მდგომარეობა ამტკიცებს. ვფიქრობ, ამ მატჩში გამარჯვების მოსაპოვებლად ფორტუნას კეთილგანწყობაც იქნება საჭირო."

გუნდების მწვრთნელები საქართველოში არსებულ დაძაბულ პოლიტიკურ ვითარებასაც შეეხნენ.

ლუის ცაკარიასი: "მთელი ყურადღება ფეხბურთზე მაქვს გადატანილი და სხვა არაფერი არც მაინტერესებს, რის გამოც, არსებულ ვითარებასა და პოლიტიკურ ბატალიებზე საკმაოდ ზერელე წარმოდგენა მაქვს. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო სულ 12-13 წელია, რაც დამოუკიდებელი გახდა და ძალიან ახალგაზრდა რესპუბლიკაა, შემიძლია ვთქვა, რომ ასეთი მოვლენები მოულოდნელი არ არის. ჩემს სამშობლოში, პერუში, დაახლოებით 15 წლის წინ, ანალოგიური სიტუაცია იყო. იმედი მაქვს, მხარეები საერთო ენას გამონახავენ და მალე ყველაფერი კალაპოტში ჩადგება."

ზურაბ ბერიძე: "ხვალ მნიშვნელოვანი თამაში გვაქვს და დარწმუნებული ვარ, გუნდები ძალას არ დაზოგავენ, არაფერს დაუთმობენ ერთმანეთს. როგორი შედეგითაც არ უნდა დასრულდეს ეს მატჩი, ორივე გუნდის ფეხბურთელები ერთმანეთს ხელს ჩამოართმევენ და მეგობრებად დაშორდებიან. პოლიტიკაც თამაშია. ამიტომ, ვფიქრობ, ამ თამაშშიც შეიძლება "ფეირ პლეის" პრინციპების დაცვა. ორივე მხარემ უნდა იფიქროს იმაზე, რომ ამ თამაშს საკუთარი ხალხი არ გადააყოლოს."

ფეხბურთი

# რაული: "პორტუგალიის გზა მოსალოდნელზე გრძელი აღმოჩნდა"

*"ადრე ჩვენ იოლად ვძლევდით საკვალიფიკაციო ტურნირებს, თავად ჩემპიონატებზე კი ვერაფერს ვიგებდით. დროა, ტრადიცია შეიცვალოს. ევროპის ჩემპიონატის გზა ამჯერად რთული აღმოჩნდა ჩვენთვის. ეს კი დამატებითი მოტივაციაა, რომ ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვებისთვის ვიბრძოლოთ", - განაცხადა ესპანეთის ნაკრების კაპიტანმა, რაულმა. ესპანელები, მართლაც, ვერ დაიკვეხნიან დიდ ტურნირებზე მოპოვებული ტიტულების სიუხვით, თუმცა, მუდამ ფავორიტებად მიიჩნევიან. გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც რაულმა ნორვეგიის წინააღმდეგ, ევროპის ჩემპიონატის პლეი-ოფის განმეორებით მატჩში გამარჯვების შემდეგ მისცა ესპანელ ჟურნალისტებს.*



*რაული*

**- როგორც იქნა, ესპანეთი ევროპის ჩემპიონატზეა.**

- დიახ, მიზანი, რომლისთვისაც ყველანი თავგამოდებით ვიბრძოდით, მიღწეულია. ეს გზა ბევრად უფრო გრძელი და რთული აღმოჩნდა, ვიდრე გვეგონა, მაგრამ პლეი-ოფის მატჩებში ჩვენ დავამტკიცეთ საკუთარი უპირატესობა. ისეთი დიდი პოტენციალის მქონე გუნდი, როგორიც ჩვენია, უბრალოდ, იძულებულია, რომ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაშობდეს.

**- ახლა მხოლოდ და მხოლოდ ოპტიმიზმი?**

- დიახ, ახლა ჩვენ ყველანი ოპტიმისტურად ვართ განწყობილი, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ბევრი ვინერვიულეთ. ჩვენი გუნდი ახალგაზრდაა და გვინდა, რომ რაღაც მნიშვნელოვანს მივაღწიოთ. ფეხბურთელებმაც და მწვრთნელმაც ახლა პატივისცემა მოიპოვეს...

**- რა განწყობით მიემგზავრებით ევროპის ჩემპიონატზე?**

- საოცრად თავდაჯერებულები გავემგზავრებით. უკვე დავამტკიცეთ, რომ ნებისმიერი გუნდის დამარცხება შეგვიძლია. გვინდა, რომ გულშემატკივრის პატივისცემა მოვიპოვოთ და ჩვენი გუნდის "მეფური" თვისებები გამოვამჟღავნოთ.

**- მწვრთნელის მისამართით გამოთქმულმა კრიტიკამ გუნდისადმი მის დამოკიდებულებაზე იმოქმედა?**

- გუნდი მწვრთნელის გვერდით დგას. ის პროფესიონალი სელექციონერია, დიდი ადამიანი. მას მოთამაშეების დიდი მხარდაჭერა აქვს. ამ გუნდმა გულშემატკივარს სიხარული უნდა მიანიჭოს. ამიტომ, ჩვენს კოლექტივში მუდამ ოპტიმისტური განწყობა უნდა სუფევდეს.

**- პრესის კრიტიკა თქვენზე მტკივნეულად მოქმედებს?**

- არა. ასეთი რამ ყოველთვის ხდება ფეხბურთის სამყაროში. ცხადია, ჩვენ გვინდა, რომ კრიტიკის საბაბი არ მივცეთ პრესას, მაგრამ ყოველთვის ისე ხომ ვერ ვითამაშებთ, როგორც მეორე მატჩში ნორვეგიელების წინააღმდეგ.

**- ეთანხმები თუ არა იმ ცვლილებებს, რომლებიც ინიაკი საესმა განახორციელა ნაკრებში?**

- მე მომწონს ის სიახლეები, რომლებიც მან გუნდში მოიტანა. ახლა მთავარი ის არის, რომ ევროპის ჩემპიონატისთვის კარგად მოვემზადოთ. ტურნირის დაწყებამდე სამი ამხანაგური მატჩი გვაქვს ჩასატარებელი და ამ შეხვედრებში მაქსიმალურად უნდა გამოვცადოთ ესპანური ფეხბურთის შესაძლებლობები.

**- ეს ტურნირი დიდი შანსია ესპანეთისთვის?**

- ყოველთვის ვფიქრობთ, რომ ტურნირი წარმატებული იქნება ჩვენთვის... დრო გვიჩვენებს. ესპანეთის ნაკრები პორტუგალიაში თამაშისგან სიამოვნების მისაღებად გაემგზავრება და შეეცდება, ყველაფერი მაქსიმალურად კარგად გააკეთოს. ჩვენი ოცნებაა, ბოლოს და ბოლოს, რაღაც დიდს მივაღწიოთ... ჩვენ გვყავს გუნდი, რომელსაც ტიტულისთვის ბრძოლა შეუძლია.

კალათბურთი

# "ორლანდო მეჯიკი" უსუსტესია ლიგაში

სანდრო ნავერიანი

ჩვენი ყურადღების ცენტრში მყოფმა "ორლანდო მეჯიქმა" უკვე მეთერთმეტე მარცხი იწვნია. ზაზა ფაჩულიას გუნდი კრიტიკულ სიტუაციაშია და ლიგის ყველაზე ცუდ გუნდად ითვლება. გუშინ, გამთენიისას, ორლანდოელები "ფენიქს სანზს" ესტუმრნენ. "ამერიკა ვესტ არენაზე" ტრიბუნები ბოლომდე შეივსო. მაყურებელმა იცოდა, თუ სად მიდიოდა, იცოდა, რომ "მეჯიქი" ის გუნდია, რომლის დამარცხება თუნდაც მათ საყვარელ "სანზსაც" შეუძლია. "მართალია, ჩვენი გუნდიც ვერ არის სახარბიელო ფორმაში, მაგრამ "მეჯიქი" დღევანდელ ლიგაში უსუსტესი გუნდია", -განაცხადა ფენიქსელთა ერთ-ერთმა გულშემატკივარმა. ასეთი სიტყვებით გამოდიოდნენ მატჩის წინ სტადიონთან შეკრებილი ფენიქსელი გულშემატკივრები. სამწუხაროა, მაგრამ რეალობაა. სამწუხარო იმიტომ, რომ ამ გუნდში თამაშობს ერთი იმ სამ ქართველთაგანი, რომლებიც ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში ქართული კალათბურთის სახეს წარმოადგენენ. ფენიქსთან მატჩში ორლანდოელები ახალმა მწვრთნელმა, ჯონი დევისმა გაიყვანა. ერთადერთი მატჩი, რომლის მოგებაც "მეჯიქმა" წლეულს შეძლო, ეს იყო სასტარტო შეხვედრა რეგულარული ჩემპიონატისა და მათ "ნიუ-იორკ ნიქსს" სძლიეს. "მეჯიქის" შემადგენლობაში ყველაზე შედეგიანი ტრეისი მაკგრეიდი იყო. მან 20 ქულა დააგროვა. როგორც ჩანს, არც ტიმაკი არის სასურველ ფორმაში. გასულ სეზონში ის თამაშში საშუალოდ 32 ქულას აკეთებდა. მაკგრეიდიმ სულ რომ ფრენა დაიწყოს, თუ გუნდი არ ათამაშდა, "ორლანდო მეჯიქს" არაფერი ეშველება.

"სანზი" "მეჯიქის" მატჩის პარალელურად მიმდინარეობდა კიდევ ერთი შეხვედრა "დალას მავერიქსსა" და "სან-ანტონიო სფარზს" შორის. შარშან პლეი-ოფში სწორედ "სან-ანტონიომ" გამოაგდო დალასელი მოხეტიალეები. "დალასმა" სრულფასოვანი რევანში აიღო. წაგებული მატჩის მიუხედავად, შეხვედრის საუკეთესო მოთამაშე ტიმ დანკანი გახდა. მან 30 ქულა დააგროვა და 17-ჯერ მოხსნა ფარიდან ბურთი. დალასელთა რიგებში კი ყველაზე შედეგიანები იყვნენ დირკ ნოვიცკი (26) და ანტუან უოლკერი (22). "დალასმა" კარგი გუნდური თამაში შესთავაზა მეტოქეს და ამის წყალობითაც მოიპოვა გამარჯვება.

ეს რაც შეეხებოდა გამართულ მატჩებს. ახლა კი ცხელ-ცხელი ამბები, რომლებსაც ესა თუ ის საინფორმაციო წყარო ავრცელებს. ხმა დაირხა, კობი ბრაიანტი "ლეიკერსს" ტოვებსო. არ ვიცი, რამდენად მართალია, მაგრამ თუ მართალია, მაშინ მის გადაბირებას "საკრამენტო ქინგზი" და ორი აუტსაიდერი - "მემფის გრიზლის" და "ლოს ანჯელეს კლიპერსი" შეეცდებიან. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით სხვა გუნდზე არ საუბრობენ. შაკილ ო`ნილისა და კობი ბრაიანტის დაპირისპირება კი ნამდვილ ბრძოლაში გადაიზარდა. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ამბიციებს ვერ იკმაყოფილებენო. ბრაიანტის გადასვლასთან დაკავშირებით ო`ნილმა თავისი მოსაზრებაც გამოთქვა: "თუ ბრაიანტს არ უნდა გუნდური თამაში, მაშინ წავიდეს ჩემი გუნდიდან, მას აქ არაფერი ესაქმება". კობი ბრაიანტმაც უკან არ დაიხია და ო`ნილის მისამართით რამდენიმე უწმაწური სიტყვა თქვა, რის გამოც კლუბის ხელმძღვანელობამ 2,5 ათასი დოლარი ჯარიმა გადაახდევინა. როგორც ჩანს, ამბიციურ ბრაიანტს არ უნდა, ლიდერობა ო`ნილთან გაიყოს. ეს არც ახალი ამბავია და არც გასაოცარი - ყველას სურს ლიდერობა და პირველობა, მაგრამ როდესაც მარტო ერთი ადამიანის ინტერესებს არ ეხება, მაშინ ამბიციებს უნდა უბრძანო, რომ დაცხრნენ და დაოკდნენ, თორემ შედეგი არ იქნება. ამას დავუმატოთ ისიც, რომ პირველ მატჩში "დალას მავერიქსთან" ფილ ჯექსონმა კობი ბრაიანტი მოედანზე საერთოდ არ გამოიყვანა - მთელი მატჩის განმავლობაში სათადარიგოთა სკამი ახეხინა. თუ ბრაიანტმა ასე გააგრძელა, მას ნამდვილად გაუშვებენ გუნდიდან, უნდა მას ეს თუ არა.

კიდევ ერთი სიახლე: "დალას მავერიქსმა" გადაწყვიტა, საბონისი ამერიკაში დააბრუნოს. პირველად ამის გაკეთება აგვისტოში სცადეს, მაგრამ მათი გარჯა და მრავალმილიონიანი კონტრაქტის შეთავაზება ამაო გამოდგა. მეორედ ამ ერთი კვირის წინ სცადეს, როდესაც ლიტვაში ჩავიდა დალასელთა საკალათბურთო ოპერაციების პრეზიდენტი, დონი ნელსონი. შეგახსენებთ, რომ უმცროსი ნელსონი ლიტვის ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი იყო, რომელიც წლეულს ევროპის ჩემპიონი გახდა. "მოხარულნი ვიქნებით, თუ არვიდასი ჩვენს გუნდში გადმოვა. მესმის, რომ ის ბედნიერია სამშობლოში და თავის საყვარელ "ჟალგირისში" თამაშით, მაგრამ, დამიჯერეთ, საბონისი ჩვენ ძალიან გვჭირდება და არა მარტო ჩვენ, ნებისმიერი გუნდისთვის ის უდიდესი ძალაა", - განაცხადა ნელსონმა.

| | |
|---|---|
| **დალასი - სან-ანტონიო** | **95:92** |
| **ფენიქსი - ორლანდო** | **96:89** |

ინფოთეკა

**ფეხბურთი.** გუშინდელ პრესკონფერენციაზე მიუნხენის "ბაიერნის" ხელმძღვანელობამ დაადასტურა ის ფაქტი, რომ გუნდის 23 წლის ნახევარმცველი, სებასტიან დაისლერი ფსიქიატრიულ კლინიკაში გადის მკურნალობის კურსს. ფეხბურთელს მძიმე დეპრესია აქვს, რის გამოც ოთხშაბათს კლინიკაში მოათავსეს. ექიმებმა ზუსტად ვერ ამბობენ, თუ რამდენ ხანს მოუწევს დაისლერს მკურნალობა, თუმცა, იმედს გამოთქვამენ, რომ მალე გამოჯანმრთელდება და თამაშს შეძლებს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ინგლისური "მანჩესტერ იუნაიტედი" აპირებს, რომ კლუბის იმ ფეხბურთელების სანაცვლოდ, რომლებიც ევროპის ჩემპიონატზე მიიღებენ მონაწილეობას, კომპენსაცია მოსთხოვოს უეფას. "მანჩესტერის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის, დევიდ ჯილის განცხადებით, ეს გადაწყვეტილება სიხარბით არ არის გამოწვეული. "გინახავთ სადმე ბიზნესის სფერო, სადაც უფასოდ თმობენ თავიანთ რესურსებს?" – კითხულობს ჯილი. ამბობენ, რომ "მანჩესტერის" ხელმძღვანელობამ თავისი ეს გადაწყვეტილება ევროპის სუპერ-კლუბების გაერთიანებას, ეგრეთ წოდებულ "G-14"-ს გაუზიარა. სწორედ "G-14"-ის გეგმებში შედის ის, რომ კლუბებმა, თავიანთი ფეხბურთელების ნაკრებ გუნდებში თამაშის სანაცვლოდ ფიფა-ს და უეფა-ს კომპენსაცია მოსთხოვონ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მას შემდეგ, რაც თანამდებობიდან გადადგა ვალერი გაზაევი, მოსკოვის "ცსკ" ახალი მწვრთნელის ძიებაშია. გაზაევის შესაძლო შემცვლელებს შორის ძალიან ცნობილი უცხოელი სპეციალისტების გვარებს ასახელებენ. გუნდის ნახევარმცველი როლან გუსევი კი ამტკიცებს, რომ "ცსკ"-ს მწვრთნელი არგენტინელი ექტორ კუპერი გახდება. შეგახსენებთ: კუპერის გარდა, შესაძლო მწვრთნელთა სიაში პორტუგალიელი არტურ ჟორჟეს და ლუი ვან გაალის გვარებიც ფიგურირებს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** იტალიური "ფიორენტინას" გენერალურმა დირექტორმა, ფაბრიციო ლუჩეზიმ განაცხადა, რომ კლუბი მოხარული იქნება, თუ "ფიორენტინას" გაბრიელ ბატისტუტა დაუბრუნდება. "ყატარულ კლუბთან მას ორწლიანი კონტრაქტი აქვს, მაგრამ თუ ჩვენთან დაბრუნებას მოისურვებს, მზად ვართ, ყატარელებთან მოლაპარაკება წამოვიწყოთ. ბატისტუტა დიდებული ფეხბურთელია და ჩვენ მას სიამოვნებით დავიბრუნებთ", - განაცხადა ლუჩეზიმ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ევროპის ჩემპიონატის პლეი-ოფის განმეორებით მატჩში ესპანეთის ნაკრების წინააღმდეგ შინ 0:3 წაგების შემდეგ ნორვეგიელთა თავკაცი ნილს იოჰან სემბი თანამდებობიდან გადადგა. სემბმა თავის დროზე განაცხადა, რომ თუ ნორვეგიის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე ვერ გაიყვანდა, მწვრთნელის პოსტს დატოვებდა. მან პირობა არ დაარღვია და ხუთწლიანი მუშაობის შემდეგ გადადგა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** იტალიური "რომას" თავდამსხმელმა, ანტონიო კასანომ გუნდის უკანასკნელი ვარჯიში დემონსტრაციულად მიატოვა. მწვრთნელი ფაბიო კაპელო მის დაწყნარებას ცდილობდა, სთხოვდა, რომ პატივი ეცა თანაგუნდელებისთვის. კასანომ დამრიგებელს ყური არ ათხოვა და საწვრთნელი ბაზიდან წავიდა. ფეხბურთელის გაბრაზების მიზეზი ის გახდა, რომ კაპელომ ნება არ მისცა კასანოს, გუნდის ორმხრივ თამაშში მიეღო მონაწილეობა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ესპანეთის ფეხბურთის ფედერაცია უახლოეს დღეებში ახალ, ორწლიან კონტრაქტს შესთავაზებს ესპანეთის ნაკრების ამჟამინდელ თავკაცს, ინიაკი საესს. ფედერაციის პრეზიდენტმა, ანხელ მარია ვილარმა განაცხადა, რომ მწვრთნელის მიერ აქამდე გაწეული მუშაობით ძალიან კმაყოფილია.

# გაბრაზებული ქართველების მარში





## ინფოთეკა

**ძალოსნობა.** გუშინ კანადაში, ვანკუვერში, ძალოსანთა მსოფლიო ჩემპიონატზე ქალთა შორის 75 კგ წონით კატეგორიაში ორი მსოფლიო რეკორდი დაემხო. ჩინელმა სიჩუნ შანმა საერთო ჯამში 273 კგ დაძლია - ატაცსა და აკვრაში რეკორდის შესაბამისი წონები – 120 და 153 კგ. ვაჟთა შორის 94 კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა ბულგარელი დობრევი. მან 405 (185+220) კგ დაძლია. ამავე წონით კატეგორიაში მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს, შესაბამისად, თურქმა ილმიზმა (180+220) და მოლდაველმა ვაკარჩუკმა (177,5+222,5).

■ ■ ■

**ფორმულა 1.** პარიზში "სეზონის ყველაზე პერსპექტიული მრბოლის" პრემიის გადაცემის ყოველწლიური ცერემონიალი შედგა. დაჯილდოების ცერემონიალი, რომელიც წლეულს 25-ედ გაიმართა, ფრანგული ჟურნალის "ავტომობილის" მიერაა დაწესებული. პრემიის ლაურეატი კი "რენოს" ესპანელი პილოტი ფერნანდო ალონსოა. თავად მრბოლს დაჯილდოების ცერემონიალში მონაწილეობა არ მიუღია. ალონსოს ნაცვლად, საჯინიბოს ხელმძღვანელები პატრიკ ფორი და ფლავიო ბრიატორე გამოცხადდნენ. ფორის თქმით, ალონსომ ჯილდო დამსახურებულად მოიპოვა: "მან ბევრს მიაღწია. ალონსო საოცრად მიზანდასახულია და პირველი კლასის მრბოლის თვისებებს ფლობს. გარდა ამისა, იგი ძალზე სასიამოვნო და მეგობრული ახალგაზრდაა, რომელთან მუშაობაც ერთი სიამოვნებაა". შეგახსენებთ, რომ ალონსომ 2003 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე 55 ქულით საერთო პირად ჩათვლაში მეექვსე ადგილი დაიკავა. გარდა ამისა, "უნგრეთის გრან-პრიც" მოიგო.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** მელბურნში, ავსტრალიის გრან-პრის ორგანიზატორებმა, კერძოდ, ალბერტ პარკში არსებული ტრასის მეპატრონეებმა გადაწყვიტეს, ერთ-ერთ ტრიბუნას მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის, ფინელი მიკა სალოს პატივსაცემად მისი სახელი დაარქვან. ტრიბუნა, რომელსაც მომავალში სალოს სახელით მონათლავენ, ტრასის სასტარტო მონაკვეთის გასწვრივაა განთავსებული და იქ მოხვედრის მსურველთ 399 დოლარის გადახდა მოუწევთ. ამჟამად ტრასის ირგვლივ განთავსებული ტრიბუნები მიხაელ შუმახერის, ალენ პროსტის, ხუან-მანუელ ფანხიოს, ჯეკ ბრებჰენისა და ალან ჯონსის სახელს ატარებენ. მიკა სალომ კი, მოგეხსენებათ, სამეფო რბოლები 2001 წლის მიწურულს დატოვა.

■ ■ ■

**კრივი.** მას შემდეგ, რაც მენი პაკვიაომ ქვემსუბუქ წონით კატეგორიაში დამაჯერებლად დაამარცხა მარკო ანტონიო ბარერა, გადაწყვიტა, აღარ დაბრუნდეს სუპერ ქვემსუბუქ წონაში. პაკვიაოს მოუწევს, უარი თქვას IBF-ის ვერსიით ჩემპიონის ქამარზე, მიუხედავად იმისა, რომ ბარერასთან ჩხუბის დროს სასწორზე არავითარი ტიტული არ იყო, რადგან ბარერა, რომელიც ამ წონაში ლიდერად მიიჩნევა, არც ერთი ვერსიით ქამარს არ ფლობს. თუმცა, პაკვიაოს მენეჯერის, როდა ნაზარიოს თქმით, სუპერ ქვემსუბუქ წონაში დასარჩენად მოკრივეს მოტივაცია არა აქვს.

■ ■ ■

**ცხენოსნობა.** რომში, სამსუნგის სუპერლიგის ეტაპზე მონაწილე ბრიტანელი კონკურისტი ქალის დი ლამპარდის ცხენის - Abbervail Dream-ის ანალიზებში აკრძალული პრეპარატების კვალი აღმოაჩინეს. დი ლამპარდი ამტკიცებს, რომ წარმოდგენა არა აქვს, საიდან შეიძლებოდა მისი ცხენის სისხლში აკრძალული პრეპარატი მოხვედრილიყო. თუმცა, იქვე ამბობს, რომ შეიძლება პრეპარატი ცხენის საკვებში იყო შერეული, მაგრამ ამ საკვების შემადგენლობის შესახებ მისთვის საკვების მწარმოებელს არაფერი უთქვამს. ამის გათვალისწინებით ტურნირის ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს, გააუქმონ სპორტსმენის მიერ ტურნირზე ნაჩვენები შედეგები. თუმცა, ეს ვერანაირად ვერ იმოქმედებს 2003 წლის სუპერლიგის საერთო ჩათვლაზე. დი ლამპარდი ვალდებულია, ჯარიმაც გადაიხადოს.

## რაგბი

# მესამე თუ პირველი?

პაატა თოთაძე




აქამდე ოთხი მსოფლიო ჩემპიონატი გამართულა და ოთხჯერვე სამხრეთ ნახევარსფეროს წარმომადგენლებმა გაიმარჯვეს. ვებ ელისის თასი ორჯერ ავსტრალიელებს ხვდათ წილად, თითოჯერ კი ახალზელანდიელებს და სამხრეთაფრიკელებს.

მიუხედავად იმისა, თუ რა შედეგით დასრულდება დღევანდელი ფინალი, ორივე გუნდი ისტორიაში შევიდა, როგორც მეხუთე მსოფლიო თასის ფინალისტი. მაგრამ სულ სხვაა ისტორიაში მსოფლიო ჩემპიონად შესვლა, მით უმეტეს, თუ ამას გუნდი პირველად აკეთებს. ფინალის წინა დღეს სასტუმროს წინ, პლაჟზე შეკრებილ ინგლისელებს ნერვიულობისა არაფერი ეტყობოდათ, თითქოს ფინალი კი არა, ჩვეულებრივი ტესტი ჰქონოდათ სათამაშო. ჯერ იცურავეს, მერე ფრენბურთი ითამაშეს, ბოლოს

გულშემატკივრებს, სამი საათის განმავლობაში, ავტოგრაფებს ურიგებდნენ. საღამოს, იმავე გულშემატკივრებთან ერთად, სიდნეის ერთ-ერთ ბოულინგ-კლუბსაც მიაკითხეს.

"ჩვენ არაფერი გვაქვს სანერვიულო. უმნიშვნელოვანესი მატჩი გველის წინ, მაგრამ ნერვიულობით რას მოვიგებთ. მატჩისთვის კარგად ვართ მომზადებული, ღამით მორაგბეები შევიკრიბებით და კიდევ ერთხელ გავისაუბრებთ დეტალებზე. მოსამზადებლად ეს, ალბათ, საკმარისია. დანარჩენი მოედანზე გამოჩნდება", - თანამემამულე ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა ინგლისელთა კაპიტანმა მარტინ ჯონსონმა.

დღევანდელი ფინალი 12 წლის წინანდელის გამეორებაა. მაშინ ინგლისში ავსტრალიელებმა შეძლეს გადამწყვეტი ბრძოლის მოგება. დღევანდელის მსგავსად, ინგლისელებს მაშინაც აკრიტიკებდნენ ერთფეროვანი თამაშისთვის და იმისთვის, რომ წარმატებას გუნდი, ძირითადად, კარგი დამრტყმელის ხარჯზე აღწევდა. კრიტიკა განსაკუთრებით გაძლიერდა შოტლანდიელებთან უსახური ნახევარფინალის შემდეგ, მაშინ, როცა დუბლინში ავსტრალიამ ჩინებული თამაშით დაამარცხა ახალი ზელანდია.

ამის საპასუხოდ ფინალში ინგლისელებმა მათთვის მანამდე წარმატების მომტან ტაქტიკას უღალატეს და ღია, გაშლილი თამაში აჩვენეს, რამაც საბოლოოდ წააგებინა კიდეც მატჩი.

რა იქნება ამჯერად? "ახალზელანდიელებთან მატჩმა დაგვანახა, თუ რა საშიშია ავსტრალია, როცა ბურთი აქვს. ასე რომ, ჩვენი მთავარი ამოცანაა, ბურთი, უმეტესწილად, ჩვენ ვაკონტროლოთ", - ამბობს კლაივ ვუდვორდი. ეს იმას ნიშნავს, რომ ინგლისელები არ დაუშვებენ 12 წლის წინანდელ შეცდომას, ანუ ითამაშებენ იმავე ტაქტიკით, რომელსაც აქამდე მოგება მოჰქონდა. ისინი შეეცდებიან ტერიტორიული უპირატესობის მოპოვებას, მძლავრი შერკინების წყალობით თამაშის იმ ნაწილში გადატანას, საიდანაც ჯონი ვილკინსონი ქულების მოპოვებას შეძლებს.

მაგრამ, რა ვუყოთ განთქმულ ავსტრალიურ დაცვას? "ვოლაბიზი" მუდმივად გამოირჩეოდა დაცვაში კარგი თამაშით და ეს წლეულსაც გამოჩნდა. თუმცა, არც ისაა დასავიწყებელი, რომ დაცვაში არანაკლებ კარგად თამაშობს ინგლისი. თანაც, ევროპელები, ბოლო სამი წელია, მუდმივად ამარცხებენ ავსტრალიელებს. ბოლოს ეს მელბურნში მოხდა - სამხრეთულ ტურნეში მყოფმა ინგლისმა 25:14 მოუგო მასპინძლებს.

სტატისტიკა ამ შემთხვევაში დიდ სამსახურს ვერ გაგვიწევს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მსოფლიო თასამდე უსახურად მოთამაშე "ვოლაბიზმა" საუკეთესო ფორმას სწორედ პლანეტის უმთავრეს ტურნირზე მიაღწია. ამის დასტურად ზელანდიის მარცხიც გამოდგება. წლეულს "ოლ ბლექსმა" ორჯერ მოუგო ავსტრალიას, მაგრამ ნახევარფინალში სრულიად უსუსურად გამოიყურებოდა.

თანამემამულეთა მხარდასაჭერად თამაშამდე სამი საათით ადრე და შემდგომ ყოველ საათში ყველა ავსტრალიური რადიო ქვეყნის ჰიმნს შეასრულებს. დაუმატეთ ამას ავსტრალიური რაგბის პირველკაცის, ჯონ ო`ნილის მოწოდება, მთელი კვირა ყველა გულშემატკივარმა "ვოლაბიზის" ფორმით იარეთო და, მიხვდებით, თუ რაოდენ დიდი წნეხი იქნებიან ინგლისელები დღეს. "ეს უთუოდ დადებითად იმოქმედებს გუნდზე. ბიჭებმა უნდა იცოდნენ, რომ მათ მხარს უჭერს მთელი ავსტრალია. სხვაგვარად წარმატების მიღწევა შეუძლებელი იქნება", - განაცხადა ავსტრალიელთა თავკაცმა ედი ჯოუნზმა. თუმცა, ისიც დაამატა, რომ მარცხის შემთხვევაში გულშემატკივრებმა ბიჭები არ უნდა გაკიცხონ. "ხვალ მოიგებს ის, ვინც უკეთ ითამაშებს. თუ ჩვენ ყველაფერი ისე შევასრულეთ, როგორც დავგეგმეთ, დარწმუნებული ვარ, მოვიგებთ, თუ ასე ინგლისელებმა გააკეთეს, მაშინ ისინი მოიგებენ. ხვალ ფინალში ერთმანეთის პირისპირ მსოფლიოს ორი საუკეთესო გუნდი წარდგება. წაგებას არც ერთი არ იმსახურებს, თუმცა, ერთ-ერთი აუცილებლად დამარცხდება. ვინც არ უნდა იყოს ის, გაკიცხვას არ იმსახურებს. თანაბარძალოვან გუნდებში წინასწარ რაიმეს განჭვრეტა შეუძლებელია".

ამ მატჩისთვის ორივე გუნდში თითო ცვლილებაა. ინგლისის ძირითად შემადგენლობაში ტინდალი გამოჩნდება, ავსტრალიელთა შორის კი - ბაქსტერი. მართალია, ჯოუნზი ამბობს, წინასწარ რაიმეს პროგნოზირება შეუძლებელიაო, რაგბიზე მწერლები მაინც თავისას არ იშლიან.

ჟურნალისტების დიდი ნაწილი უპირატესობას ინგლისელებს ანიჭებს და ორივე გუნდის თითოეულ მოთამაშეს ათბალიანი სისტემით აფასებს. ამ მაჩვენებლით ევროპელებს აშკარა უპირატესობა აქვთ. თითქმის ყველა პოზიციაზე მათ მიიჩნევენ უკეთესად და მხოლოდ ორი ავსტრალიელი, კვაჭი ბრენდონ ქენონი და ნომერი 8, დევიდ ლაიონზი ჯაბნის თავის ვიზავის. რამდენად შეესაბამება სიმართლეს ამგვარი შეფასება, დღევანდელი მატჩი გვიჩვენებს.

## ნავსავსვი

ნინო I

## ახალშობილი ზინედინ ზიდანი განადან

ახალი წელი შემზარავად დაიწყო მიუნხენის "ბაიერნის" განელი მცველის, სამუელ კუფურისთვის. 2003 წლის 2 იანვრის ღამეს აკრაში მყოფი კუფური მხიარულად დაემშვიდობა მეუღლეს და ორ ქალიშვილს - რვა წლის გლორიას და წლინახევრის გოდივას და მზიური განადან თოვლიან მიუნხენში გაფრინდა. "ბაიერნის" მცველი კმაყოფილი და ბედნიერი იყო ოჯახთან გატარებული არდადეგების შემდეგ, გული ცუდს არაფერს უგრძნობდა, დამშვიდებული ბრუნდებოდა მიუნხენში, სადაც ჩვეულებრივი სამუშაო განრიგი ელოდა - ვარჯიში და მზადება ახალი სეზონისთვის. თვითმფრინავი მიუნხენში დილის ცხრა საათზე დაეშვა. მგზავრობით დაღლილი ფეხბურთელი შინ მისვლისთანავე დივანზე მიწვა და ჩაეძინა. ორი საათის შემდეგ ტელეფონმა გააღვიძა - აკრადან რეკავდნენ: კუფურმა შემზარავი ამბავი მოისმინა: მისი უმცროსი გოგონა აუზში ჩავარდა და დაიხრჩო... შოკი, ცრემლები, სასოწარკვეთილება. კუფური ისევ განაში მიემგზავრება, მთელი "ბაიერნი" დაზაფრულია. ყველა საკუთარ ოჯახზე ფიქრობს და წარმოსახვაში ამშვიდებს მეგობარს, რომელსაც აკრაში უმძიმესი წუთები ელის. კუფურის ტრაგედიას ყველაზე მტკივნეულად ბრაზილიელი ჯოვანი ელბერი განიცდის. ერთხელ მასაც შეემთხვა ასეთი რამ. მისი უფროსი გოგონა, კამილია, ორი წლის იყო, როცა აუზში ჩავარდა. ელბერი დროზე რომ არ გადამხტარიყო მის საშველად, გოგონა აუცილებლად დაიხრჩობოდა.

კუფური სამშობლოდან განადგურებული ბრუნდება. დამწუხრებულ მეგობარს ყველა მხარში უდგას, მთელი "ბაიერნი" მის გამხნევებას ცდილობს. ზამთრის სეზონის პირველსავე მატჩში განელი მცველი თავის პოზიციაზე დგას და "ბაიერნის" კარის უსაფრთხოებას იცავს. ის ნამდვილი პროფესიონალია და იცის, რომ მწუხარებას არ უნდა დანებდეს, რომ ფეხბურთი არ უნდა დაივიწყოს. ღრმად მორწმუნე კუფურს ამ მძიმე პერიოდში ძალიან ეხმარება ლოცვა და ეკლესიაში სიარული. მას სჯერა, რომ ღმერთი არ მიატოვებს. მის რწმენას მგლოვიარე დედაც გამოჰყავს აპათიიდან: გოდივას გარდაცვალებიდან სამი თვის შემდეგ კუფურის მეუღლე ფრანსისკა მიუნხენის ოლიმპიურ სტადიონზე მიდის და ცმრემლმორეული უყურებს მატჩს. მისი დანახვა ყველას უხარია. ული ჰიონესი, ოტმარ ჰიტცფელდი, ფრანც ბეკენბაუერი გულითადად ესალმებიან შავებში ჩაცმულ ქალს და იმედი ეძლევათ, რომ კუფურების ოჯახი ნელნელა ცხოვრების ნორმალურ რიტმს დაუბრუნდება. ასეც ხდება. სამუელი და ფრანსისკა აღარ ფიქრობენ წარსულზე, ოღონდ პარასკევი არ უყვართ: პატარა გოდივა ხომ სწორედ ამ დღეს დაიღუპა. "ტრაგედია 3 იანვარს მოხდა, პარასკევს. მე და ჩემს მეუღლეს გვეზიზღება ეს დღე. მას შემდეგ ყოველ პარასკევ დილით დამწუხრებულები ვიღვიძებთ და მთელი დღის განმავლობაში ვერ გამოვდივართ მდგომარეობიდან", - ამბობდა კუფური. ღმერთმა მას გოგონა წაართვა, მაგრამ ბიჭი უბოძა. აკრას ტრაგედიიდან თერთმეტი თვის შემდეგ კუფურმა პირველად იგრძნო თავი ბედნიერად. ბიჭუნა ღამით დაიბადა, პარასკევსა და შაბათს შორის. პარასკევის ფატალური ძალა ცოტათი განელდა.

ბიჭუნა 3 კილოს და 700 გრამს იწონის და 53 სანტიმეტრია. სამუელ "ოზი" ჯუნიორი საკეისრო კვეთის შედეგად მოევლინა ქვეყანას. კუფურმა თავად გადაჭრა ჭიპლარი, რითაც დიდად ამაყობს. "საოცარი ბავშვია, ძალიან ლამაზი. მის დაბადებამდე ღმერთს ვთხოვდი დახმარებას. ღმერთმა თავად იცის, რა უფრო უმჯობესია. ის თავად გვაძლევს და გვართმევს ყველაფერს", - ამბობს ბედნიერი მამა.

პატარა სამუელი განსაკუთრებული ბავშვია. მან თავის მწუხარე მშობლებს ბედნიერება უნდა დაუბრუნოს. გოდივას დაკარგვით გამოწვეული ტკივილი უნდა გაანელოს. ამ ამოცანას პატარამ უკვე წარმატებით გაართვა თავი. მისი ამქვეყნად მოვლინება "ბაიერნში" ზეიმით აღნიშნეს. ოტმარ ჰიტცფელდმა ბედნიერ მამას დასვენების უფლება მისცა. კუფური გამოტოვებს მატჩს "კაიზერსლაუტერნთან" და მთელ დროს ცოლ-შვილთან გაატარებს. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ თურმე პატარა სამუელი ცოტათი ზინედინ ზიდანს წააგავს: "ის რაღაცით ჰგავს ზინედინ ზიდანს, მაგრამ, რა თქმა უნდა, მამის მსგავსად მცველი იქნება", - აქედანვე ოცნებობს ახალშობილის საფეხბურთო კარიერაზე სამუელ კუფური. ვინ იცის, ოცი წლის შემდეგ იქნებ, მართლაც, ითამაშოს "ბაიერნის" დაცვაში სამუელ "ოზი" კუფურ-უმცროსმა.

# გაბრაზებული ქართველების მარში





## ათეულები

### კვირის ყველაზე შემოსავლიანი ფილმების ათეული ამერიკული კინო-თეატრების მიხედვით

| ფილმი/რეჟისორი | მსახიობი | შაბათ-კვირის შემოსავალი $-ში | საერთო შემოსავალი $-ში | წინა კვირის პოზიცია |
|---|---|---|---|---|
| "ელფი" ჯონ ფავრო | უილ ფერელი, ჯეიმს კაანი, ზუ დეშანელი | 26,325,613 | 70,354,526 | 2 |
| Master and Commander: The Far Side of the World პიტერ უიერი | რასელ ქროუ, პოლ ბეტანი, [illegible] | 25,105,990 | 25,105,990 | - |
| "მატრიცა: რევოლუციები" ენდი და ლარი ვაჩოვსკები | კეანუ რივზი, ლორენს ფიშბერნი, ჯადა პინკეტ-სმითი, მონიკა ბელუჩი | 16,413,384 | 114,268,949 | 1 |
| "ძმა დათვი" აარონ ბლეიზი | ხოაკინ ფენიქსი, ჯერემი სისტო | 12,056,067 | 63,057,769 | 3 |
| Looney Tunes: Back in Action ჯო დანტე | ბრენდან ფრეიზერი, სტივ მარტინი, ტიმოთი დალტონი | 9,317,371 | 9,317,371 | - |
| "სიყვარული, ეს სიყვარულია" რიჩარდ კერტისი | ჰიუ გრანტი, კოლინ ფერთი, ემა ტომპსონი, კეირა ნაიტლი, ლიამ ნისონი | 8,698,030 | 18,861,700 | 6 |
| "საშიში კინო-3" დეივიდ ცუკერი | პამელა ანდერსონი, ჩარლი შინი, [illegible] | 6,105,246 | 102,339,254 | 4 |
| "რადიო" მაიკ ტოლინი | კუბა გუდინგი უმცროსი, ედ ჰარისი | 4,808,366 | 43,516,338 | 5 |
| "თუ პაკი: აღდგომა" ლორენ ლეიზინი | თუ პაკი | 4,632,847 | 4,632,847 | - |
| "მისტიკური მდინარე" კლინტ ისტვუდი | შონ პენი, ტიმ რობინსი, კევინ ბეკონი, ლორენს ფიშბერნი | 3,244,465 | 46,568,765 | 8 |



### საუკეთესო ალბომების ათეული ჟურნალ "ბილბორდის" მიხედვით

| შემსრულებელი | ალბომის სათაური | წინა კვირის პოზიცია |
|---|---|---|
| 1. ჯეი-ზი | The Black Album | - |
| 2. თუ პაკი | Tupac Resurrection (ფილმის თანმხლები ალბომი) | - |
| 3. ჯი-იუნიტი | Beg For Mercy | - |
| 4. ჯოშ გრობანი | Closer | - |
| 5. ტობი კეითი | Shock'n Y'all | 1 |
| 6. სხვადასხვა შემსრულებელი | Now That's What I Call Music! | 3 |
| 7. სარა მაკლაჰლანი McLachlan | Afterglow | 2 |
| 8. კიდ როკი | Kid Rock | - |
| 9. პინკი | Try This | - |
| 10. შერილ ქროუ | The Very Best of Sheryl Crow | 4 |

### კვირის ბესტსელერები მაღაზია "პარნასის" მონაცემებით

| წიგნი | ავტორი | გამომცემლობა | გაყიდული წიგნების რაოდენობა |
|---|---|---|---|
| "გალაკტიონის ეპიგრამები" | ინესა მერაბიშვილი | "საქართველოს [illegible] გამომცემლობა" | 16 |
| "ბოდიში" | ოთარ ჭილაძე | "რეკლამა 2 პრინტი" | 5 |
| უბის წიგნაკი | გალაკტიონ ტაბიძე | "ლიტერატურის მატიანე" | 5 |
| "სამოსელი პირველი" | გურამ დოჩანაშვილი | [illegible] | 4 |
| "გიორგი ბრწყინვალე" | ჭაბუა ამირეჯიბი | "ბაკმი" | 4 |
| "შენი თავგადასავალი" | აკა მორჩილაძე | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 3 |
| "[illegible] ქუჩის ძაღლები" | აკა მორჩილაძე | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 3 |
| "კონსპექტი ახალგაზრდა ჟურნალისტებისთვის" | გულა ებანოიძე | [illegible] | 3 |
| [illegible] | რევაზ ინანიშვილი | "ნაკადული" | 3 |
| საღმრთო ისტორია | იაკობ გოგებაშვილი | "ბაკმი" | 3 |

# ფოტოს გადაღება მხოლოდ ღილაკზე თითის დაჭერა არ არის

"ქოლგა" საერთაშორისო კონკურსის პერსპექტივით

ნანა ბასილაშვილი

*"ქოლგა" ძალიან მნიშვნელოვანი კონკურსია – ალბათ, უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე პროფესიონალთა კონკურსი შეიძლება იყოს. მოყვარულების ნამუშევრების ამორჩევა და შემდეგ გარკვეული პრინციპების განსაზღვრა უფრო საინტერესოა, ვიდრე პროფესიონალებისა. აქ შეიძლება გაცილებით ახალი ტენდენციები წამოვიდეს. ამდენად, მოყვარულთა ფოტოკონკურსი უფრო მნიშვნელოვნად მეჩვენება, ვიდრე პროფესიონალთა კონკურსის არსებობა. თუკი ასეთი კონკურსები ყოველწლიური იქნება, შესაძლოა, ძალზედ მნიშვნელოვანი სიახლეები გამოვლინდეს, რომლებიც მიწისქვეშა წყლებივითაა დამალული", - ფოტოხელოვანი გურამ წიბახაშვილი წელს მოყვარულ ფოტოგრაფთა კონკურს "ქოლგაზე" წარმოდგენილი ნამუშევრების ერთ-ერთი შემფასებელია. კონკურსის ორგანიზატორები არიან - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირის წევრები ბესო ხაინდრავა, ლევან ჯაფარიძე.*

მოყვარულ ფოტოგრაფთა კონკურსი, შეიძლება ითქვას, ტრადიციად მკვიდრდება. წელს "ქოლგა" უკვე მესამედ და უფრო მასშტაბურად გაიმართება. გაფართოებაში კონკურსის ორგანიზატორი ბესო ხაინდრავა მიღებული ფოტო-ნამუშევრების რაოდენობასაც გულისხმობს და გამარჯვებული ფოტოებისაც: "თუკი შარშან 55 საუკეთესო ფოტო ავირჩიეთ, წელს 150 ნამუშევარი გამოეფინება. ამასთან "ქოლგას" ახლა უკვე სამი გალერეა უმასპინძლებს. რაც შეეხება კონკურსის კომპეტენტურ ჟიურის, მათ წელს კიდევ ერთი პროფესიონალი შეუერთდა - ფოტოხელოვანი გურამ წიბახაშვილი".

აქვე ჟიურის სხვა წევრებზეც მოგახსენებთ. ფოტომოყვარულთა ნამუშევრებს რეჟისორი მიშა მრევლიშვილი, კინოოპერატორი დათო ჩიხლაძე, მხატვარ-დიზაინერი თეა თელია, ოპერატორი და ფოტოგრაფი გიკა ჭელიძე და კინოოპერატორი და ფოტოგრაფი დათო ცხადაძე შეაფასებენ.

"ქოლგას" დაარსებისთანავე საორგანიზაციო ჯგუფს ასი ფოტომოყვარული გამოეხმაურა. წელს კონკურსში 1500 ნამუშევარია წარმოდგენილი. ასე რომ, წინა წლებთან შედარებით, ახალგაზრდებში ფოტოგრაფიით დაინტერესება საგრძნობლად გაიზარდა. შესაძლოა, ამას ხელი იმანაც შეუწყო, რომ წინა კონკურსის მონაწილე ფოტოები პერიოდულად სხვადასხვა გალერეაში, კლუბსა და ორგანიზაციაში იფინება (კლუბი "ყაზბეგი", თი-ბი-სი ბანკი), იბეჭდება სხვადასხვა ჟურნალში, მათი ხილვა "ქოლგის" ვებ-გვერდზეც შეგიძლიათ. კონკურსში წარმოდგენილი ყველა ფოტო "ქოლგის" არქივში - CD ალბომში ინახება.

კონკურსში მონაწილეთათვის პირობები უცვლელი რჩება: მათ მიერ წარმოდგენილი ნამუშევრები კომპოზიციის, განათების, შინაარსისა და ფერის მიხედვით შეირჩა. კონკურსანტები რომ არ შეზღუდულიყვნენ, კონკურსის გამოცხადების დროს თემა თავისუფალი იყო, ნომინაციებს ჟიური მუშაობის პროცესში განსაზღვრავს.

"ქოლგა" საზოგადოებისთვის მიუწვდომელი ფოტოების მაქსიმალურ პოპულარიზაციას ისახავს მიზანს; ასევე, კონკურსი დამწყები, თუ არაპროფესიონალი ფოტომოყვარულებისთვის ერთგვარი სტიმულია. "ბევრი ძალიან კარგი ფოტო მინახავს მათი ავტორების მაგიდის უჯრასა თუ სახლის კედელზე, რომელთა ხილვის საშუალება ერთეულებს ეძლევათ. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, ალბათ, კარგი იქნება, თუკი მათ საზოგადოებაც იხილავს და შეაფასებს, ანუ მოხდება მათი რეკლამირება. ამავე დროს, გავაღვივებთ საზოგადოების ინტერესს ფოტოხელოვნების სფეროში. კონკურსის მიზანია, მიმართულება მივცეთ მოყვარულებს. ეს კონკურსი საუკეთესო საშულებაა იმისათვის, რომ მათ ფიქრის საშუალება მიეცეთ. ფოტოს გადაღება მხოლოდ ღილაკზე თითის დაჭერა არ არის", - ამბობს ბესო ხაინდრავა.







*წინა კონკურსზე გამარჯვებული ფოტოები*

წლევანდელ კონკურსზე წარმოდგენილი ნამუშევრებით ორგანიზატორები კმაყოფილები არიან, - "იმედი გვაქვს, რომ ნამუშევრები შეგროვდება და საბოლოოდ საინტერესო ექსპოზიცია გამოვა". თუმცა, მათივე თქმით, შიგადაშიგ ერთფეროვანი ფოტოებიც იყო.

"აქტივობა შარშანდელთან შედარებით ორჯერ უფრო დიდია. მოვიდა ძალიან ბევრი საინტერესო ფოტო, იყო ბევრი კიჩი. თავიდან არჩევა საკმაოდ რთული იყო, საქმეს რაოდენობა ართულებდა, ნელ-ნელა გამოიკვეთნენ პრეტენდენტებიც, რა თქმა უნდა, არის ახალი სახელებიც, მაგრამ ამავე დროს არიან შარშანდელი და შარშანწინდელი კონკურსანტებიც, რაც, თავისთავად, ძალიან კარგია, რადგან ეს ხალხი აგრძელებს მუშაობას და ნელ-ნელა კიდევ და კიდევ იხვეწებიან. კონკურსანტები, ძირითადად, ახალგაზრდები არიან. არის აქტუალურ თემაზე გადაღებული სურათებიც. ვფიქრობ, რომ წელს უკეთესი გამოფენა იქნება, ვიდრე შარშან. სამომავლოდ კი "ქოლგა," შესაძლოა, საერთაშორისო კონკურსად იქცეს", - ჟიურის მუშაობის შესახებ გვესაუბრა დათო ცხადაძე.

კონკურსის მეორე ტური დასრულდა. თუმცა, ჟიური, გამარჯვებულთა სახელებს, რასაკვირველია, წინასწარ არ ახმოვანებს. ჩვენთვის ცნობილია, თუ რა ნომინაციების მიხედვით დაჯილდოვდებიან ისინი: საუკეთესო სერია, რეპორტაჟი, საუკეთესო პეიზაჟი, არქიტექტურული პეიზაჟი, ჟანრული სურათი და გრან-პრი, რომელიც ერთ-ერთ ჟანრს მიეკუთვნება.

ფოტოკონკურსის 150 საუკეთესო ფოტო 22 დეკემბერს ერთდროულად სამ გალერეაში ("უნივერსი", TMS, N გალერეა) გამოიფინება. საზეიმო დახურვა 27 დეკემბერს, წინა წლებთან შედარებით, გაცილებით პომპეზური იქნება. კინოთეატრ "ამირანის" დიდ ეკრანზე წარმოდგენილი იქნება კომპაქტ-დისკის ჩვენება, სადაც შევა კონკურსში მონაწილე ყველა ნამუშევარი. გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან "თი-ბი-სი ბანკის" მიერ დაწესებული ფულადი პრიზებით; აგრეთვე, პირველ ტურში გასული 150 კონკურსანტი დასაჩუქრდება "ქოლგის" კომპაქტ-დისკებით, აქსესუარებითა და სხვადასხვა სახის პრიზებით.

"ვიმედოვნებთ, "ქოლგა", თბილისის კულტურულ ცხოვრებაში საინტერესო მოვლენა იქნება, მით უმეტეს, წინასაახალწლო განწყობის ფონზე", - ორგანიზატორებს ერთი რამ აღელვებთ, კერძოდ ის, რომ "ქოლგის" რეკლამირება ასეთი არეულობის პერიოდს დაემთხვა, მაგრამ კონკურსისთვის მზადება, მათი თქმით, გაცილებით ადრე დაიწყო და მისი შეწყვეტა აღარ გამოდიოდა. "ყველას ბოდიშს ვუხდით, თუმცა ამ გამოფენა-კონკურსით, შესაძლოა, რაღაც დადებითი მუხტი მაინც შემოვიტანოთ".

# ინვერსიული ტექნოლოგიები ხელოვნებაში

ვიდეოგამოფენა კონცეპტუალისტებისთვის

ვერა ნეფარიძე

*დღეს "ქარვასლა" მორიგ კონცეპტუალურ გამოფენას შესთავაზებს დამთვალიერებელს. თბილისში ინვერსიული ტექნოლოგიების ნამუშევრების ვიდეოჩვენებას "მედია-არტ ფერმასთან" ერთად ბრიტანეთის საბჭოც ორგანიზატორობს. ორიგინალურ ექსპონატებს მისი თანაავტორი, ინვერსიული ტექნოლოგიების ბიუროს ვიდეოინჟინერი ქეით რიჩი წარმოადგენს.*

სტენფორდის უნივერსიტეტი, ლონდონის "ტეიტ მოდერნი", ჰამბურგის, სიდნეის, ამსტერდამის, სიეტლის, ბერლინისა თუ ბარსელონას ცნობილი მუზეუმები, გალერეები და სამეცნიერო ცენტრები, - ასეთია იმ დარბაზების არასრული ჩამონათვალი, სადაც სხვადასხვა დროს ინვერსიული ტექნოლოგიების ბიუროს პროექტები განხორციელებულა. რამდენად მოხიბლავს და დააინტერესებს ექსპოზიცია თბილისის ისტორიის მუზეუმის სტუმრებს, ამის განსაზღვრა წინასწარ რთულია. გამოფენა გალერეაში ოთხ დეკემბრამდე გაგრძელდება და, ალბათ, ეს დრო საკმარისი იქნება კონცეპტუალური ხელოვნების ქომაგებისთვის, ეზიარონ ინვერსიულ ტექნოლოგიებს. გამოფენის პარალელურად, ქეით რიჩი, ინვერსიული ტექნოლოგიების ბიუროს ვიდეოინჟინერი და გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრების თანაავტორი, ქართველი სტუდენტებისა და მხატვრებისთვის სემინარებს გამართავს.



*რადიომოწყობილობა*

ინვერსიული ტექნოლოგიების ბიურო მხატვართა საერთაშორისო ჯგუფია, რომელიც კრიტიკულ სიტუაციებში ქმნის მონაცემთა მოძიების ალტერნატიულ, არასტანდარტულ ტექნოლოგიებს. ბიუროს პროექტები ხშირად აჩვენებს ფართო საზოგადოებას დიდი კორპორაციებისა და სახელმწიფო სტრუქტურების მონაცემთა შეგროვების მეთოდებს. თბილისურ გამოფენაზე ნაჩვენები იქნება ბიუროს ისეთი ცნობილი პროექტები, როგორებიცაა "თვითმფრინავი", "თვითმკვლელობის ყუთი", "ანტიტერორი" და "რადიო". ამ ნამუშევრებმა, სხვადასხვა მიზეზის გამო, განსაკუთრებული ყურადღება მიიქციეს. მაგალითად, "თვითმფრინავმა", რომელსაც შეუძლია ვიდეოგადაღება, 1997 წელს შეუმჩნევლად გადაუფრინა საინფორმაციო ტექნოლოგიების ეპიცენტრს, სილიკონის ველს კალიფორნიაში. შესაბამისად, პირველად მოხერხდა ისეთი აკრძალული კორპორაციული ტერიტორიების ვიდეოგადაღება, როგორებიცაა Apple; Lockheed; Nasa Ames; Netscape; Xerox Parc; Interval Research; Atari; Hewlett Packard; Oracle; Yahoo; SGI და Sun Microsystems-ის სათავო ოფისები. "თვითმკვლელობის ყუთის" საშუალებით კი საზოგადოებამ პირველად დააფიქსირა ზუსტი მონაცემები თვითმკვლელობის შესახებ. "თვითმკვლელობის ყუთი" ფარულ კამერათა ისეთი სისტემაა, რომელიც ნებისმიერ ვერტიკალურ მოძრაობას ვიდეოფირზე აფიქსირებს. 1996 წელს ინვერსიული ტექნოლოგიების ბიურომ დაამონტაჟა "თვითმკვლელობის ყუთი" სან ფრანცისკოს "გოლდენ გეითის" ხიდზე. საწყის ეტაპზე, აპარატმა 100-დღიანი პერიოდის განმავლობაში 17 თვითმკვლელობის მცდელობა გადაიღო (როგორც ცნობილია, სან ფრანცისკო არის სილიკონის ველის კარიბჭე და წარმოადგენს ამერიკის როგორც ინფორმაციული ტექნოლოგიების ცენტრს, აგრეთვე - თვითმკვლელობების დედაქალაქს).

ინვერსიული ტექნოლოგიების ბიუროს კიდევ ერთი მოწყობილობა - "რადიო" ადგილობრივი FM ტალღების შესაფერხებლად "მუშაობს". "რადიო" გადასცემს მოკლე აუდიო "შეტყობინებებს" იმისათვის, რომ საზოგადოებას სწრაფად მიაწოდოს ახალი ამბები. შეტყობინებების გადაცემა შეიძლება ნებისმიერ ადგილობრივ FM რადიო ტალღაზე. შეტყობინების ხანგრძლივობა 1-დან 10 წამამდეა, რის შემდეგაც გრძელდება ჩვეულებრივი რადიომაუწყებლობა. რაც შეეხება ვიდეოგამოფენის დანარჩენ ნიმუშებს, მათ შესახებ დაწვრილებით "ქარვასლაში" ხვალიდან ისაუბრებენ.

## შოუბიზნესი

### ლენონის ავტოგრაფიანი ჩანაწერები 445 ათას დოლარად



18 ნოემბერს "კრისტის" აუქციონზე გაიყიდა სიმღერა Nowhere Man-ის ხელნაწერი ჯონ ლენონის ავტოგრაფით. ფურცელში, რომელზეც ლივერპულელი ოთხეულის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სიმღერა ეწერა, მყიდველმა 455 ათასი ამერიკული დოლარი გადაიხადა. აუქციონის სახლის მესვეურებმა აღნიშნეს, რომ თანხამ თითქმის ოთხჯერ გადააჭარბა მათ სავარაუდო საფასურს. ამჟამად კი ისინი ფიქრობენ, თუ რამდენად შეიძლება გაიყიდოს მეოცე საუკუნის მასკულტურის რელიქვია – "ოსკარის" პატარა ქანდაკება. მისი განსაკუთრებული ღირსებაა, რომ სტატუეტი თავის დროზე მაიკლ კერტისს გადაეცა ფილმისთვის "კასაბლანკა", რის შემდეგაც მოხვდა დევიდ კოპერფილდის ხელში, რომელმაც ჯილდო მსახიობისგან შეიძინა. ამჟამად ექსპერტები "ოსკარს" 200-300 ათას ამერიკულ დოლარად აფასებენ.

### "ოქროს გლობუსი" მაიკლ დუგლასს



სესილია დე მილის სახელობის პრემიას კინოხელოვნებაში გაწეული ღვაწლისთვის კერკ დუგლასის დაჯილდოებიდან ოცდაათი წლის შემდეგ, მის შვილს, ჰოლივუდის ცნობილ მსახიობს მაიკლ დუგლას გადასცემენ. ამ პრემიის ისტორიაში პირველად დაჯილდოვდება მსახიობთა დინასტიის ახალი თაობის წარმომადგენელი. დე მილის პრემია, რომელიც ცნობილი პროდიუსერისა და რეჟისორის სახელს ატარებს, მსახიობს 25 იანვარს "ბევერლი ჰილტონში" დაგეგმილ საზეიმო ცერემონიალზე გადაეცემა.

სხვადასხვა დროს ამ პრემიის ლაურეატები გახდნენ: ჯინ ჰეკმანი, ჰარისონ ფორდი, ალ პაჩინო, დასტინ ჰოფმანი, ჯეკ ნიკოლსონი, შონ კონერი, სოფი ლორენი და შირლი მაკლეინი.

### სცენიდან საავადმყოფოში



ამერიკელი მომღერალი მიტ ლოფი ლონდონში გამართული კონცერტის დროს სცენაზე დაეცა, რის შემდეგაც იგი საავადმყოფოში გადაიყვანეს. მუსიკოსი ორშაბათს 11 ათასიანი აუდიტორიისთვის კონცერტს მართავდა უემბლის სტადიონზე, როდესაც სცენაზე გამოსვლიდან ნახევარი საათის შემდეგ გონება დაკარგა. ლონდონში გადაიდო მეორე დღეს დაგეგმილი კონცერტიც. ექიმებმა კი შემთხვევის მიზეზად 57 წლის მუსიკოსის გადაღლილობა დაასახელეს. ვარაუდობენ, რომ მიტ ლოფის ახლანდელი მსოფლიო ტურნე უკანასკნელი იქნება მის შემოქმედებაში.

# ფანჯარა ძალადობის სამყაროში

## ჯონ კენედის მკვლელობის 40 წლისთავთან დაკავშირებით

მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ

ყოველთვის, როდესაც დალასში ჩავდივარ, როგორც დამნაშავეს, დანაშაულის ადგილისკენ მიმიწევს გული. დალას-პლაცაზე გავდივარ, ტეხასის სასკოლო სახელმძღვანელოების შენობაში შევდივარ, მეექვსე სართულზე ავდივარ, რომელიც პოლიტიკური მკვლელობების მუზეუმადაა გადაქცეული, სისხლის გამყინავ რამდენიმე ექსპონატს გვერდს ჩავუვლი და იმ ფანჯარასთან მივდივარ, საიდანაც ლი ჰარვი ოსვალდმა პრეზიდენტ კენედის 1963 წლის 22 ნოემბერს ესროლა. ქვემოთ, წყნარი ცხოვრება, მიმავალი ავტომობილები და ფეხით მოსიარულეები ჩანან. თუმცა, ჩემს თვალწინ სრულიად სხვა სურათი ცოცხლდება. ეს ოსვალდის შაშხანის ოპტიკური მიზნიდან დანახული სანახაობაა...

შენობიდან გამოსვლისას და დამნაშავის ადგილმდებარეობიდან სივრცეში გაუჩინარებისას, სადაც მისი მსხვერპლი მოძრაობდა, უსიამოვნო სიცივეს ვგრძნობ კეფის არეში. მსურს უჩინარი გავხდე, უჩინმაჩინს დავემსგავსო, მიწაში ჩავძვრე ანდა დალას-პლაცას ასფალტში ჩავყო თავი. თავს მხრებში ვღუნავ, კუზიანს ვემსგავსები და აქეთ-იქით ფრთხილად მიმოვიხედავ სასიკვდილო გასროლის მოლოდინში. საღამოს კი საშინელი შაკიკი შემაწუხებს...

1963 წლის 20 ნოემბერს, ოთხშაბათს, ნაშუადღევს, პრეზიდენტმა კენედიმ აუზში ბანაობა გადაწყვიტა. სქელ საბანაო ხალათში, შიშველ ფეხზე ამოცმულ სახლის ჩუსტებში, 46 წლის პრეზიდენტი აუზისკენ გაემართა თავისი უახლოესი ხელქვეითების თანხლებით, რომლებიც ეგრეთწოდებული "ირლანდიური მაფიის" წევრები - კენეტ ო`ნილი და დევიდ პაუერსი იყვნენ. მთელ ამ კამპანიას, გადაწყვეტილი სასიამოვნოს, სასარგებლოსთვის შეთავსების სურვილი ჰქონდათ. მათ აუზში გაცურვა და ტეხასში, უახლოესი ვიზიტის დეტალების განხილვაც სურდათ. ულტრაკონსერვატორები, რომლებიც დალასში იკრიბებოდნენ, საომრად იყვნენ განწყობილები. ქალაქში კენედის ფოტოები შემდეგი წარწერით – "იძებნება ღალატისთვის" ვრცელდებოდა. საიდუმლო სამსახური ვიზიტის კატეგორიული წინააღმდეგი იყო. არკანზასელი სენატორი ფულბრაიტი, პრეზიდენტს აფრთხილებდა, რომ დალასი სახიფათო ადგილი იყო და უკეთესი იქნებოდა იქ არ გამგზავრებულიყო. სიტყვის ტექსტში, რომელიც პრეზიდენტის ტეხასური ვიზიტის დასასრულს ვიცე-პრეზიდენტ და ამავე დროს, ტეხასელ ჯონსონს უნდა ეთქვა, ამგვარი სიტყვები ეწერა: "მადლობა ღმერთს, ბატონო პრეზიდენტო, რომ საღსალამათი დაბრუნდით დალასიდან!" იუმორიც ამას ჰქვია!

ნათქვამია, ჰოპლას მანამდე ნუ დაიძახებ, სანამ არ გადახტებიო...

ცუდი წინათგრძნობა პრეზიდენტსაც ჰქონდა. ვიზიტის დაწყებამდე რამდენიმე კვირით ადრე, მისმა მეგობარმა პოლ ფეიმ სამოყვარულო ფილმისთვის სცენარი დაწერა, რომელშიც კენედის, ჟაკლინს და მათ უახლოეს მეგობრებს უნდა მიეღოთ მონაწილეობა. პრეზიდენტმა თავისთვის იმ პერსონაჟის როლი ამოირჩია, რომელიც ტერაქტის მსხვერპლი ხდებოდა...

გონივრული რჩევების და "ბედის ნიშნების" მიუხედავად, პრეზიდენტს მაინც ვერაფერი მოუხერხეს. ტეხასში ვიზიტს მას, რასაკვირველია, პოლიტიკური აუცილებლობა აიძულებდა. ხსენებულ შტატში გამარჯვების გარეშე, ხელახალი არჩევნები პრეზიდენტისთვის პრობლემატური იქნებოდა. თუმცა, ყველაზე მთავარი პრეზიდენტის ხასიათი გახლდათ."დალასში გამგზავრება ჯეკს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი. კენედები სხვა ტიპის ხალხია"... ამბობდა მისი მეგობარი ჯოი ტანი, კრივში მსოფლიო ჩემპიონის ჯინ ტანის ვაჟიშვილი.

მაშინ, როდესაც კენედი და მისი "ირლანდიელი მაფიოზები" აუზისკენ მიემართებოდნენ, ო`დონელმა კვლავ წამოჭრა უსაფრთხოების თემა.

- "ბატონო პრეზიდენტო, საიდუმლო სერვისი თქვენი თავლია მანქანით მგზავრობის წინააღმდეგია", - დიპლომატიურად დაიწყო კენედის მსახურთუხუცესმა.

კენედის ურთიერთობა დაცვასთან ორგვარი გახლდათ. პრეზიდენტი, ერთი მხრივ, შებორკილად გრძნობდა თავს და მეორე მხრივ, ალტაცებული იყო მათი სიმამაცით. სიმამაცე და არა სიფრთხილე დომინირებდა კენედის ხასიათში და ეს რასაკვირველია მისი დაცვის ზოგიერთ წევრსაც გადაეცემოდა, რომლებიც ბავშვებივით აღმერთებდნენ თავიანთ პრეზიდენტს.

"კენი, - უთხრა პრეზიდენტმა თავის მსახურთუხუცესს, - თუ კარგი ამინდი იქნება, ჩვენ ღია მანქანით გავემგზავრებით. და კიდევ, თუ შეიძლება, საიდუმლო სერვისის აგენტები ლიმუზინის გვერდით ნუ განლაგდებიან, მოტოციკლზე შემართულმა პოლიციელებმაც გარკვეული დისტანცია დაიცვან. მინდა ტეხასელმა დედაკაცებმა თვალნათლივ დაინახონ როგორი ჯეკი მყავს".

თუმცა, ის, რაც შემდგომში მოხდა, პრეზიდენტის სიტყვებს ნამდვილად არ შეესაბამებოდა. პრეზიდენტის გარდა, აუზით სარგებლობა მის ძმებს – რობერტს, ტედს და ზემოხსენებულ "ირლანდიული მაფიის" წევრებს შეეძლოთ. აუზი აუდიო სისტემით იყო აღჭურვილი, რომელიც მოცურავეებს "მუსიკალურ თანხლებას" უწევდა, ამ ტერიტორიისთვის არც ალკოჰოლური სასმელები იყო უცხო. აუზის კედლებს მხატვარ ლამოტის მოზაიკა – "მზის ჩასვლა ვირჯინიის კუნძულებზე" ამშვენებდა. დეივ პაუერსმა ტანვარჯიშის დარბაზის და აუზის გამყოფი კარი გამოაღო და იქიდან ორი ახალგაზრდა ქალბატონი შემოვიდა. საიდუმლო სამსახურის აგენტები მათ ფიდლს და ფადლს ეძახდნენ. ერთი მათგანი პრეზიდენტის პირად მდივანთან – ევლინ ლინკოლნთან მუშაობდა, მეორე – მისი პრეს-მდივნის – პიერ სელინჯერის თანამშრომელი იყო. ფიდლი და ფადლი პრეზიდენტს ყველა მოგზაურობაში თან ახლდნენ, ამავდროულად მის განკარგულებაში დღისა და ღამის ნებისმიერ დროს იყვნენ. კოქტეილით გამხნევებული პრეზიდენტი, "მაფიოზები" და ორი "ფ", საცურაოდ გაემართნენ. როგორც ისტორიკოსი ედვარდ კლაინი წერს, პრეზიდენტმა ხალათი გაიძრო, თავისი შიშველი სხეული გამოაჩინა და მკაცრი ტონით, ფიდლს და ფადლს იგივეს გაკეთება უბრძანა. ესეც კენედის "მაჩო-იმიჯის" შემადგენელი ნაწილი იყო. მისი კაბინეტის მდივნის - ფრედ დატონის სიტყვებით, - "ის ღმერთივით იყო, ნებისმიერ ქალს, ნებისმიერ დროს ისურვებდა და მიიღებდა კიდეც"... მართალია მათ სახელებს პრეზიდენტი ვერც კი იმახსოვრებდა, საჭიროების შემთხვევაში "ლამაზმანი" სრულიად შესაფერი სიტყვა იყო. ერთ-ერთი ამგვარი "ლამაზმანის" სიტყვებით რომ ვთქვათ, პრეზიდენტი ამგვარად მიმართავდა ქალებს: "მხოლოდ ხუთი წუთი მაქვს, კედელთან სინიორა!"...

21 ნოემბერს, კენედი თავის მეუღლესთან ერთად სან-ანტონიოში ჩაფრინდა. მათი გზა, აქედან ჰიუსტონისკენ მიემართებოდა, ხოლო შემდეგ, ფორდ-ვორტში. იქ პრეზიდენტმა და პირველმა ლედიმ ღამე გაათენეს. სანამ პრეზიდენტს და მის მეუღლეს სასტუმრო "ტეხასში" ღრმად ეძინათ, გაზეთ "დალას მორნინგის" 22 ნოემბრის ნომერში უკვე იბეჭდებოდა სამგლოვიარო ლენტით შემოვლებული, ფასიანი სარეკლემო ტექსტი, რომელიც კენედის საწინააღმდეგო წერილს წარმოადგენდა...

ზუსტად ამავე დროს, პრეზიდენტის საიდუმლო სამსახურის აგენტები ქალაქის პრეს-კლუბში დროს ატარებდნენ, რამდენიმე ჭიქის დალევის შემდეგ, მათ სხვა კლუბში – ბიტნიკების ბუნაგში (ამ ადგილას მათ საერთოდ არაფერი ესაქმებოდათ) გადაინაცვლეს. ზოგიერთი მათგანი იქ დილის სამ საათამდე გაჩერდა, ზოგმა დროსტარება უფრო გვიანობამდე გააძელა. შემდგომში აგენტები თავდაჯერებულად ამტკიცებდნენ, რომ იმ ღამეს არც ბევრი დაულევიათ და არც მარიხუანას და სხვა ნარკოტიკს გაკარებიან.

მოკლედ, იმ საბედისწერო დღეს პრეზიდენტს იცავდნენ გამოუძინებელი და ნაბახუსევი აგენტები და ეს ფაქტი ნორმალურად იქნა მიჩნეული. უნდა ითქვას, რომ პრეზიდენტთან მომუშავე საიდუმლო სამსახურის აგენტები არა მარტო აღმერთებდნენ მას, არამედ ცდილობდნენ მიებაძათ უსაზღვრო გულადობაში, რაც მათი პროფესიისთვის აშკარად გაუმართლებელი იყო.

მათი მოსამზადებელი სამუშაო ტეხასში ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა. მათ თვით პრეზიდენტის კორტეჟის მარშრუტის გასწვრივ მდგომი შენობებიც კი არ შეუმოწმებიათ. როცა ჟაკლინმა თავის ეჭვები გაუზიარა, კენედი, ნაცვლად იმისა, რომ დაემშვიდებინა, დაეთანხმა. "ჩვენ გადარეულ შტატში ვმოგზაურობთ. აქ ყოველი ღამე აძლევს ადამიანს იმის საშუალებას, რომ პრეზიდენტს ესროლოს. ამისთვის პორტფელში რევოლვერის ქონაა საკმარისი," თქვა მან. ამ სიტყვებით მან მარჯვენა ხელის ორი თითი პისტოლეტივით მომართა, ვითომ ისროდა. ხანმოკლე პაუზის შემდეგ მან თქვა: "პრეზიდენტის მოკვლის შემდეგ კი მკვლელს შეუძლია მშვიდად ჩააგდოს პისტოლეტი პორტფელში და ბრბოში გაუჩინარდეს".

სწორედ ასე მოიქცა ლი ჰარვი ოსვალდი...

ეს სამხრეთის ღამის საფარველქვეშ არ მომხდარა, არამედ დღისით, მზით გაჩახჩახებულ დალასის ქუჩაში. თითქოს ამინდიც შეთქმული იყო. 22 ნოემბრის დილას ქალაქის თავზე ჩამოწოლილი ღრუბლები გაიფანტა, მზემ გამოანათა და ამიტომ პრეზიდენტმა განკარგულება გასცა, ღია მანქანით განეგრძოთ გზა. ტეხასელ დედაკაცებს იმის საშუალება მიეცათ, რომ პრეზიდენტის მშვენიერი პირველი ლედი დაენახათ, შეეფასებინათ, "რა ლამაზი გოგოა"...

პრეზიდენტის კორტეჟი ხალხით სავსე "სიძულვილის დედაქალაქის" ქუჩებში ნელა იკვლევდა გზას. ჯონ და ჟაკლინ კენედი პირველი მანქანის უკანა სავარძელში ისხდნენ. მათ პირისპირ, დასაკეც სკამებზე, ტეხასის შტატის გუბერნატორი ჯონ კონელი და მისი მეუღლე ნელი მოთავსდნენ. კენედი, როგორც ყოველთვის, უქუდოდ იყო. გუბერნატორს უზარმაზარი კოვბოის ქუდი ამშვენებდა, რომელსაც ტევადობის გამო "შვიდ გალონს" უწოდებენ ხოლმე. ჟაკლინს "კოკო შანელის" კოსტუმი ეცვა, გუბერნატორის მეუღლეს – "ნიმან მარკუსის" ვარდისფერი სამოსი. პირველ ლედის ხელში წითელი ვარდების თაიგული ეჭირა, გუბერნატორის მეუღლეს – ყვითელი ვარდების, ტეხასის სიმბოლოს თაიგული. რამდენიმე წუთის შემდეგ ისიც გაწითლდა.

მიუხედავად იმისა, რომ მტრული დახვედრას ელოდნენ, ბრბო კეთილგანწყობილი იყო.

- ბატონო პრეზიდენტო, თქვენ ვერ შეძლებთ იმის უარყოფას, რომ დალასს უყვარხართ, - უთხრა მას ნელი კონელიმ.

ეს უკანასკნელი სიტყვები იყო, რომლებიც ცოცხალმა კენედიმ გაიგონა...

თავის ახლახანს გამოსულ წიგნში "სიყვარულის მდელოდან" (From Love Field) 84 წლის ქალბატონი კონელი იმ ტრაგიკული დღის შესახებ წერს: "ყველანი ორმოცს გადაცილებულნი ვიყავით. ჩვენ არ მიგვაჩნდა, რომ მსოფლიოსი რამე გვმართებს. ჩვენ გვეგონა, რომ მსოფლიო ჩვენ გვეკუთვნის, და მზად ვიყავით მის დასაპყრობად". კენედისაც უყვარდა შექსპირის რიჩარდის სიტყვების ციტირება: "მსოფლიო ნიჟარაა, და მე მას ჩემი მახვილით გავხსნი"...

თვითმფრინავი, რომლითაც პრეზიდენტი და გუბერნატორი მეუღლეებთან ერთად ფორტ ვორტსიდან მოფრინავდნენ, დალასის აეროპორტში, "სიყვარულის ველში" დაეშვა. ქალბატონებს სწორედ იქ მიართვეს თაიგულები. აეროპორტიდან მსვლელობა დალასის ცენტრისკენ დაიძრა. ბრბოს ექსტაზური მისალმების პასუხად პრეზიდენტი კმაყოფილი იღიმებოდა. "თავის მშვენიერი ღიმილით იღიმებოდა," იხსენებს ნელი.

მშვენიერი ღიმილი წამის მეასედში სიკვდილის მანქვად იქცა. სახელმძღვანელოების საწყობის მეექვსე სართულის ფანჯრიდან გასროლა გაისმა. ყველაფერი დანარჩენი თავზარდაცემული კაცობრიობისთვის ვინმე ეიბ ზაპრუდერმა გადაიღო, რომელსაც ხელში მოყვარულის კამერა აღმოაჩნდა. ზაპრუდერის მოკლე ფირი, რომლის რეკორდიც, ჩვენებების რაოდენობით, დღესაც ვერავინ მოხსნა, ალბათ სამუდამოდ დარჩა ხალხის მეხსიერებაში. ორი (თუ სამი?) ტყვია საკმარისი იყო იმისთვის, რომ დამსხვრეულიყო ლეგენდა მშვენიერ კამელოტის ციხესიმაგრის შესახებ, რომელიც ოცნებამ ნისლიანი ალბიონიდან პოტომაკის ნაპირებზე გადმოიტანა.

- ღმერთო ჩემო, ყველას დაგვხოცავენ! – ყვიროდა პანიკით შეპყრობილი გუბერნატორის მეუღლე. (მოგვიანებით ცალკეული პირები ამ სიტყვების ინტერპრეტირებას ცდილობდნენ, როგორც იმის მტკიცებულებას, რომ "მომავალი შეთქმულების" ამბავი ცნობილი იყო).

- მთელი მანქანა რაღაც სისხლიანი კოლტებით იყო მოსვრილი (პრეზიდენტის თავის ქალისა და ტვინის ნაწილებით – მ.ს.). მანქანა, ჩვენი ტანსაცმელი, ყველაფერი, - იხსენებს ნელი.

ის მიზანში მოხვედრილი სამი ტყვიის ვერსიის მომხრეა. უორენის კომისიის დასკვნის შესახებ ის ამბობს: "ისინი ცდებიან. მე იქ ვიყავი, ისინი იქ არ ყოფილან. როცა ჩემთან კამათს ცდილობენ, მხოლოდ ერთ რამეს ვაპასუხობ ხოლმე: "რა, იმ მანქანაში ისხედით?" მიუხედავად ამისა, ქალბატონი კონელი შეთქმულების ვერსიის მომხრე არ გახლავთ. "15 დოლარიანი თოფი და გაქვავებული ტვინი. სულ ეს იყო ტრაგედიის მიზეზი," თვლის ის. იმ ღამეს ქალბატონი კონელი გაჭაღარავდა, მსოფლიო კი ნაცრისფერი გახდა...

კენედის სისხლით დასვრილი ჟაკლინის კოსტუმი ვაშინგტონიში, სმიტსონის მუზეუმში, მინის ხუფის ქვეშ ინახება. ქალბატონმა კონელიმ თავის კოსტუმი გასაწმენდად ჩააბარა. ახლა ის ჰიუსტონში, მის ბინაში, დამცავ პლასტიკის პარკში კიდია.

პარკლენდის ჰოსპიტალში ექიმებმა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის, ჯონ ფიცჯერალდ კენედის სიკვდილი დაამოწმეს...

ამ ფრაგმენტული სტრიქონების მრავალი მკითხველი შეიძლება უკმაყოფილო დარჩეს, რადგან მათში ვერსიები არაა მოცემული. მსოფლიოს ყველაზე დიდ, აშშ-ს კონგრესის ბიბლიოთეკაში კენედის მკვლელობის ვერსიებს ალბათ ყველაზე გრძელი პუბლიკაციების ინდექსი ეძღვნება. მაგრამ, მიუხედავად მრავალფეროვნებისა, ისინი ორ, ოფიციალურ და არაოფიციალურ ნაწილად შეიძლება დაიყოს. ოფიციალური, რომელიც უორენის კომისიის მრავალტომიან დასკვნებშია ჩამოყალიბებული, იმაში მდგომარეობს, რომ პრეზიდენტი ერთმა კაცმა მოკლა, არავითარი შეთქმულება არ ყოფილა. არაოფიციალური, "შეთქმულებითი", ბევრად უფრო კოლორიტულია: კენედი ამერიკულმა მაფიამ მოკლა, ის ცსს-ს, გფბ-ს, ნავთობისა და ლითონების მაგნატების, კუბის ლიდერის, კასტროსა და ვიცე-პრეზიდენტ ჯონსონის შეთქმულების მსხვერპლი გახდა. იქვე "მოსკოვური" ვერსიაც არსებობს (ოსვალდი რამდენიმე წელი საბჭოთა კავშირში ცხოვრობდა). ყველა ეს თხზულება დეტექტივივით იკითხება, საინტერესოა, მაგრამ დეტექტიური ჟანრის კანონების მიუხედავად, მათში საქმის გახსნა არ ჩანს, და ყველაფერი უიმედოდა "დაკიდებული".

ბოლოს და ბოლოს, ვინ მოკლა კენედი? ამ კითხვაზე პასუხი შეიძლება სისხლის სამართლის, პოლიტიკური და ფილოსოფიური იყოს. სისხლის სამართლისა ასე ჟღერს: ლი ჰარვი ოსვალდმა; პოლიტიკური: ულტრამ; ფილოსოფიური: ძალადობის საზოგადოებამ. ეს ვერსია, მიუხედავად იმისა, რომ იაფფასიან დრამატიზმს მოკლებულია, მე ჭეშმარიტებასთან ყველაზე მიახლოებულად მესახება.

და ამიტომ ჩემთვის დალასში, სასკოლო სახელმძღვანელოების ტეხასური საწყობის მეექვსე სართულის ფანჯარა, რომლიდანაც ოსვალდმა ისროლა, ძალადობის სამყაროს ფანჯარა გახლავთ...

ძალადობის სამყარო მხოლოდ ამერიკით როდი შემოიფარგლება. თავს ამ "ვერსიით" ნუ დავიმშვიდებთ. დალასის მსგავსი "სიძულვილის დედაქალაქები" დედამიწაზე უამრავი იყო, არის, და სამწუხაროდ, იქნება. განა "სიძულვილის დედაქალაქი" არ იყო 1797 და 1848 წლების პარიზი? ან 1914 წლის სარაევო? ან 1917 წლის პეტერბურგი? ან 1933 წლის ბერლინი? ან 1937 წლის მოსკოვი? ან 1945 წლის ნაგასაკი და ჰიროსიმა? ან "კულტურული რევოლუციის" დროინდელი პეკინი? ან 2001 წლის ნიუ იორკი? განა "სიძულვილის დედაქალაქები" არაა ბაღდადი და ქაბული, გროზნი და კვლავ სარაევო? ისინი ჩვენი პლანეტის ყველა მერიდიანსა და პარალელზეა მიმოფანტული.

■ ■ ■

დაბოლოს, რამდენიმე სიტყვით, ასევე ფრაგმენტულად მოგახსენებთ, თუ როგორ შემეხო პირადად მე დალასის ტრაგედია. იმ დღეს გაზეთში მორიგე ვიყავი. როცა სატელეგრაფო სააგენტოებმა მთელს მსოფლიოს მოსდეს კენედის მკვლელობის ამბავი, "იზვესტია" უკვე გამოსული იყო. მისი ტირაჟი სტამბის ჭიშკრიდან მწვანე ფურგონებით გაჰქონდათ. მაგრამ "ნედელიას" ჯერ კიდევ აკაბადონებდნენ. მე დაუკითხავად გადავწყვიტე, ამ ყოველკვირეულ გამოცემაში გარდაცვლილი პრეზიდენტის უზარმაზარი პორტრეტი გამომექვეყნებინა. ჩემი აზრით, ეს ადამიანური და პოლიტიკური თვალსაზრისითაც გამართლებული იყო, ვინაიდან სატელეგრაფო სააგენტოები იმას უსვამდნენ ხაზს, რომ კენედი "ყოფილმა საბჭოთა მოქალაქემ" მოკლა.

მეორე დილას კრემლის ტელეფონით სკკპ ცკ-ს მდივანმა, აგიტპრომის კურატორმა, ლეონიდ ილიჩოვმა დამირეკა. მან მოსალმების გარეშე დამიწყო ყვირილი: "ვინ მოგცათ ღვთის როლის შესრულების უფლება? როგორც ჩანს, ამერიკის პრეზიდენტის პოლიტბიუროს წევრად გადაქცევის უნარიც გქონიათ!" გავოგნდი და ძლივს ამოვღერღე: "მე არ მესმის თქვენი. რას ბრძანებთ?" "იმას, რომ "ნედელიაში" კენედის დიდი პორტრეტი განათავსეთ. ასეთ პორტრეტებს მხოლოდ იმ შემთხვევაში ვბეჭდავთ ხოლმე, როცა პოლიტბიუროს წევრები კვდებიან. სასწრაფოდ გამოცხადდით ძველ მოედანზე და პარტბილეთიც არ დაივიწყოთ. გპირდებით, რომ უკან მის გარეშე დაბრუნდებით!"

სრულიად დაბნეული "იზვესტიას" მთავარ რედაქტორთან, ალექსი აჯუბეისთან ავედი და ილიჩოვთან საუბარი გადავეცი. მან აგიტპრომის კურატორის მისამართით უამრავი უცენზურო სიტყვა დახარჯა, მითხრა, არსად არ წახვიდეო და დაურთო: "ნიკიტა სერგეის ძემ უკვე გადაწყვიტა, რომ პრეზიდენტ კენედის დაკრძალვაზე ვაშინგტონში ანასტას მიკოიანს გზავნის". პარტბილეთი მე დამრჩა.

რატომ გამახსენდა ეს ეპიზოდი? იმიტომ, რომ დალასის ტრაგედია თითოეულ ჩვენთაგანს შეეხო. ყველას სხვადასხვანაირად.

ყოველთვის, როცა დალასში ჩავდივარ ხოლმე, დამნაშავესავით მიზიდავს დანაშაულის ადგილი. ჩვენ ყველანი მეტ-ნაკლებად მონაწილენი ვართ იმ ბოროტმოქმედებისა, რომელიც დედამიწაზე ხდება, ვინაიდან "სიძულვილის დედაქალაქები" ჯერ კიდევ ჩვენს გულებშია ჩაბუდებული.



# ყველაზე სექსუალური მამაკაცი

ჟურნალი "ფიფლ" ყველაზე სექსუალურ მამაკაცთა ცინცხალ სიას აქვეყნებს. წლევანდელი შედეგებით ამ საპატიო ტიტულს ჯონი დეპი ფლობს. 40 წლის სიმპათიურ მსახიობს თაყვანისმცემლების დიდი ამალა აქამდეც ჰყავდა. თუმცა, როგორც ჩანს, მანდილოსნებს დეპისადმი სიყვარული წელს მას შემდეგ გაუმძაფრდათ, რაც დიდ ეკრანზე მისი ორი ახალი ფილმი – "კარიბის მეკობრეები" და "ერთხელ მექსიკაში" გამოვიდა. დეპის თაყვანისმცემლები, ალბათ, დიდი სიამოვნებით შეიძენენ "ფიფლის" დეკემბრის ნომერს, რომლის გარეკანსაც მსახიობის დიდი ფოტო ამშვენებს.

რეჟისორი ლეს ჰელსტრომი, რომელმაც დეპი თავის ფილმში "შოკოლადი" ჟულიეტ ბინოშთან ერთად გადაიღო, აცხადებს: "ჯონი ცოტა იდუმალი, სახიფათო, მაგრამ მაინც ძალიან თბილია. რაც მთავარია, ამ ყველაფრის ამოკითხვა მის თვალებშიც შეგიძლიათ".

დეპი – ყოფილი "ცუდი ბიჭი" – საზოგადოების ყურადღების ცენტრში 1980-იან წლებში მოხვდა სატელევიზიო სერიალით "21 ჯაფ სტრით". რაც შეეხება დიდ ეკრანზე მოღვაწეობას, თავისი როლებით მან კრიტიკოსთათვის თავმოწონებაც შეძლო.

ახლა ეს მსოფლიოს ყველაზე სექსუალური მამაკაცი ერთადერთ ქალს - ფრანგ მსახიობ ვანესა პარადისს ეკუთვნის. მათ გოგონა და ბიჭი ჰყავთ და საფრანგეთში ცხოვრობენ.

ჟურნალი "ფიფლ" კი აქვეყნებს "სექსუალურთა" ათეულსაც. დეპს სხვა ვარსკვლავები შემდეგი თანმიმდევრობით მოსდევენ ფეხდაფეხ: ბრედ პიტი, ეშტონ კუჩერი, ჯორჯ ქლუნი, ლენი კრავიცი, ჯასტინ ტიმბერლეიკი, რასელ ქროუ, ჰიუ ჯექმენი, დენზელ ვაშინგტონი და კოლინ ფარელი.

ჟურნალმა თავისი პირველი ჯილდო დიდი სექსუალურობისთვის 1985 წელს მელ გიბსონს გადასცა. ამ საპატიო პრიზს ასევე ფლობენ ჯონ ფიცჯერალდ კენედი უმცროსი, შონ კონერი, დენზელ ვაშინგტონი, რიჩარდ გირი და ბენ აფლეკი.



## ჯექსონის პრობლემებით სავსე კარიერა





1984: "პეპსის" რეკლამის გადაღებებზე ჯექსონს თმაზე ცეცხლი წაეკიდა.

1993: დაადანაშაულეს ბავშვის სექსუალურ შეურაცხყოფაში. სავარაუდოდ სამოქალაქო შეთანხმებით გადაიხადა რამდენიმე მილიონი დოლარი და შეინარჩუნა პატიოსანი კაცის იმიჯი.

1994: დაქორწინდა ლიზა მარი პრესლიზე. ქორწინებამ სულ 17 თვეს გასტანა.

1997: დაქორწინდა დები როუიზე. ქვეყანას მოევლინა ვაჟი – პრინცი მაიკლ I.

1998: დაიბადა ქალიშვილი – პარიზ-მაიქლ-კატერინი. 1999: გაეყარა დები როუის.

2001: გრანდიოზული კონცერტით აღნიშნა შოუ-ბიზნესში მოღვაწეობის 30 წლის იუბილე.

2002 წლის აგვისტო: უცნობმა ქალმა გააჩინა ჯექსონის მესამე ბავშვი, პრინცი მაიკლ II.

**13 ნოემბერი:** ჩვენება მისცა 21 მილიონ დოლარად შეფასებულ სასამართლო საჩივარში.

კონცერტების ორგანიზატორმა მარსელ ავრამმა ჯექსონი დაადანაშაულა იმაში, რომ მომღერალმა 1999 წელს ორ დაგეგმილ წინასაახალწლო კონცერტში მონაწილეობაზე მოულოდნელად უარი თქვა.

**19 ნოემბერი:** ჯექსონმა საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია მას შემდეგ, რაც გერმანიაში ვიზიტის დროს, სასტუმროს მეოთხე სართულის აივნიდან თავისი ჩვილი ბავშვი, მეტსახელად "ბლანქეტი", კინაღამ გადმოაგდო.

**2003 წლის თებერვალი:** სატელევიზიო დოკუმენტურ ფილმში მან აღიარა, რომ სხვა ბავშვებთან ერთად ხშირად დაუძინია: "ამას კავშირი არ აქვს სექსთან, ჩვენ უბრალოდ, ერთად ვიძინებთ. მათ ვიხუტებ და ეს ისე სასიამოვნოა, ისე საყვარელია", - თქვა 45 წლის ჯექსონმა.

**მარტი:** კალიფორნიის სასამართლოს გადაწყვეტილებით, ჯექსონს მარსელ ავრამისთვის 5.3 მილიონი დოლარი უნდა გადაეხადა.

**19 ნოემბერი:** პოლიციამ ჩხრეკა ჩაატარა ჯექსონის ნევერლენდის რანჩოში. გაიცა მისი დაპატიმრების სანქცია ბავშვების მრავალჯერადი ცდუნების საფუძველზე.

© GRAPHIC NEWS

# ჰარისონი დიდების დარბაზში

სიკვდილიდან ორი წლის შემდეგ ჯორჯ ჰარისონს როკ-ენ-როლის დიდების დარბაზში მიუჩინეს ადგილს.

დაჯილდოებულთა 2004 წლის ნუსხა ხუთშაბათს გამოცხადდა. ჰარისონთან ერთად მასში პრინცი, ჯექსონ ბრაუნი, ბობ სიგერი, ჯგუფები "ტრეფიკი", "ზიზი თოფი" და დელსიც არიან გაერთიანებულნი.

აღსანიშნავია, რომ ჰარისონი როკ-ენ-როლის დიდების დარბაზის წევრი, როგორც "ბითლზის" წარმომადგენელი, აქამდეც იყო. მაგრამ, ახლა ის სოლო კარიერისთვის დააჯილდოვეს.

შეგახსენებთ, რომ მუსიკოსებს დიდების დარბაზში პირველი მუსიკალური ჩანაწერის გამოშვებიდან 25 წლის შემდეგ აერთიანებენ. 2004 წლის ნომინანტთა მისალოცად საზეიმო ცერემონიალს 15 მარტს ნიუ იორკში გამართავენ.







PEPSI COLA-ს
ოფიციალური ბოთლერი საქართველოში
შპს."იბერია რეფრეშმენტი" სამუშაოდ
იწვევს უმაღლესი განათლების მქონე 25
წლამდე ასაკის მამაკაცებს სავაჭრო
წარმომადგენლის თანამდებობაზე.
სამსახურში მიღება წარმოებს ტესტირებისა
და გასაუბრების საფუძველზე. უპირატესობა
მიენიჭება ა/მ მართვის მცოდნე პირებს.

დაინტერესებულ პირებს
გთხოვთ, გამოაგზავნოთ
ავტობიოგრაფია (CV) ფაქსზე: 91 11 36

განცხადებების მიღების ბოლო ვადაა 28. 11. 2003.










## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.